


გ. ბერძენიშვილი, 6. კანჭაძე, ზ. ჩიტიძე

ურთიერთგანაცვლებადობა

და ტექნიკური

გაზომვები ხს

დამუშავებაში



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გ. ბერძნებიშვილი, 6. პეტაშვილი, ზ. ჩიტიძე

ურთიერთშენაცვლებადობა და ტექნიკური გაზომვები
ხის დამუშავებაში

სახელმძღვანელო
წიგნი I



დამტკიცებულია სტუ-ს
სასწავლო-მეთოდური
საბჭოს მიერ

სახელმძღვანელოში მოცემულია ზის დამუშავებაში დაშვებების და ჩასმების თეორიის ძირითადი საფუძვლები. განხილულია მერქნისა და მერქნული მასალების ნაკვთობათა ურთიერთშენაცვლებადობის უზრუნველყოფის მეთოდები და პრინციპები, ტექნიკური კონტროლის ზოგადი საფუძვლები, კონტროლის საშუალებათა კლასიფიკაცია, გამოყენების სფეროები, მათ რიცხვში ზღვრული კალიბრების შერჩევის და გაანგარიშების ხერხები. განხილულია ზედაპირის ფორმის მდებარეობის და სიმჭიდვის ნორმირება და მათი კონტროლი. მოცემულია ზომათა ჯაჭვების თეორიის ზოგადი ცნებები და გაანგარიშების მეთოდები და ხერხები. მოყვანილია პრაქტიკული მონაცემები ტიპური შეერთებისათვის ჩასმების, დაშვების, ზედაპირის ფორმის, მდებარეობის და სიმჭიდვის შერჩევისათვის.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტებისათვის სპეციალობით: ზის დამუშავების ტექნოლოგია, მანქანები და მექანიზმები სატყეო და ზის დამუშავებელ მრეწველობაში, იგი შეიძლება სასარგებლო იყოს მაძიებლების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროებისა და ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკური მუშავების და სავეჯო წარმოებისა და მისი მომიჯნავე წარმოების სპეციალისტებისათვის.

რეცენზენტები: პროფ. გ. კოკაია,
დოც. ვ. აბაიშვილი

სამახსოვრო განმარტება

ურთიერთშენაცვლებადობის და ტექნიკური გაზომვების თეორიაზე ბაზირებულია ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს გავრცელების ნაკეთობის გეომეტრიული პარამეტრების ნორმირების განზომილებიანი ურთიერთშენაცვლებადობის და ამ ნორმების შემოწმების ტექნიკური კონტროლის საკითხებში, რაღაც ერთს მეორის გარეშე არსებობა არ შეუძლია.

ურთიერთშენაცვლებადობის და ტექნიკური კონტროლის თეორიის შესწავლისა და შემდეგ მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელია აქტიური სწავლა, რაღაც არ არის საკმარისი დისციპლინის მხოლოდ წაკითხვა, არამედ ტექსტის ბეჭითად შესწავლა და მისი თეორიის ძირითად საფუძვლებში გამოყენება.

დისციპლინის თავისებურებას წარმოადგენს მრავალი ცნების, განმარტების, ფორმულირების აუცილებელი დამახსოვრება, რომელთა გარეშე შეუძლებელია შესასწავლი მასალის ათვისება. ასეთი ცნებები და განმარტებები ძალიან ბევრია, ამიტომ აუცილებელია მათი შესწავლა მასალის გადმოცემის თანამიმდევრობის მიზედვით.

თუ განწყობილი ხართ აქტიური სწავლებისათვის, ეცადეთ გააძლიეროთ საკუთარი წვლილი დისციპლინის შესწავლაში, კერძოდ, თუ დებულების მნიშვნელობის განმარტავ გამოსახულებას აქვთ გარკვეული მდებარეობა, დაუსვეთ თქვენ თავს კითხვა, რატომ არის ეს ასე გავთებული, შეიძლება თუ არა მისი სხვანაირად გამოხაზვა. დაუიქრდით, რა მოხდებოდა ამ შემთხვევაში. ამოხსენით თითოეულ თავში მოყვანილი ყველა ამოცანა.

ყურადღებით გაეცანით თითოეული თავის წინასიტყვაობაში მოყვანილ ურთიერთშენაცვლებადობის კონკრეტული ნაწილის შესაბამისი თეორიის და პრაქტიკული გამოყენების შესწავლის საგანს.

შეისწავლეთ საკანონი სიტყვებიდან ოქვენთვის უცხო ტექნიკური ტერმინები და გამოიმუშავეთ ამ ტერმინების სწორად გამოყენების ჩვევები. გამოხაზვით თითოეულ პარაგრაფში მოყვანილი ნახაზები და ესკიზები, რაღაც იგი დაგეხმარებათ დებულებების შინაარსის გაეხებაში.

პარაგრაფებში მოცემულ კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ გაავთეთ შესწავლილი მასალის მოკლე დასკვნა და პასუხი გაეცით კითხვებზე: რა, როგორ და რისთვის შეისწავლეთ აღნიშვნული მასალა, ხოლო გარკვეული თავის შესწავლის შემდეგ შეეცადეთ მთლიანობაში ჩამოაყალიბოთ რეზიუმეს სახით შესწავლილი მასალა. საკუთარ ცოდნაში დასარწმუნებლად იხილეთ შესაბამისი თავის წინასიტყვაობა.

მომდევნო თავების და პარაგრაფების შესწავლის დროს წინა ნაწილში შესწავლილი მანასიათებელი პარამეტრების გამოყენების შემთხვევებში საჭიროა გაიაზროთ შინაარსის ურთიერთკავშირი პარაგრაფის საერთო დებულებებთან და განმარტებებთან.

ჩასმების და შეერთებების შესასწავლად ააგთ დაშვების ველების განლაგება სხვადასხვა ასოთთ აღნიშვნისათვის. განსაზღვრეთ ჩასმების ძირითადი მახასიათებლები, შეადარეთ ერთმანეთის განსაზღვრული სიდიდეების ალბათური მნიშვნელობები, რის საფუძველზეც დამოუკიდებლად უნდა შეძლოთ კონკრეტული შეუღლებისათვის იპტიმალური ჩასმის შერჩევა.

ფორმიდან და მდებარეობიდან გადახრის პირობითი აღნიშვნების ადვილად დამახსოვრებისათვის სასურველია პირობითი აღნიშვნის ნიშანი დაუკავშიროთ მისი განმარტავი სიტყვის შინაარსს, ასე, მაგ., გადახრა სწორხაზოვნობიდან - მისი აღმნიშვნელი პირობითი ნიშანია “-”.

სიმქისის პარამეტრების შესწავლისას საჭიროა მისი განმარტებების მრავალჯერ ჩამოწერა, შემდეგ კი ჩამოწერილი გამოსახულებების მიხედვით პარამეტრის საკანონი პოზიციის განსაზღვრა.

ზომათა ჯაჭვების გააზრებისათვის აუცილებელია ძირითადი განმარტებების შესწავლის შემდეგ სხვადასხვა ნაკეთობებისათვის დასვათ ზომათა ჯაჭვებით გადასაწყვეტი პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები, რის საფუძველზეც უნდა გამოიმუშაოთ პრაქტიკული ჩვევები, კერძოდ: შეადგინოთ სანაცარიშო სქემები; გამოყოთ ჩამკეტი, მაკომპენსირებელი, გამადიდებელი და შემაცირებელი რგოლები; შეიარჩიოთ ჩამკეტი რგოლის მოთხოვნილი სიზუსტის უზრუნველყოფის მეთოდები და ზომათა ჯაჭვების ამოხსნის ხერხები.

თითოეულ პარაგრაფში მოყვანილი მაგალითების მიზედვით, დამოუკიდებლად უნდა მოძებნოთ და შეადგინოთ მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლო ვარიანტები.

შესწავლილი მასალის საფუძველზე, ნაკეთობის მუშა ნახაზების დამუშავების დროს (საკურსო სამუშაო და სხვ.) უნდა შეძლოთ: ნაკეთობის ფუნქციური დანიშვნულების უზრუნველყოფისათვის პარამეტრების საჭირო რაღვენობის განსაზღვრა მათი ტექნოლოგიური მიღების და კონტროლის შესაძლებლობებთან შესაბამისობაში.

ცხრილებიდან პარამეტრების მნიშვნელობების შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ მათი დიაპაზონი და დამოკიდებულება განსაზღვრულ სიღიდეებთან.

ტექნიკური კონტროლის საკითხების შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ გაზომვის სქემების შერჩევას, გამოყავით შემთხვევები, როცა გაზომვა განსაზღვრულია სიზუსტის ნორმირების ხერხით, ან პირიქით - როგორც თვით ნორმირების ხერხია განსაზღვრული გაზომვით. შეისწავლეთ ხაზოვნი და კუთხური ზომების უნივერსალური და სპეციალური საზომი საშუალებები, მათი გამოყენების სფეროები, გაზომვის ცდომილებები.

დისციპლინის შესწავლის შემოთავაზებულის სტრუქტურა დაგეხმარებათ შესასწავლი მასალის სიტემატიზაციაში, შეიძნოთ ცოდნის აუცილებელ დონეს, რომლის გამოყენებას პრაქტიკაში შეძლებთ ისე, რომ არ დაგჭირდებათ მიმართოთ დამატებით ცნობარებს, წიგნებს ან ხევა ჩანაწერებს და შეისწავლით ნახაზების სწორად შესრულების, გაგების და წაკითხვის ტექნიკურ ენას.

თავი I

ურთიერთშენაცვლებადობის საფუძვლები

წინასიტყვაობა

თანამედროვე ხის დამშეშავებელ საწარმოებში ხის ნაკეთობათა დეტალების დამზადება და მათი აწყობა ხორციელდება სხვადასხვა უბანზე. გარდა ამსა, ნაკეთობის აწყობის დროს იყენებენ ავტოტერქნულ დეტალებს და კვანძებს (მაგალითად, ნორმალური სამაგრი დეტალები, დეტალები პლასტმასისაგან, ანჯამები, მოსაჭიმები და ა.შ.), დამზადებულს დამრუკიდებლად სპეციალიზებულ საწარმოებში. მიუხედავად ამისა, ხის ნაკეთობის საბოლოო აწყობა ხორციელდება დეტალებისა და კვანძების დამატებითი დამშეშავების გარეშე, ხოლო აწყობილი ნაკეთობები მთლიანობაში აკმაყოფილებს მათდამი წაყვნებულ ტექნიკურ მოთხოვნებს.

ნაკეთობის დამზადების ასეთი ტექნოლოგია შესაძლებელი გახდა მისი კონსტრუირების და დამზადების დროს ურთიერთშენაცვლებადობის თეორიის გამოყენებით.

ნაკეთობები შედგება ერთმანეთთან შეუძლებული დეტალებისა და კვანძებისაგან. შეუძლების ხასიათმა უნდა უზრუნველყოს დეტალების და კვანძების მდებარეობის ან გადაადგილების სიზუსტე, ექსპლუატაციის სამედოობა, ნაკეთობის რემონტის სიმარტივე. კონსტრუქციის მიხედვით შეუძლება სხვადასხვანაირია. ამიტომ მათ წაუყონება სხვადასხვა მოთხოვნები. ერთ შემთხვევაში აუცილებელია მივიღოთ მოძრავი შეერთება ღრეჩითი (გამოსაწევი თარი ან უჯრა, გასაწევი კარები და ა.შ.), ხოლო სხვა შემთხვევაში - უძრავი შეერთება ჭექით (კოტათი ან შეკარგული შეერთება წებოთი). აქედან გამომდინარე, სხვადასხვა საექსპლუატაციო მოთხოვნებზე დამოკიდებულებით დეტალების და კვანძების შეუძლება ხორციელდება სხვადასხვა ჩასმებით, რომლებიც შესრულებულია ნახერეტის ან ლილვის სისტემაში.

ჩასმის ორი სისტემა აუცილებელია როგორც ნაკეთობის ცალკეული ელემენტების კონსტრუქციის, ასევე დამზადების ტექნოლოგიისა და აწყობის თავისებურებების გამო. კვანძის ან შეუძლების ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი არ არის, რომელ სისტემაშია დანიშნული დაშვება და ჩასმა, რადგან შეუძლებაში მხოლოდ ღრეჩის ან ჭექის მნიშვნელობა განსაზღვრავს შეუძლების მუშაობის ხასიათს.

ამა თუ იმ სისტემის შერჩევა განსაზღვრავს დეტალების დამზადების და მათი აწყობის სხვადასხვა ხასიათის სირთულეს და შესაბამისად მოცემული კვანძების დამზადების თვითიღირებულებას.

ნაკეთობის კონსტრუირების დროს გაანგარიშებების საფუძველზე განისაზღვრება ხაზოვანი და კუთხური ზომები, რომლებიც ახასიათებნ დეტალის სიდიდეს და მის ფორმას. ამასთან, თითოეული ნაკეთობის სხვადასხვა დანიშნულების დეტალები მზადება ერთმანეთისაგან განსხვავებული სიზუსტით, რაც ნორმირებულია სიზუსტის კვალიტეტით, ხოლო ეს სიზუსტე დანიშნულება დეტალებისა და კვანძების დანიშნულებისა და ნაკეთობის თანამდებობის მიხედვით წარისხდინარე.

მუშა ნახაზზე აღნიშნული უნდა იყოს დეტალის ყველა ზომა დასაშვებ ზღვრებში მისი დამზადებისა და კონტროლისათვის.

საკვანძო ტერმინები:

ურთიერთშენაცვლებადობა
ღრეჩი
ჭექი
დამზადების ცდომილება
გადახრის რიგი
მიმდინარე ზომა
საკუთრივ ზომის გადახრა
დაშვების ერთეულის რაოდენობა
დაშვების ველი
კვალიტეტი
ნულოვანი ხაზი
უძრავი (დაუშლელი) შეუძლება
უძრავი (დასაშლელი) შეუძლება
მოძრავი შეუძლება
ჩასმა
ღრეჩითი ჩასმა
ჭექითი ჩასმა
გარდამავალი ჩასმა
ძირითადი ნახვრეტი
ძირითადი ლილვი

ზედაპირის ურთიერთმდებარეობის გადახრა
ზედაპირის ფორმის გადახრა
ზედაპირის ტალღოვნება
ზედაპირის სიმქისე
გარე ურთიერთშენაცვლებადობა
შიგა ურთიერთშენაცვლებადობა
სრული ურთიერთშენაცვლებადობა
შემოსაწვდომი ზედაპირი
შემოსაწვდომი ზედაპირი
ნახვრეტი
ლილვი
ნომინალური ზომა (მუდმივი ზომა)
ნამდვილი ზომა
ზღვრული ზომა
ნომინალური ზომების რიგი
ზღვრული გადახრა
ზედა გადახრა
ჭვედა გადახრა
ნამდვილი გადახრა
შესაულებული ზომა

1.1. ურთიერთშენაცვლებადობა და ნაკეთობის დამზადების სიზუსტე

ურთიერთშენაცვლებადობა ზოგადად წარმოადგენს ნაკეთობათა ერთობლიობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელ თვისებას, შემავალს იმ თვისებათა რიცხვში, რომელიც განსაზღვრავნ პროცესის ხარისხს, ე.ი. წარმოადგენს ნაკეთობათა ერთობლიობის იმ თვისებას, რომელიც უზრუნველყოფს ნაკეთობის ვარგისობას, მისი დანიშნულების შესაბამისად.

ნაკეთობის თვისება, რომელიც განსაზღვრავს მის ხარისხს, წარმოადგენს სიზუსტე ექსპლუატაციის მთელ პერიოდში (ხანგამძლეობა, საიმედოობა), ხოლო ნაკეთობათა ერთობლიობის თვისება, რომელიც განსაზღვრავს ასეთი ერთობლიობის ხარისხს, წარმოადგენს ურთიერთშენაცვლებადობა და ერთტიპურობა.

ურთიერთშენაცვლებადობის ნიშან-თვისებები

1) წინასწარ დადგენილი სიზუსტით დამოუკიდებულად დამზადებული და შემდეგ შეერთებული დეტალების და კვანძების დამატებითი სამუშაოების გარეშე აწყობა, მაგ., კარის ჩასმა ღიობში, როდესაც კარი თავისუფლად შედის და გამოდის ღიობიდან.


2) ნაკეთობის აწყობის ან რემონტის დროს დეტალის ან კვანძის შეცვლის შედეგად მიღებული შეერთება უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ დადგენილ ტექნიკურ პირობებს და აკმაყოფილებდეს საექსპლუატაციო მოთხოვნებს, მაგ.: ა) მშრალი შეანტებით შეერთების დროს შეანტება და ნახვრებს შორის უნდა იყოს განსაზღვრული სიდიდის ღრეჩი, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული დეტალების თავისუფლად ურთიერთგადადგილებას; ბ) ფეხის ცარგებთან კოტათი შეერთების შემთხვევაში ბუდესა და კოტა შორის უნდა იყოს განსაზღვრული სიდიდის ჭექი, რაც უზრუნველყოფს შეერთების საჭირო სიმტკიცეს და უძრაობას.

ურთიერთშენაცვლებადობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭიროა დეტალების და კვანძების გეომეტრიული და სხვა პარამეტრები აკმაყოფილებდნენ წინასწარ დადგენილ სიზუსტეს. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია დამზადების სიზუსტეზე. დამზადების სიზუსტეს უწოდებენ დამზადების შედეგების მიახლოებას წინასწარ დასახულ მნიშვნელობებთან. დამზადების სიზუსტის რაოდენობრივი შეფასება ხდება შებრუნებული მაჩვენებლით ე.წ. დამზადების ცდომილებით, რომელიც განისაზღვრება დამზადების შედეგებისა და დასახულ მაჩვენებლებს შორის სხვაობით:

$$\Delta X = X_{\text{დამზ.}} - X_{\text{დასახ.}}$$

ცალკე აღებული დეტალის დამზადების სიზუსტე გეომეტრიული პარამეტრების მიხედვით განისაზღვრება ნომინალური მნიშვნელი ზომიდან, სწორი გეომეტრიული ფორმიდან (წრიულობიდან, ცილინდრულობიდან და სხვ.), სწორი გეომეტრიული მდებარეობიდან (პარალელობიდან, მართობულობიდან, ღერძების აცდენა და სხვ.) გადახრებით, ზედაპირის ტალღოვნებით და სიმძისის პარამეტრებით.

1-ლ ნახაზზე მოცემულია დეტალების გეომეტრიული პარამეტრების სხვადასხვა რიგის გადახრები.



ნაზ.1

დეტალის დამზადების დროს მიღებული ნამდვილი ზედაპირის ფორმი ნომინალური ზედაპირის ფორმიდან გადახრის შედეგად ზედაპირის ერთი რომელიმე ზომა სხვადასხვა კვეთში და სხვადასხვა წერტილში განსხვავებული იქნება ერთმანეთისაგან. ცილინდრული ზედაპირის განივევეთში (ნაზ.1) ზომები შეიძლება განისაზღვროს ცვლადი R რადიუსით, რომლის ათვლაც ხდება ნომინალური კვეთის გეომეტრიული O ცენტრიდან. ამ რადიუსს მიმდინარე ზომას უწოდებენ, რომლის სიდიდე იცვლება ღერძული კოორდინატის (Z) მდებარეობის (ე.ი. ბ-ბ კვეთის მდებარეობის) და გასაზომ ზედაპირზე მდებარე (ა) წერტილის კუთხური კოორდინატის (φ) მიხედვით.

საკუთრივ მიმდინარე ზომის (R) გადახრა ΔR ნომინალური ანუ მუდმივი ზომიდან (R_0) შეიძლება წარმოვადგინოთ ფორმულით

$$\Delta R = R_0 - R = \Delta R(\varphi; z).$$

სადაც $\Delta R(\varphi; z)$ არის მიღებული ზედაპირის ცდომილების მახასიათებელი ფუნქცია. მიმდინარე ზომის მნიშვნელობები სხვადასხვა კვეთში შეიძლება წარმოვალგინოთ მწყრივების საშუალებით, კერძოდ, განივივეთში

$$\Delta R(\varphi) = \frac{a_0}{2} + \sum_{K=1}^{\infty} a_K \cos K\varphi + b_K \sin K\varphi,$$

გრძივ კვეთში

$$\Delta R(z) = \frac{C_0}{2} + \sum_{K=1}^{\infty} C_K \cos \frac{\pi K}{2l} \cdot z.$$

მიმდინარე ზომის ასეთი სახით წარმოლგენა საშუალებას გვაძლევს ერთ განტოლებაში გავითვალისწინოთ ზედაპირის ყველა რიგის გადახრა, კერძოდ ზედაპირის მდებარეობის გადახრა: (ექსცენტრის სტეტი ე), ზედაპირის ფორმის გადახრა ($\Delta\phi$), ტალღოვნება და სიმქისე, რომლებიც განისაზღვრებიან a_K და b_K კოეფიციენტებით.

აღნიშნული მწყრივების გამოყენება დეტალის დამზადების სიზუსტის ანალიზისათვის შეზღუდულია როგორ მათემატიკური გამოთვლების გამო, ამიტომ მიღებულია დეტალის გეომეტრიული პარამეტრების ცდომილებების შემდეგი გამსხვილებული კლასიფიკაცია:

- 1) საკუთრივ ზომის გადახრა / ΔD / - მიღებულება ნულოვანი რიგის გადახრებს.
- 2) ზედაპირის ურთიერთმდებარეობის გადახრა (ექსცენტრის სტეტი ე) - მიღებულება პირველი რიგის გადახრებს.
- 3) ზედაპირის ფორმის გადახრა / $\Delta\phi$ / - მიღებულება მეორე რიგის გადახრებს.
- 4) ზედაპირის ტალღოვნება / $W_z; S_w$ / - მიღებულება მეორე რიგის გადახრებს.
- 5) ზედაპირის სიმქისე / $R_z; R_a; R_{\max}$ / - მიღებულება მეორე რიგის გადახრებს.

წარმოებაში დეტალების და კვანძების გეომეტრიული და სხვა პარამეტრების მიღება სხვადასხვა ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე აბსოლუტური სიზუსტით ანუ ცდომილების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია, თავის მხრივ, ცდომილება ეს არის განსახილველი პარამეტრის ზუსტ და მიახლოებულ მნიშვნელობებს შორის სიახლოვის ხარისხის მახასიათებელი სიღიდე.

არც თუ დიდი ხნის წინათ, ცალკეული ნაკეთობებისათვის შეკვეთილი მუშაობის სიზუსტის უზრუნველყოფა ხდებოდა მასში შემავალი ცალკეული ელემენტების ინდივიდუალური მორგების ხერხით. უფრო ვინა დადგენილი იქნა, რომ, თუ ნაკეთობის შემადგენელ ელემენტებს დავამზადებთ გარეკვეულ ზღვრებში მოთავსებული ზომებით, კერძოდ, ნომინალური ზომის შესაბამის უდიდეს და უმცირეს ზღვრულ ზომებს შორის, ანუ ზომის დამზადებაზე დაშვების სიღიდის ზღვრებში, ამით უზრუნველყოფილი იქნება ცალკეულ ნაკეთობათა წინასწარ შეკვეთილი საექსპლუატაციო მაჩვენებლების სათანადო ხარისხი, ხოლო აღნიშნულ ნაკეთობათა ერთობლიობა დამატებით შეიძენს ექსპლუატაციისათვის ისეთ აუცილებელ საჭირო ახალ თვისებას, რომელსაც ურთიერთშენაცვლებადობა ეწოდება. ურთიერთშენაცვლებადობა არის წინასწარ დადგენილი სიზუსტით დამტკიცირებულ დამზადებული ნაკეთობების, დეტალების და კვანძების თვისება, უზრუნველყოს დამატებით დამუშავების გარეშე შესასლებელი დეტალების აწყობის შესაძლებლობა კვანძებად, ხოლო კვანძებისა-ნაკეთობად, მათდამი წაყენებული ყველა ტექნიკური პირობის დაცვით.

ურთიერთშენაცვლებადი შეიძლება იყოს აგრეგატები (მექანიზმები), სამწყობო ერთეულები, დეტალები და მათი პარამეტრები.

ურთიერთშენაცვლებადი დეტალებით კარადის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კედლები, თაროები, კარები და ა.შ., ხოლო ურთიერთშენაცვლებადი სამწყობო ერთეულები - უჯრები, ჩარჩოები და ა.შ.

ურთიერთშენაცვლებადობა შეიძლება იყოს: გარე - როცა ადგილი აქვს ნაკეთობის მოურგებლად აწყობას მხოლოდ მისაერთებელი ზომების მიხედვით, მაგ., შეუძლებაში უჯრა-ლითობი, გარე ურთიერთშენაცვლებადობის პრინციპი ხორციელდება უჯრის გაბარიტული ზომების მიხედვით (სიგანე, სიგრძე, სიმაღლე); შიგა - თუ ნაკეთობაში შემავალი ყველა ელემენტი ხსიათდება ურთიერთშენაცვლებადობის თვისებით, მაგ., უჯრაში შემავალი ყველა ელემენტი (უჯრის კედლები და ძირი) ხსიათდება შიგა ურთიერთშენაცვლებადობით.

ურთიერთშენაცვლებადობა შეიძლება იყოს სრული - როცა ნაკეთობისათვის შეკვეთილი საექსპლუატაციო მაჩვენებელი, მაგ., სიზუსტე პარტიაში შემავალი ერთგვაროვანი ნაკეთობისათვის უცვლელია, მაგ., კარადების პარტიაში სრული ურთიერთშენაცვლებადობით ხსიათდება კარადის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კედლები, საყრდენი, უკანა კედლები.

ურთიერთშენაცვლებადობა შეიძლება იყოს არასრული - როცა ურთიერთშენაცვლებადობის თვისება შეიძლება გააჩნიეს ნაკეთობაში შემავალ წინასწარ განსაზღვრულ ელემენტებს, მაგ., ერთსა და იმავე კარადაში არასრული ურთიერთშენაცვლებადობით ხსიათდება მარჯვენა და მარცხენა გვერდითი კედლები, ან ძირი და სახურავი მათში არსებული სხვადასხვა ტექნოლოგიური ნახვრეტების არსებობის გამო.

ურთიერთშენაცვლებადობა შეიძლება იყოს ჯგუფური (ანუ ე.წ. სელექციური აკრება), რომლის დროსაც ნაკეთობის

აწყობა ხორციელდება ერთსახულა ჯგუფებში შემავალი ელემენტებისაგან. ელემენტების ჯგუფებად დახარისხება ხდება წინასწარ, ნაკეთობის აწყობამდე, ელემენტების მიღებული ზომების მიხედვით.

ნაკეთობის შექმნისათვის საჭიროა ერთიანი „ტექნიკური ენა“, ასეთ ენას წარმოადგენს საგნის - „ურთიერთშენაცვლებადობა და ტექნიკური გაზომვები“ ძირითადი დებულებები, რომლებიც შეადგენენ ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებული, რომ ის ყველასათვის იკითხებოდეს ერთნაირად და მასში თავმოყრილი ინფორმაცია იშიფრებოდეს მარტივად და ერთგვაროვნად.

ტექნიკური დოკუმენტაციის სწორი და სწრაფი წაკითხვა უზრუნველყოფს ნაკეთობის შესაბამისი ხარისხის დონეს, დეტალის დამუშავების დროს ძირითადად გამოიყენება შემდეგი ტექნიკური დოკუმენტები:

- 1) დეტალის მუშა ნახაზი;
- 2) მექანიკური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის რუკა;
- 3) ტექნიკური კონტროლის რუკა.

კითხვები თვითმომზადებისათვის

- 1) რა არის ურთიერთშენაცვლებადობა?
- 2) როგორია ურთიერთშენაცვლებადობის სახეები?
- 3) რა არის მიმდინარე ზომა?
- 4) როგორია პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის სქემა?
- 5) რა არის ურთიერთშენაცვლებადობის ორი ძირითადი ნიშან-თვისება?
- 6) როგორია გეომეტრიული პარამეტრების ცდომილებათა კლასიფიკაცია.

1.2. ცნებები ზომების შესახებ

დეტალის გეომეტრიული პარამეტრების რაოდენობრივი შეფასება ხდება ზომების საშუალებით. ზომა არის ფიზიკური სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობით გამოსახვა ზომის განსაზღვრულ ერთეულში (მმ, სმ, გრადუსი და სხვ.). შეუღლებაში მყოფი დეტალებიდან, როდესაც ერთი მათგანი შედის მეორეში (მაგ., შეკანტით შეერთება), არჩევენ მესაუღლებელ-შემომწვდომ და შესაუღლებელ-შემოსაწვდომ ზედაპირებს. გლუვი ცილინდრული ან კონუსური დეტალებისათვის ტერმინს „ლილვი“ ხმარობენ გარე (შემოსაწვდომი) ელემენტების აღნიშვნისათვის, ხოლო ტერმინს „ნახვრეტი“ - დეტალის შიგა (შემომწვდომი) ელემენტების აღნიშვნისათვის. ამ ტერმინებს ხმარობენ არა მარტო ცილინდრული ან კონუსური შეერთებისათვის, არამედ დეტალების სხვა ფორმის ელემენტებისთვისაც, რომლებიც შემოვარებული არიან პარალელური სიბრტყეებით, მაგ., კოტა-ბუდის შეერთებაში კოტა ლილვია, ხოლო ბუდე-ნახვრეტი (იხ. დანართი).

ნახვრეტის და ლილვის ზომები განისაზღვრება მათი დიამეტრებით და აღინიშნება შესაბამისად D და d ასოებით. სხვა დანარჩენ ზომებს აღნიშვნავენ ლათინური ან ბერძნული ანბანის სხვადასხვა ასოებით, გარდა D ; d ; α ; δ ; λ ; ξ ; ω .

ურთიერთშენაცვლებადობის პრინციპის პრაქტიკული უზრუნველყოფისათვის დადგენილია ზომების შემდეგი სახესხვაობები: 1) ნომინალური ანუ მუდმივი, 2) ნამდვილი და 3) ზღვრული.

ნომინალური ანუ მუდმივი ზომა არის ნაკეთობის დაპროექტების დროს საბოლოოდ დადგენილი მირითადი ზომა, რომლის რიცხვითი მნიშვნელობები დაიტანება (დაიწერება) დეტალის ან კვანძის მუშა ნახაზზე.


შეუღლების ნომინალური ზომა არის საერთო ანუ ერთნაირი შეუღლებაში მყოფი ნახვრეტისა და ლილვისათვის (ნახ. 2) და აღინიშნება ინდექსით n ან N .

კვანძის საამწყობო ნახაზის (ნახ. 2) მიხედვით ცალკეული დეტალების-შეკანტის (ლილვი) და ნახვრეტის (ნახვრეტი) ნომინალური ზომების აღნიშვნები მოცემულია მე-3 და მე-4 ნახაზზე.




ნომინალური ზომის მიხედვით ამა თუ იმ მასშტაბში ასრულებენ საამწყობო ერთეულების - კვანძების (ნახ. 2), დეტალების (ნახ. 3, ნახ. 4) და ნაკეთობის მუშა ნახაზებს.

ნომინალური ზომები მიიღება კინემატიკური, დინამიკური, დალური გაანგარიშებებიდან ან შეირჩევა კონსტრუქციული, ტექნოლოგიური, ესთეტიკური ან რაიმე სხვა მოსაზრებით.


დეტალის ნომინალური ზომების შესარჩევად და ნაკეთობის პარამეტრული რიგების დასადგენად ზომების 0,001 -დან 20000 მმ-მდე დიაპაზონში დადგენილია ნომინალური ზომების რიცხვთა მწკრივები, რომლებიც აგებულია უპირატესი




ნახ.2




ლილვების ზომები




ნახვრეტების ზომები




ზომები, რომლებიც არ მიეკუთვნება
ლილვებს და ნახვრეტებს





ნახ.3



ნახ.4

გამოყენების რიცხვთა რიგებზე. სტანდარტით დადგენილია ნომინალური ზომების ოთხი ძირითადი რიცხვთა მწკრივი, თითოეული მწკრივის რიცხვთა რიგი აგებულია გეომეტრიული პროგრესის კანონზომიერებით.

მწკრივების აღნიშვნა - $R_a 5; R_a 10; R_a 20; R_a 40$ გვიჩვენებს, თუ რამდენ სტანდარტულ რიცხვს მოცემული მწკრივის თითოეული ათობითი ინტერვალი, ანუ ინტერვალი 1-დან 10-მდე, 10-დან 100-მდე და ა.შ. მაგალითად: $R_a 5$ მწკრივის თითოეული ათობითი ინტერვალი მოიცავს ზურ რიცხვს, $R_a 10$ მწკრივის-ათ რიცხვს, $R_a 20$ მწკრივის - ოც რიცხვს, $R_a 40$ მწკრივის - ორმოც რიცხვს.


ნაკეთობისათვის ნომინალური ზომების შერჩევისას უპირატესობა ეძლევა ნომინალურ ზომათა მწკრივების რიცხვთა მეჩხერ რიგს მჭიდრო რიცხვთა რიგთან შედარებით, კერძოდ, $R_a 5$ -ს უპირატესობა ეძლევა $R_a 10$ -თან შედარებით, $R_a 10$ -ს - $R_a 20$ -თან შედარებით და ა.შ.

დეტალის ან სამწყობო ერთეულის მუშა ნახაზზე მხოლოდ ერთი ნომინალური ზომის აღნიშვნა პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს მათ ურთიერთშენაცვლებადობას. დეტალის დამზადებისათვის აუცილებელია მუშა ნახაზზე აღნიშნული იყოს ზომის მიღების დასაშვები ცდომილება, რადგან საწარმოო პირობებში ნომინალური ზომის ამსოდუტურად ზუსტად მიღება და გაზომვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესით ერთდროულად დამზადებული ერთგვაროვანი დეტალების მიღებული ზომები პრაქტიკულად ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ისინი აღმოჩნდებიან ურთიერთთანხვდენილნი მხოლოდ საზომისაშუალებათა შეზღუდული ცდომილების გამო, ამიტომ შემოღებულია ცნება „ნამდვილი ზომა“.

ნამდვილი ზომა მიღება გაზომვის დასაშვები ცდომილებით ჩატარებული გაზომვის შედეგად.

მუშა ნახაზზე დამუშავების ცდომილების აღნიშვნის გარდა საჭიროა დამატებით აღინიშნოს შეუდლების ხასიათი (მოძრაობის ან უძრაობის ხარისხი) მოცემულ ნომინალურ ზომაზე. მიღებულია, დეტალის ზომების დამუშავების დასაშვები ცდომილების და დეტალების შეუდლების საჭირო ხასიათი მოცემულ ნომინალურ ზომაზე ნახაზზე უნდა აღინიშნოს ზღვრული ზომების საშუალებით. დეტალების შეუდლების ხასიათი შეკვეთრად იცვლება შესაულლებელი დეტალების ნომინალური ზომებიდან სულ მცირე გადახრის შემთხვევაშიც კი, მაგ., უძრავი შეუდლების მისაღებად შეუდლების ნომინალური ზომით $\Phi 10$ მმ, საკმარისია ლილვის დამუშავები ავილოთ $\phi 10,028$ მმ, ხოლო ნახვრეტის დიამეტრი - $\phi 10,000$ მმ-ია, ე.ი. ლილვის ზომა მეტად ნახვრეტის ზომაზესულ $0,028$ მმ-ით. ლილვის დანახვრეტის მოყვანილი თითო-თითო ზომა მთლიანად განსაზღვრავს დეტალების შეუდლების ხასიათს, კერძოდ, მათ უძრაობას დეტალების შეუდლების შემდეგ, მაგრამ დეტალების მოყვანილი თითო-თითო ზომა არ არის საკმარისისერიული დამზადებისათვის, რადგან პრაქტიკულად თითოების შეუძლებელია დეტალების დამზადება მხოლოდ მათი ერთი ზომის მიხედვით, მაგ., $\phi 10,000$ მმ ან $\phi 10,028$ მმ. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს დეტალის ზომის დამუშავების



ნახ.5

დასაშვები ცდომილება თითოეული დეტალისათვის კიდევ დამატებითი ერთი ზომის დადგენით, მაგ., ლილვისათვის $\phi 10,018$ მმ ზომით, ხოლო ნახვრეტისათვის - $\phi 10,016$ მმ. ამრიგად, თითოეული დეტალისათვის დადგენილი ორი სხვადასხვა ზომა წარმოადგენს ზღვრულ ზომებს. ისინი სავსებით განსაზღვრავენ დეტალის დამუშავების სიზუსტეს. რაც ნაკლებია აღგებრული სხვაობა ზღვრულ ზომებს შორის, მით მეტია დამუშავების სიზუსტე და პირიქით.

ზღვრული ზომა ეწოდება ზომის ორ ზღვრულ მნიშვნელობას, რომელთა შორის უნდა იმყოფებოდეს ან რომლის ტოლი შეიძლება იყოს ნამდვილი ზომა. ამ ზომებიდან უდიდეს მათგანს უწოდებენ უდიდეს ზღვრულ ზომას და აღნიშნავენ ინდექსით \max (ან უდიდ.), უმცირეს მნიშვნელობას უწოდებენ უმცირეს ზღვრულ ზომას და აღნიშნავენ ინდექსით \min (ან უმც.) (ნახ.5).

მე-5 ნახაზზე მოცემულია მრგვალი კოტის ნომინალური, უდიდესი და უმცირესი ზღვრული ზომების პირობითი აღნიშვნები.

ზღვრული ზომა შეიძლება იყოს ნომინალურ ზომაზე მეტი ან ნაკლები, ან ნომინალური ზომის ტოლი. ამრიგად, ზღვრული ზომა სავსებით განსაზღვრავს შეუძლების ხსნათს (მის უძრაობას ან მოძრაობას) და ზომის დამზადების დასაშვებ ცდომილებას.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1. რა არის ზომა?
2. როგორია შემომწვდომი და შემოსაწვდომი ზედაპირები?
3. როგორია ზომების კატეგორიები?
4. რა არის ნომინალური ზომა და მისი რიგები?
5. რა არის ნამდვილი ზომა?
6. რა არის ზღვრული ზომა?
7. რა არის გამავალი და არაგამავალი ზღვარი?


1.3. ცნებები ზღვრული და ნამდვილი გადახრების შესახებ

ურთიერთშენაცვლებადობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელებისათვის დეტალის მუშა ნახაზზე ნომინალური ზომის ნაცვლად უნდა აღვნიშნოთ მოცემული ნომინალური ზომის შესაბამისი ორი ზღვრული მნიშვნელობა, რაც საგრძნობლად გაართულებს დეტალის მუშა ნახაზის გაფორმებას, გააძლენებს ზღვრული ზომების საჭირო ცხრილების შედგენას ყველა საჭირო ზღვრული ზომისა და ჩასმისათვის. ზღვრული ზომები უნდა გამოვსახოთ ზღვრული გადახრების მეშვეობით.

რადგანაც ზღვრული ზომა ყოველთვის მიეკუთვნება განსაზღვრულ ნომინალურ ზომას, აუცილებელი ხდება დადგინდეს ზღვრული ზომის შესაბამისი გადახრის ზღვრული მნიშვნელობები მოცემული ნომინალური ზომის მიმართ.

ზღვრული გადახრა ეწოდება აღგებრულ სხვაობას ზღვრულ და ნომინალურ ზომებს შორის. ზღვრული გადახრები დაიყოფა ზედა და ქვედა გადახრებად.

მივიღოთ ზღვრული გადახრების შემდეგი აღნიშვნები (ნახ.6):



ნახ.6

1. ნახვრეტის ზედა გადახრა ES ;
2. ლილვის ზედა გადახრა es ;
3. ნახვრეტის ქვედა გადახრა EI ;
4. ლილვის ქვედა გადახრა ei .

თვალსაჩინოებისათვის ზომები აითვლება საერთო ბაზიდან, რომელსაც პირობითად წარმოადგენს ნახვრეტის და ლილვის ქვედა ზედაპირების ურთიერთობაზედნილი შესახველები (ნახ. 7).

ზედა გადახრა ეწოდება აღგებრულ სხვაობას უდიდეს ზღვრულ და ნომინალურ ზომებს შორის. ქვედა გადახრა ეწოდება აღგებრულ სხვაობას უმცირეს ზღვრულ და ნომინალურ ზომებს შორის. ამრიგად, ნომინალური ზომა გადახრების ათვლის საწყისი ზომაა. გადახრები შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნულის ტოლი. გადახრა დადებითია, თუ ზღვრული ან ნამდვილი ზომა მეტია ნომინალურზე. ხოლო უარყოფითი - თუ აღნიშნული ზომა ნომინალურზე ნაკლებია. სტრუქტურული ცხრილებში ზღვრული გადახრები მოყვანილია მიკრომეტრებში (1 მეტ=0,001 მმ) ნომინალური ზომისა და შესაბამისი დაშვების ველების მისუდვით.

ასხვავებენ ნამდვილ გადახრას, რომელიც არის აღგებრული სხვაობა ნამდვილ და ნომინალურ ზომებს შორის.

დეტალი თვლება ვარგისად, თუ შესაძლებელი ზომის ნამდვილი გადახრა იმყოფება ზედა და ქვედა ზღვრულ გადახრებს შორის. მე-7 ნახაზის მიხედვით ნახვრეტის და ლილვის ზღვრული ზომები იანგარიშება ფორმულებით:

ნახვრეტი-

$$D_{\max} = d_N + ES;$$

$$D_{\min} = d_N + EI;$$

ლილვი-

$$d_{\max} = d_N + es;$$

$$d_{\min} = d_N + ei.$$

აღნიშნულ ფორმულებში ზღვრული გადახრა ჩაისმება მისი ნიშნის გათვალისწინებით, მმ.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1. რა არის გადახრა?
2. როგორ დაიყოფა ზღვრული გადახრები?
3. როგორ აღნიშნება ნახვრეტის და ლილვის ზღვრული გადახრები?
4. რას წარმოადგენს ნომინალური ზომა ზღვრული გადახრისათვის?
5. როგორი შეიძლება იყოს გადახრები?
6. როგორია ნამდვილი გადახრა?

1.4. ზღვრული ზომისა და გადახრის აღნიშვნა ნახაზზე

დეტალის მუშა ნახაზზე აღნიშნული ყველა ზომა პირობითად შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად:

1) შესაუდლებელი ზომა, რომელიც ერთდროულად მიეკუთვნება ორი შეუძლებული დეტალის, მაგალითად კოტეს ბუდეში ან ფურჭი, შეანტის ნახვრეტში და სხვა შეუძლების ადგილებში ნახვრეტისა და ლილვის საერთო დიამეტრის ზომას.

2) საკონსტრუქტორო ზომათა ჯაჭვების ზომა, რომელიც ქმნის სამწყობო ზომათა ჯაჭვს. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს კვანძების ან ნაკეთობების აწყობის ტექნოლოგიის საფუძველს.


3) თავისუფალი ზომა, ე.ო. იმ ზედაპირის ზომა, რომელიც არ მუშავდება მოცემული მუშა ნახაზის მიხედვით და ნახაზზე აღნიშნება მხოლოდ მისი უკეთ წარმოშობის მინით.

არსებობს დეტალის მუშა ნახაზზე ზომის აღნიშვნის შემდეგი ძირითადი პრინციპი:


შესაუდლებელი და საკონსტრუქტორო ზომათა ჯაჭვების ზომებს იღებენ ნაკეთობის სამწყობო ნახაზიდან (ნახ. 8) ან მისი კვანძებიდან (ნახ. 9) და გადახრების დასახული დეტალების მუშა ნახაზებზე (ნახ. 8, 9, ა, ბ, გ,) და ნახ. 9, ა, ბ).

დეტალის მუშა ნახაზზე ზომა აღნიშნება ზომათა რიცხვებისა და ზომათა ხაზების საშუალებით. ნახაზზე ზღვრული ზომა მიღებულია აღნიშნების ნომინალური ზომიდან ზღვრული ზომიდან ზღვრული გადახრის მნიშვნელობით. ზღვრული გადახრის რიცხვითი მნიშვნელობა ნახაზზე აღნიშნება ნომინალური ზომის გვერდით მმ-ში. გადახრის რიცხვითი მნიშვნელობა აღნიშნება უფრო წვრილი შრიფტით, ვიდრე ნომინალური ზომა. შესაბამისად, ზედა გადახრა იწერება ზევით და ქვედა - ქვევით ისე, რომ ნომინალური ზომის აღნიშვნა ზღვრული გადახრებით იყოს სტრიქონში.

მაგალითად: $\varnothing 60^{-0,025}_{-0,050}$; $\varnothing 60^{+0,03}_{-0,01}$.



ნახ. 7. პირობითი ნახვრეტის და ლილვის ქვედა ზღვაპირების ურთიერთობაზედნილი შესახველები (ნახ. 7).



ნახ.8

ნახაზზე მოყვანილი მაგალითისათვის ზღვრული ზომები იანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$d_{\max} = d_N + es = 60 + 0,25 = 60,25;$$

$$d_{mix} = d_N + ei = 60 + (-0,04) = 59,96.$$


სიმეტრიული გადახრა ნახაზზე აღინიშნება ერთი ციფრით, $70 \pm 0,05$. ამ შემთხვევაში ნომინალური ზომის და სიმეტრიული გადახრის ციფრები სიმაღლეში ერთხაირია, მაგ., $60 \pm 0,2$, ხოლო ნახაზზე $\xleftarrow{100 \pm 0,1}$

ამ შემთხვევაში ზღვრული ზომები იქნება:

$$d_{\max} = d_N + es = 60 + 0,2 = 60,2;$$

$$d_{mix} = d_N + ei = 60 + (-0,2) = 59,8.$$

0-ის ტოლი გადახრა ნახაზზე არ აღინიშნება. ამ შემთხვევაში აღინიშნება მხოლოდ ერთი გადახრა: დადებითი - ზედა გადახრის აღგილზე, უარყოფითი - ქვედა ზღვრული გადახრის აღგილზე, მაგ., $\xleftarrow{\varnothing 40^{+0,05}} | \xleftarrow{\varnothing 50_{-0,50}}$



ნახ.9

საამწყობო ნახაზზე შეუღლებაში მყოფი დეტალების ზღვრულ გადახრებს აღნიშნავენ ნომინალური ზომის გვერდით წილადის სახით, რომლის მრიცხველში იწერება ნახვრეტის ზღვრული გადახრა, ხოლო მნიშვნელში - ლილვის ზღვრული გადახრა (ნახ.10).

მუშა ნახაზზე აღნიშნული ზომების სწორი წაკითხვის გარდა საჭიროა ნაკეთობის დამზადების პროცესში ნახაზით მოცემულ მოთხოვნათა გათვალისწინება, კერძოდ აუცილებელია ნამდვილი ზომის ვარგისობის განსაზღვრა.

თუ ნამდვილი ზომა აღმოჩნდება უმცირეს და უდიდეს ზღვრულ ზომებს შორის ან ერთ-ერთი ზღვრული ზომის ტოლი, მაშინ ნამდვილი ზომა ვარგისია, ე.ი.


$$D_{\min} \leq D_{\text{наст}} \leq D_{\max};$$

$$d_{\min} \leq d_{\text{наст}} \leq d_{\max}.$$

დასკვნას წუნის შესახებ საჭიროა დაემატოს წუნის დახასიათებაც. წუნი შეიძლება გასწორდეს ან არ გასწორდეს, მაგალითად, შემოსაწვდომი ზედაპირებისათვის (ლილვისათვის) - კოტასათვის, ქიმისათვის, შეანტისათვის და ა.შ. წუნი შეიძლება გასწორდეს მათი ნამდვილი ზომების გადიდებული მნიშვნელობების დამატებითი დამუშავებით, ხოლო შემოსაწვდომი ზედაპირების (ნახვრეტის) - ნახვრეტის, ბუდის, ყუწის, ნარიმანდის და ა.შ. შემთხვევაში მათი ნამდვილი ზომების გადიდებული მნიშვნელობები დამატებითი დამუშავებით არ შემცირდება, ე.ი. წუნი გამოუსწორებელია.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1. რამდენ კატეგორიადაა დაყოფილი ზომები დეტალის მუშა ნახაზზე?
2. როგორია ნახაზზე ზომების აღნიშვნის პრინციპი?
3. როგორ აღინიშნება ზომა და გადახრა დეტალის მუშა ნახაზზე?
4. როგორ აღინიშნება ზღვრული ზომა საამწყობო ნახაზზე?
5. როგორია ზომის ვარგისობის პირობა ნახვრეტისათვის და ლილვისათვის?
6. როგორ აღინიშნება ნახაზზე ზღვრული ზომა?



ნაზ.10

1.5. ცნებები დაშვებისა და კვალიტეტის შესახებ

ნაკეთობის დამზადების დროს მნიშვნელოვანია არა ზღვრული ზომის რიცხვითი მნიშვნელობა, არამედ ზომებს შორის ინტერვალის სიდიდე. რაც უფრო დიდია ეს ინტერვალი, მით უფრო ადვილია ნამდვილი ზომის მიღება ზომების დასაშვებ ზღვრებში. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ შედარებით დაბალი სიზუსტის მჭრელი და საზომი იარაღები და სხვა ტექნიკური მოწყობილობა. თუ აღნიშნული ინტერვალი მცირება, მაშინ აუცილებელი ხდება უფრო ზუსტი მჭრელი და საზომი იარაღების და ტექნიკური მოწყობილობების გამოყენება. ამ ინტერვალის სიდიდეს უწოდებენ დაშვებას ზომაზე.

დაშვება ეწოდება სხვაობას უდიდეს და უმცირეს ზღვრულ ზომებს შორის, ან ალეგბრულ სხვაობას ზედა და ქვედა ზღვრულ გადახრას შორის, აღებულს აბსოლუტური მნიშვნელობით. ცილინდრული დეტალების და სხვა საზოგანი ზომების დაშვება აღინიშნება T ასოთი, მაგ., ნახვრეტისათვის - TD ; ლილვისათვის - Td .

დაშვება ყოველთვის დადებითი სიდიდეა და ის არ უნდა ავურიოთ ცნებაში “ნამეტი”, რომლის ქვეშ იგულისხმება დეტალის დამუშავების დროს მასალის მოსახსნელი ფენის სიდიდე.

დაშვება განსაზღვრავს დეტალის დამუშავების პროცესში ზომის მიღების სიზუსტისათვის მარტინი და დაშვენებელს. დაშვების ცნებასთან არის დაკავშირებული „სტანდარტული დაშვება“, „დაშვების ერთეული“ „დაშვების ველი“. „დაშვების ველი“.

სტანდარტული დაშვება არის დაშვების და ჩასმის ზოგადტექნიკური სტანდარტებით დადგენილი ნებისმიერი დაშვების სიდიდე.

დეტალების შეუძლებების ხასიათის დადგენისა და ანალიზის დროს იყენებენ დაშვების ველს.

დაშვების ველი ეწოდება ზედა და ქვედა გადახრებით შემოსაზღვრულ ფართობს, დაშვების ველი განსაზღვრება დაშვების სიდიდით და მისი მდებარეობით ნომინალურ ზომის მიმართ, ე. ი. ის განსაზღვრება ზედა და ქვედა გადახრებით ანუ ორი რიცხვით, იმ დროს როცა ზომაზე დაშვება განსაზღვრება ერთი რიცხვით.

დაშვების ერთეული - i ნომინალურ ზომაზე დამოკიდებულებით ექსპერიმენტულად დადგენილი გამოსახულებაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ სხვადასხვა ზომის სიზუსტე და თავის მხრივ წარმოადგენს ნომინალურ ზომაზე დაშვებათა რიგების დადგენის მეცნიერულ საფუძველს.

სისტემის დაშვება წარმოადგენს დაშვების ერთეულის - i ნამრავლს უგანზომილებო a კოეფიციენტზე, დადგენილს მოცემული სიზუსტის კვალიტეტისათვის, რომელიც არ არის დამოკიდებული ნომინალურ ზომაზე, ე. ი. $T = a \cdot i$, სადაც α კოეფიციენტი დაშვების ერთეულების რაოდენობაა. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს შემავალი სისტემის დაშვებაში დაშვების ერთეულების რაოდენობას. დაშვების ერთეულების რაოდენობა განსაზღვრება სიზუსტის კვალიტეტისთვის.

კვალიტეტი (სიზუსტის ხარისხი) არის ნომინალური ზომისათვის ერთნაირი სიზუსტის ხარისხის დონის შესაბამისი დაშვებების ერთობლიობა.

რაც უფრო მეტია დაშვების ერთეულთა რიცხვი (a) სტანდარტულ დაშვებაში, მით მეტია დაშვება და შესაბამისად ნაკლებია ნაკეთობის დამუშავების სიზუსტე და პირიქით.

ერთსა და იმავე კვალიტეტში a მუდმივი სიდიდეა, ამის გამო თითოეულ კონკრეტულ კვალიტეტში ნომინალურ ზომათა

მთელ დაბაზონში ყველა ზომას აქვს დამუშავების სიზუსტის ერთნაირი ხარისხი (ე.ო. ერთნაირი დონე), ერთსა და იმავე კვალიტეტში ნომინალურ ზომებზე დაშვები იცვლება, რადგან ნომინალური ზომის ზრდასთან ერთად იზრდება დაშვების ერთეული. უფრო ზუსტი კვალიტეტიდან შედარებით მცირე სიზუსტის კვალიტეტში გადასვლისას ნომინალურ ზომაზე დაშვება იზრდება, რადგან იზრდება დაშვების ერთეულების რიცხვი - α , ამის გამო სხვადასხვა კვალიტეტში ერთ გარკვეულ ნომინალურ ზომას აქვს დამუშავების სიზუსტის ხარისხის სხვადასხვა დონე, ე.ო. კვალიტეტი განსაზღვრავს ნომინალური ზომის დამუშავების სიზუსტეს.


კითხვები თვითმომზადებისათვის

1. რა არის ზომის დაშვება?
2. რა არის სისტემის დაშვება?
3. რა არის დაშვების ველი?
4. რა არის დაშვების ერთეული?
5. რა არის დაშვების ერთეულების რიცხვი?
6. რა არის კვალიტეტი?
7. კვალიტეტების მიხედვით როგორ იცვლება დაშვების ერთეულების რიცხვი?
8. როგორ შევადაროთ ნომინალური ზომების სიზუსტეები?

1.6. დაშვების ველის გრაფიკული გამოსახვა

ზომაზე დაშვება შეიძლება გამოვსახოთ გრაფიკულად დაშვების ველის საშუალებით ისე, რომ არ მოვიყვანოთ თვით შეულებული დეტალების ესკაზები. დაშვების ველს შესაბამის მასშტაბში გამოსახვენ ნულოვანი ხაზის მიმართ ზღვრული გადახრის მეშვეობით. ნულოვან ხაზს შესაბამება ნომინალური ზომა ($D = d$, ნახ.11) და წარმოადგენ ზღვრული გადახრის საწყის ხაზს.

ნულოვანი ხაზის პორიზონტალური მდებარეობის შემთხვევაში დადებითი გადახრა აითვლება ზევით, უარყოფითი - ქვევით. ნომინალურ ზომას აღნიშნავენ მმ-ში განზომილების ჩვენებით. დაშვების ველის გრაფიკული აგებისას (ნახ.11) საჭიროა ნულოვანი ხაზის ნებისმიერი ადაბეტილებიდან აღვმართოთ ან დავუშვათ ორი მართობი, რომლებზეც შესაბამის მასშტაბში ნიშნის გათვალისწინებით გადავზომოთ ზედა და ქვედა ზღვრული გადახრები ნახვრეტისათვის ES და EI , ხოლო ლილივისათვის - es და ei , მიღებული წერტილებიდან 1, 2, 3, 4, გავავლოთ ნულოვანი ხაზის პარალელური ხაზები და შევკრათ მართკუთხედები, რომელთა სიგრძეები შეირჩევა ესთეტიკური მოსაზრებით.



ნახ.11

როგორც ნახაზიდან ჩანს, დაშვების ველის გრაფიკული გამოხატვისას იგი წარმოადგენს მართკუთხედს, რომელიც განლაგებულია ნულოვანი ხაზის მიმართ ისეთნაირად, რომ მისი ზედა პორიზონტალური გვერდი შეესაბამება ზედა ზღვრულ გადახრას, ხოლო ქვედა-ქვედა ზღვრული გადახრას, განსაზღვრულს ზღვრული ზომების საშუალებით, იმ პირობით, რომ ქვედა შესხველები, საიდნაც აითვლება ზღვრული ზომები, ურთიერთთანხვდენილია სქემის გარეთ (ნახ. 11-ზე პირობითად პორიზონტალური წყვეტილი ხაზი).

ამრიგად, მართკუთხედის სიმაღლე განსაზღვრავს დაშვების სიდიდეს T. ზღვრული გადახრის მნიშვნელობები მიკრომეტრუბში მათი ნიშნის გათვალისწინებით აღინიშნება მართკუთხედის ორი მარჯვენა კუთხის ახლოს. ზღვრული გადახრის განზომილებები ნახაზზე არ აღინიშნება.

ნახაზის მახვედით ზღვრული ზომებია:

ნაზვრეტისათვის

$$D_{\max} = D_N + ES;$$

$$D_{\min} = D_N + EI.$$

ლილვისათვის

$$d_{\max} = d_N + es;$$

$$d_{\min} = d_N + ei.$$

ზღვრული გადახრა შეიტანება ნიშნის გათვალისწინებით.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1. რა არის ნულოვანი ხაზი?
2. რის მეშვეობით გამოსახავენ დაშვების ველის?
3. როგორ აიგება დაშვების ველი?
4. რას განსაზღვრავს დაშვების ველის სიმაღლე?
5. როგორ შეირჩევა დაშვების ველის სიგრძე პორიზონტალური მიმართულებით?
6. ნულოვანი ხაზის მიმართ როგორ აითვლება ზღვრული გადახრა?
7. რას გამოსახავს დაშვების ველის პორიზონტალური ხაზები?

1.7. ცნებები შეერთებასა და ჩასმაზე

უძრავად ან მოძრავად შეერთებულ ორ ან რამდენიმე დეტალს შეუდლებული დეტალები ეწოდება. ზედაპირუბს, რომლებითაც ხდება დეტალების შეერთება, შეუდლებული ზედაპირები ეწოდება. სხვა დანარჩენ ზედაპირუბს არაშეუდლებულს ანუ თავისუფალს უწოდებენ. ამის შესაბამისად ასხვავებენ შეუდლებული ზედაპირუბის და არაშეუდლებული - თავისუფალი ზედაპირების ზომებს.

შესაუდლებელი ზედაპირების ფორმის მიხედვით გვაქვს:

- 1) გლუვი ცილინდრული შეუდლებები - შეანტით, მრგვალი კოტათი და ბუდით შეერთებები;
- 2) ბრტყელი შეუდლებები სწორი გეომეტრიული ფორმით - კოტათი და ბუდით, კოტათი და ფუნქცით, ქიმითა და ნარიმანდით შეერთებები;
- 3) ბრტყელი შეუდლებები ირიბი გეომეტრიული ფორმით - მერცხლის კუდა კოტათი, ტრაპეციის ფორმის ქიმითა და ნარიმანდით, კბილანური კოტათი, ირიბპირა შეერთებები.

გარდა ამისა, გვაქვს ხის დეტალების შეუდლება ლითონის სამაგრი ელემენტების გამოყენებით - ფარლოვანი დეტალების შეერთება მოსაჭიმების საშუალებით, ძელაკის მიმაგრება სჭვალებით, კარის დამაგრება ანჯამებით და ა.შ.

ავეჯის ნაკეთობებში გეგველება აგრეთვე მერქნული და არამერქნული დეტალების შეერთება, მაგალითად: კარისა და ანჯამის, კედლისა და თაროს დამჭერის ფალის, კედლისა და შტანგის დამჭერის, ჩარჩოსა და მინის შეერთებები.

დეტალების უძრაობის ან მოძრაობის ხარისხის მიხედვით გვაქვს:

- 1) უძრავი დაუშლელი შეუდლება, რომელშიც ერთი შეუდლებული დეტალი უძრავია მეორის მიმართ ნაკეთობის ექსპლუატაციის მოელი პერიოდის განმავლობაში, მაგ., შეანტით შეერთება წებოს საშუალებით, კოტათი შეერთება წებოს საშუალებით. ასეთ შეუდლებაში გამოიყენება ჩასმა გარანტირებული ჭექით. ჭექის არსებობა წებოსთან ერთად უზრუნველყოფს შეერთების მეტი სიმჭიდროვეს და სიმტკიცეს.

2) უძრავი დასაშლელი შეუდლება, რომელიც წინასაგან იმით განსხვავდება, რომ მასში შეიძლება ერთი დეტალის გადაადგილება მეორის მიმართ შეუდლების რეგულირების ან დაშლის შემთხვევაში, მაგ., მშრალი შკანტით შეერთება და ყველა მერქნული შეერთება წებოს გარეშე.

ასეთ შეუდლებაში გამოიყენება გარდამავალი ჩასმები.

- 3) მოძრავი შეუდლება, რომელშიც ნაკეთობის ექსპლუატაციის საჭირო შემთხვევებში ერთი შეუდლებული დეტალი

გადაადგილდება მეორის მიმართ გარკვეული მიმართულებით, მაგ., კარი-ლიობი, უჯრა-ლიობი, გასაწევი კარი მიმმართველ ძელაკებში, გასაშლელი მაგიდის ქვედანი მიმმართველ ძელაკებზე და ა.შ.

ასეთ შეუღლებაში გამოიყენება ჩასმა გარანტირებული ღრებოთი.

ნაკეთობის საექსპლუატაციო მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად მასში შემავალი დეტალების აწყობა ხორციელდება სხვადასხვა ჩასმით.

ჩასმა ეწოდება შეუღლებაში მყოფი დეტალების შეერთების ხასიათს, რომელიც განისაზღვრება ნაკეთობის აწყობამდე შეუღლებული ზედაპირების ზომების სხვაობით, რაც უზრუნველყოფს დეტალების ფარდობით თავისუფალ ურთიერთობადადგილებას ან შეუღლების სიმტკიცეს და სიმჭიდროვეს.


ჩასმის ძირითადი მახასიათებელი სიღიღებია ღრებო ან ჭექი.

ღრებო ეწოდება დადგებით სხვაობას ნახვრეტისა (ნახვრეტი, ყუნწი, ბუდე, ნარიმანდი და ა.შ.) და ლილვის (შკანტი, კოტა, ქიმი და ა.შ.) ზომებს შორის, ხოლო ჭექი - დადგებით სხვაობას ლილვისა და ნახვრეტის ზომებს შორის.

ღრებო აღინიშნება S ასოთი, ჭექი კი N ასოთი. ღრებოს და ჭერის ზღვრულ მნიშვნელობებს აღნიშნავენ ინდექსით უდ., უმც. ან max, min.

ნახვრეტის და ლილვის დაშვების ველების ურთიერთობანალაგებაზე დამოკიდებულებით ასხვავებენ შემდეგ ჩასმებს: ჩასმა ღრებოთი, ჩასმა ჭექით და გარდამავალი ჩასმა.

ღრებოთი ჩასმის შემთხვევაში ვარგისი დეტალების აწყობის დროს შეუღლებაში გარანტირებულია ღრებოს მიღება. წარმოებაში დეტალების შესაუღლებელი ზედაპირების ზომების (მაგ. D და d- ნახ.12) იდეალურად ზუსტად ანუ ცდომილებების



ნახ.12

გარეშე დაშადება პრაქტიკულად მიუღწეველია, ამიტომ შეუძლებელია ერთი და იმავე ნომინალური ზომით ერთგვაროვან შეერთებებში მუდმივი სიღიღის (S) ღრებოს მიღება. ეს განაპირობებს ნახვრეტისა და ლილვის ზომების დამზადებაზე ეკონომიურად მიზანშეწონილი დაშვებების შერჩევას შესაბამისად ნახვრეტისათვის TD და ლილვისათვის Td (ნახ.12). ამით შესაძლებელია შეუღლებაში მიღებული ღრებოს ცვლილება მინიმალურ მნიშვნელობამდე (S უდ) ღრებოზე დაშვების ზღვრებში. ამრიგად, უმცირესი და უდიდესი ღრებოები ორი ზღვრული ღრებოს მნიშვნელობებია, რომელთა შორის უნდა იმყოფებოდეს შეუღლებაში მიღებული ღრებო შერჩეული ჩასმის მიხედვით. ღრებოზე დაშვება შეირჩევა საწყისი შეუღლებისათვის საჭირო ღრებოს S (ნახ.12, a) გაზრდის შარაქს, რადგან აღნიშნული ღრებოს შემცირებამ შეიძლება გაუარესოს დეტალების ფარდობითი ურთიერთობანალაგების ხარისხი. ამრიგად, საჭირო ღრებო - S (ნახ.12, a) აღმოჩნდება ჩასმის უმცირესი ღრებო S=Sუმც (ნახ.12, b), რაც განსაზღვრავს გარანტირებული ღრებოთი ჩასმის ხასიათს.

ღრებოს ზღვრული მნიშვნელობები იანგარიშება ფორმულებით:

$$S_{\text{უდ.}} = D_{\text{უდ.}} - d_{\text{უდ.}}$$


$$S_{\text{უმც.}} = D_{\text{უმც.}} - d_{\text{უმც.}}$$

ღრებოს საშუალო მნიშვნელობა იანგარიშება ფორმულით


$$S_{\text{საშ.}} = \frac{S_{\text{უდ.}} + S_{\text{უმც.}}}{2}$$

$$\text{ღრებოს დაშვება } T(S) = S_{\text{უდ.}} - S_{\text{უმც.}}$$

გარანტირებულ ღრებოთი ჩასმაში ნახვრეტის დაშვების ველი მდებარეობს ლილვის დაშვების ველის ზევით (ნახ.13). ღრებოთი ჩასმას მიეკუთვნება აგრეთვე ჩასმა, რომელშიც ნახვრეტის დაშვების ველის ქვედა ზღვარი ემთხვევა ლილვის



ნახ.13



ნახ.14

დაშვების ველის ზედა ზღვარს (ნახ.14).

ჭექით ჩასმის შემთხვევაში ვარეგისი დეტალების აწყობის დროს შეუძლებაში გარანტირებულია ჭექის მიღება. ჭექით ჩასმის შემთხვევაში ნახვრეტის და ლილვის ზომების დამზადებაზე ეკონომიურად მიზანშეწონილი დაშვებები TD და Td (ნახ.15, ბ) უნდა შეირჩეს საწყისი შეუძლებისათვის საჭირო N ჭექის (ნახ.15,ა) შემცირების მხარეს, რადგანაც აღნიშნული ჭექის გადიდებამ შეიძლება გაართულოს ორი დეტალის შეუძლების სწორი ფორმირება. ამრიგად, საწყისი შეუძლებისათვის საჭირო N ჭექი აღმოჩნდება უდიდესი $N = N_{\text{უ}}$ (ნახ.15,ბ), რაც განსაზღვრავს გარანტირებული ჭექით ჩასმის ხასიათს.


ჭექის ზღვრული მნიშვნელობები იანგარიშება ფორმულებით:

$$N_{\text{უ}} = d_{\text{უ}} - D_{\text{უ}},$$


$$N_{\text{უ}} = d_{\text{უ}} - D_{\text{უ}},$$

ჭექის საშუალო მნიშვნელობა იანგარიშება ფორმულით

$$N_{\text{საშ.}} = \frac{N_{\text{უ}} + N_{\text{უ}}}{2}.$$



ნახ.15



ნახ.16

ჭექის დაშვება $T(N) = N_{\text{უ}} - N_{\text{უ}}$.

გარანტირებულ ჭექით ჩასმაში ლილვის დაშვების ველი მდებარეობს ნახვრეტის დაშვების ველის ზევით (ნახ. 16).

გარდამავალი ჩასმის შემთხვევაში დეტალების ნამდვილ ზომებზე დამოკიდებულებით ერთგვაროვან შეუძლებაში შესაძლებელია შედარებით მცირე სიდიდის დრეჩის ან ჭექის მიღება. გარდამავალი ჩასმის შემთხვევაში ნახვრეტისა და ლილვის ზომების დამზადებაზე ეკონომიურად მიზანშეწონილი დაშვებები TD და Td (ნახ.17) უნდა შეირჩეს ისე, რომ დეტალების დაშვების ველებმა ერთმანეთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაფარონ. ამის შედეგად საწყისი შეუძლებისათვის საჭირო N ჭექი (ნახ.17,ა) აღმოჩნდება ჩასმის უდიდესი ჭექი $N = N_{\text{უ}}$ (ნახ.17,ბ). ის მიღება იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებაში აღმოჩნდება დიამეტრის ლილვი და უმცირესი დიამეტრის ნახვრეტი. თუ შეუძლებაში გვაქვს უდიდესი დიამეტრის ნახვრეტი და უმცირესი დიამეტრის ლილვი, კლებულობთ უდიდესი დრეჩი. უმცირესი დრეჩი და უმცირესი ჭექი გარდამავალ ჩასმაში ნულის ტოლია. ზღვრული დრეჩი და ჭექი იანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$S_{\text{უ}} = D_{\text{უ}} - d_{\text{უ}}, \quad N_{\text{უ}} = d_{\text{უ}} - D_{\text{უ}},$$

გარდამავალ ჩასმაში ღრებოს და ჭექის საშუალო მნიშვნელობები იანგარიშება ფორმულებით:

ა) როცა

$$N_{\text{უდი}} > S_{\text{უდი}},$$

$$N_{\text{სამ.}} = \frac{N_{\text{უდი}} - S_{\text{უდი}}}{2};$$

ბ) როცა


$$S_{\text{უდი}} > N_{\text{უდი}},$$

$$S_{\text{სამ.}} = \frac{S_{\text{უდი}} - N_{\text{უდი}}}{2}.$$


ჩასმის დაშვება

$$T(S, N) = S_{\text{უდ.}} + N_{\text{უდ.}}$$

გარდამავალ ჩასმაში ნახვრეტისა და ლილვის დაშვების ველები ნაწილობრივ ან მთლიანად გადაფარავენ ერთმანეთს (ნაზ.18).



ნაზ.17



ნაზ.18

ზოგადად, ჩასმის დაშვება შეუღლებაში მყოფი ნახვრეტის და ლილვის დაშვებათა ჯამის ტოლია. ჩასმის დაშვება განსაზღვრავს ნაკეთობის აწყობის სიზუსტეს.


კითხვები თვითმომზადებისათვის

1. რას ეწოდება შეუღლებული დეტალები?
2. რამდენი სახის ზედაპირი არსებობს?
3. როგორ დაიყოფა ზედაპირების ზომები?
4. რასახის შეერთებებია დეტალების შესაუღლებელი ზედაპირების ფორმის მიხედვით?
5. რასახის შეერთებები გვაქვს დეტალების უძრაობის ან მოძრაობის ხარისხის მიხედვით?
6. რა არის ჩასმა?
7. რამდენი სახის ჩასმაა?
8. როგორია ღრებითი ჩასმა?
9. როგორია ჩექით ჩასმა?
10. როგორია გარდამავალი ჩასმა?
11. რა არის ჩასმის დაშვება?
12. რას განსაზღვრავს ჩასმის დაშვება?


1.8. ჩასმის აგების სისტემები

ასხვავებენ ჩასმის აგების ორ ძირითად სისტემას, რომლებიც ემყარება ჩასმის გამარტივებული ხერხით აგების პრინციპს. აღნიშვნული პრინციპი ითვალისწინებს ორი, ერთმანეთის ეკვივალენტური მარტივი ხერხის გამოყენებას. სხვადასხვა ჩასმების მისაღებად ორი შეუღლებული დეტალიდან ერთ-ერთს პირობითად უწოდებენ ძირითად დეტალს, რომლის დაშვების ველის მდებარეობას ანუ ზღვრულ გადახრას ნულოვანი ზაზის მიმართ ტოვებენ უცვლელად, ხოლო სხვადასხვა ზასიათის ჩასმის მისაღებად მეორე, ე.წ. შესაუღლებელი დეტალის დაშვების ველის მდებარეობას ანუ ზღვრულ გადახრას - ცვლიან, რაც უზრუნველყოფს ჩასმისათვის საჭირო ღრებოს ან ჭექის მიღებას.

თუ ორი შეუღლებული დეტალიდან ძირითად დეტალად პირობითად მივიღებთ ნახვრეტს, ვღებულობთ ჩასმის აგების ე.წ. ნახვრეტის სისტემას. ძირითადი ნახვრეტის დაშვების ველის ქვედა გადახრა ნულის ტოლია ან მისი უმცირესი ზღვრული



ნახ.19



ნახ.20

ზომა ემთხვევა ნომინალურ ზომას (ნახ.19). მე-19 ნახაზზე ნაჩვენებია ნახვრეტის სისტემაში სხვადასხვა ჩასმის გრაფიკული გამოსახულება. ერთსა და იმავე ნომინალურ ზომაზე და სიზუსტის კვალიტეტის დროს ნახვრეტის ნახაზზე ნომინალური ზომის გვერდით წერენ H ასოს სიზუსტის კვალიტეტის მითითებით, მაგ., $\phi 40H14$; $\phi 30H13$ და ა.შ.. ხოლო ლილვის მუშა ნახაზზე ნომინალური ზომის გვერდით იწერება ჩასმის აღმნიშვნელი ასო სიზუსტის კვალიტეტის მითითებით, მაგ., $\phi 40k14$; $\phi 35h13$ და ა.შ.

თუ რიც შეუძლებული დეტალიდან ძირითად დეტალად პირობითად მივიღებთ ლილვს, კლებულობო ჩასმის აგების ე.წ. ლილვის სისტემას. ძირითადი ლილვის დაშვების ველის ზედა გადახრა ნულის ტოლია ან მისი უდიდესი ზღვრული ზომა ემთხვევა ნომინალურ ზომას (ნახ. 20). მე-20 ნახაზზე ნაჩვენებია ლილვის სისტემაში სხვადასხვა ჩასმის გრაფიკული გამოსახულება. ერთსა და იმავე ნომინალურ ზომაზე და სიზუსტის კვალიტეტის დროს ლილვის ნახაზზე ნომინალური ზომის გვერდით წერენ h ასოს სიზუსტის კვალიტეტის მითითებით, მაგ., $h14$; $h13$ და ა.შ., ხოლო ნახვრეტის მუშა ნახაზზე ნომინალური ზომის გვერდით იწერება ჩასმის აღმნიშვნელი I ასო სიზუსტის კვალიტეტის მითითებით, მაგ., $I14$; $I13$ და ა.შ.

ნახვრეტის ან ლილვის სისტემის შერჩევა ხდება კონტრუქციული, ტექნოლოგიური და ეკონომიური მოსაზრებებიდან.

ნახვრეტის სისტემაში შესრულებული ჩასმის მაგალითებია: შეკანტით შეერთება, ერთმაგი კოტათი და ყუნწით შეერთება, ეთმაგი კოტათი და ბუდით შეერთება, მრგვალი კოტათი და ბუდით შეერთება, შეერთება ქიმითა და ნარიმანდით და ა.შ. ლილვის სისტემაში შესრულებული ჩასმის მაგალითებია: კარში ანჯამის ჩასმა, კედელში თაროს დამჭერის ფალის ჩასმა, კედელში შტანგის დამჭერის ჩასმა, ჩარჩოში მინის ჩასმა, კარში ჭრილების ჩასმა, კედელში მოსაჭიმის ნახვრეტში დამზრდების ჩასმა და ა.შ.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1. ჩასმის აგების რამდენი სისტემა არსებობს?
2. რას ითვალისწინებს ჩასმის გამარტივებული ხერხით აგების პრინციპი?
3. რა რის ნახვრეტის სისტემა?
4. ნახვრეტის სისტემაში სხვადასხვა ჩასმის გრაფიკული გამოხაზვა.
5. რა არის ლილვის სისტემა?
6. ლილვის სისტემაში სხვადასხვა ჩასმის გრაფიკული გამოხაზვა.
7. ნახვრეტის და ლილვის სისტემების ჩასმების გამოყენების მაგალითები.

თავი II
ტექნიკური გაზომვის საფუძვლების ცის დამუშავებაში

წინასიტყვაობა

დეტალების და კვანძების ურთიერთშენაცვლებადობის პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია ტექნიკური გაზომვის სათანადო დონის მიღწევის გარეშე ტექნიკურ გაზომვას მიეკუთვნება სხვადასხვა ფიზიკური სიდიდეების განსაზღვრული მეთოდებით და საშუალებებით შესრულებული გაზომვები. ხის დამუშავებაში ტექნიკური გაზომვა წარმოადგენს მთელი ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთ ორგანულ შემადგენელ ნაწილს. ტექნიკური გაზომვის მეთოდების და საშუალებების სათანადო სიზუსტე და მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს ნაკეთობის წარმოების ეკონომიკაზე და მის ხარისხზე. ხარისხის მართვის მეცნიერული დასაბუთება ითვალისწინებს ყველა საჭირო საზომი და საკონტროლო საშუალების არსებობას და მათ სწორ გამოყენებას.

დეტალების გარკვეული პარტიის დამზადებისას გაზომვის შედეგად მიღების განხევა, რაც შეიძლება გამოწვეული იყის ტექნოლოგიური მოწყობილობების, სამარჯვების, მუშა და საზომი ხელსაწყოების გაუმართაობით, არათანაბარი დამუშავების რეჟიმებით, ოპერატორების შეცდომებით და სხვ., ამიტომ დეტალის კონკრეტული ზომის გაზომვის შედეგი წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს. შემთხვევითი სიდიდეა აგრეთვე დეტალის ზომის ცდომილებაც, ე.ო. სხვაობა მოცემულ ზომასა და გაზომვის შედეგს შორის. ამის გამო გაზომვის შედეგების დამუშავებისათვის, ისევე როგორც სხვა შემთხვევითი სიდიდეების დროს, გამოიყენება ალბათობის და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები და ხერხები.

გაზომვის შედეგების დამუშავება გამოიყენება ტექნოლოგიური პროცესების ანალიზისათვის, ტექნოლოგიური დაშვების დასადგენად, ნაკეთობის ხარისხის რეგულირების და სტატისტიკური კონტროლის დროს დეტალების შერჩეული პარტიების სტატისტიკური მახასიათებლების განსაზღვრისათვის.

საკვანძო ტერმინები

ტექნიკური გაზომვა
ფიზიკური სიდიდის ერთეული (ძირითადი,
დამატებითი, წარმოებული, ჯერადი)
გაზომვა
კონტროლი
პირდაპირი გაზომვის ხერხი
ირიბი გაზომვის ხერხი
აბსოლუტური გაზომვის ხერხი
ფარდობითი გაზომვის ხერხი
უშუალო შეფასების მეთოდი
შედარების მეთოდი
დიფერენციალური მეთოდი
დამთხვევის მეთოდი
დაპირისპირების მეთოდი
კონტაქტური და უკონტაქტო მეთოდი (კონტროლი)
აქტიური და პასიური კონტროლი
გაზომვის ცდომილებები
გაზომვის სიზუსტე
აბსოლუტური და ფარდობითი ცდომილება
აბეს პრინციპი
პარალაქსის ცდომილება
აბსოლუტური მგრძნობარობა
ვარიაცია
სუბიექტური ცდომილება

სააარადო ცდომილება
სტატისტიკური და დინამიკური ცდომილებები
მეთოდის ცდომილება
შემთხვევითი ცდომილება
სისტემატური ცდომილება
უხეში ცდომილება
განაწილების ნორმალური კანონი (ჰაუსის მრუდი)
ფარდობითი სიხშირე
განბნევის ველი
პისტორამა
განაწილების სიმჭიდროვე
განაწილების პარამეტრები
საშუალო კვადრატული გადახრა
რისკის კოეფიციენტი
მისაღები ზღვრები
საწარმოო დაშვება

2.1. გაზომვის და კონტროლის მეთოდების კლასიფიკაცია

ხის დამუშავებაში ტექნიკურ გაზომვას ძირითადად მიეკუთვნება ხაზოვანი და კუთხური სიდიდეების გაზომვა, კერძოდ, დეტალების, საამწყობო ერთეულების და ნაკეთობების გეომეტრიული პარამეტრების გაზომვები-ზედაპირის ხაზოვანი და კუთხური ზომები, ფორმისა და მდებარეობის გადახრები, ტალღოვნება და სიმქესე.

მოცემული სიდიდის ფიზიკური შედარების პროცესს გაზომვის ერთეულად მიღებულ სიდიდესთან გაზომვა ეწოდება. თუ გასაზომისიდეს აღვნიშნავთ \mathcal{Q} ასოთ, მის გაზომვის ერთეულს - $[\mathcal{Q}]$, ხოლო გაზომვის ერთეულები მიღებულ გასაზომი სიდიდის რიცხვით მნიშვნელობას - q -თი, მივიღებთ

$$\mathcal{Q} = q[\mathcal{Q}]$$

გაზომვა წარმოებს ნაკეთობის როგორც ნამდვილი ზომის ნაზაზით მოთხოვნილ ზომასთან შესაბამისობის დასაღვენად, ასევე წუნის თავიდან აცილების მიზნით, ტექნოლოგიური სისტემისა და მისი გაწყობის სიზუსტის შესამოწმებლად.

გასაზომი სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობის განსაზღვრის ნაცვლად საჭიროების შემთხვევაში ამოწმებენ ამ სიდიდის მნიშვნელობას (მაგ., დეტალის ზომა) დადგენილ ზღვრებში. დეტალის პარამეტრების შესახებ ინფორმაციის მიღების პროცესს, მათი ვარგისობის დადგენის მიზნით კონტროლი ეწოდება. რომლის დროსაც ამოწმებენ დეტალის გეომეტრიული პარამეტრების შესაბამისობას ნორმირებულ (დასაშენებლივ დაფუძნებული განვითარების საშუალებით).

გამოყენების პრინციპების შესაბამისად გაზომვები არის ოპტიკური, პრეცესური და სხვ.

გაზომვის მეთოდი არის გაზომვის პრინციპებისა და საშუალებების გამოყენების ხერხების ერთობლიობა, ხოლო გაზომვის პრინციპი - ფიზიკურ მოვლენათა ერთობლიობა, რაზეცა დაფუძნებული გაზომვა.

გაზომვა არის ფიზიკური სიდიდის მნიშვნელობის განსაზღვრას სპეციალური საშუალებების გამოყენებით.

გასაზომი ფიზიკური სიდიდის მნიშვნელობის განსაზღვრის ხერხის მიხედვით გაზომვები იყოფა შემდეგ სახეებად: პირდაპირი, ირიბი, ასსოლუტური და ფარდობითი.

1. პირდაპირი გაზომვების დროს გასაზომი სიდიდის მნიშვნელობა განისაზღვრება უშუალოდ ცდის მონაცემებით. პირდაპირი გაზომვის მაგალითებია: სიგრძის გაზომვა - სახაზავის საშუალებით, კუთხის ზომების - კუთხესაზომით, ლილვის დამეტრის - მიკრომეტრით და სხვ. პირდაპირი გაზომვა წარმოადგენს ირიბი და ერთობლივი გაზომვების საფუძველს.

2. ირიბი გაზომვების დროს გასაზომი სიდიდის მნიშვნელობა განისაზღვრება ამ სიდიდესა და პირდაპირი გაზომვით მიღებულ სიდიდეს შორის ცნობილი დამოკიდებულების საფუძველზე, მაგალითად, კუთხის გაზომვის ტრიგონომეტრიული მეთოდი. რომლის დროსაც სწორკუთხა სამკუთხევის კუთხის განსაზღვრავენ კათეტებისა და ჰიპოტენუზის სიგრძეების გაზომვით, ან კუთხვილის საშუალო დიამეტრის გაზომვა სამი მავთულის მეთოდით.

3. ასსოლუტური გაზომვის დროს გასაზომი სიდიდის მნიშვნელობა განისაზღვრება ერთი ან რამდენიმე ძირითადი სიდიდის გაზომვით.

ხაზოვანი და კუთხური ასსოლუტური გაზომვებისას, როგორც წესი, პოლულოენ ერთ ფიზიკურ სიდიდეს, მაგალითად, ლილვის დამეტრის - შტანგენფარგლით, კუთხეს - კუთხესაზომით, ხაზოვან ზომებს - მიკროსკოპით.

4. ფარდობითი გაზომვების დროს გასაზომი სიდიდის მნიშვნელობა განისაზღვრება ამ სიდიდის გაზომვით საწყისად მიღებულ ერთსახელა სზომის სიდიდის მიმართ, კერძოდ, ხდება გასაზომი სილიდის შედარება საზომის ცნობილ სიდიდესთან, ხოლო საძიებელ სიდიდეს პოლულობენ საზომის ზომისა და ხელსაწყოს ჩვენების აღგებრული შეჯამებით, მაგალითად, ნახვრეტის დიამეტრის გაზომვა შესაბამის ზომებზე გაწყობილი ინდიკატორული შეკვეთით, ლილვის დამეტრის გაზომვა ბერკეტიანი კავით.

სხვადასხვა ნიშნის მიხედვით გაზომვის მეთოდება:

უშუალო შეფასების მეთოდი, რომლის დროსაც გასაზომი სიდიდის მნიშვნელობას პოულობენ უშუალოდ პირდაპირი ქმედების საზომი ხელსაწყოს ასათვლელი მოწყობილობის საშუალებით (მაგალითად, ნაკეთობის სიგრძის გაზომვა სახაზავის საშუალებით, ნახვრეტის დიამეტრის გაზომვა მიკრომეტრული შეგვა გონიის საშუალებით);

5. შედარების მეთოდი, რომლის დროსაც გასაზომი სიდიდეს უშუალოდ დადარებენ საზომით აღწარმობულ სიდიდეს, მაგალითად, ლილვის დამეტრის გაზომვა საჭერელაში ჩამაგრებული შესაბამისი ზომის ბრტყელ-პარალელური ფილათ ბლოკის საშუალებით, ნაკეთობის მასის განსაზღვრა ბერკეტიანი სასწორო შეკვეთით, გაზომვის მეთოდით.

6. დიფერენციალური მეთოდი ზომასთან შედარების მეთოდია, რომლის დროსაც გასაზომი სიდიდესა და საზომით აღწარმოებულ სიდიდეს შორის სხვაობას ზომავენ სკალის ნიშნულების ან პერიოდულ სიგნალების დამტკვეთი, მაგალითად, სიგრძის გაზომვა ნონიუსიანი შტანგენფარგლით, როდესაც შტანგისა და ნონიუსის სკალების ნიშნულები ერთმანეთს ემთხვევა.

7. დაპირისპირების მეთოდი ზომასთან შედარების მეთოდია, რომლის დროსაც გასაზომი და საზომით აღწარმოებულ

სიდიდეები ერთდროულად მოქმედებენ შედარების ხელსაწყოზე, რომლის საშუალებითაც ხდება ამ სიდიდეებს შორის თანაფარდობის განსაზღვრა, მაგალითად, კომპარატორზე ხაზოვანი შტრიჩებიანი საზომვის გაზომვა.

გასაზომობის მიხედვით არჩევენ გაზომვის (კონტროლის) კონტაქტურ და ჟკონტაქტო მეთოდებს.

კონტროლის შედეგების ტექნოლოგიურ პროცესთან კავშირის მიხედვით კონტროლი არის აქტიური და პასიური.

აქტიური კონტროლის მახასიათებელი სახეა დეტალის კონტროლი დამუშავების პროცესში და პროცესის მართვა ამ კონტროლის შედეგების მიხედვით. პასიური კონტროლის შემთხვევაში შსკელობენ დასაშვებ ფარგლებში მზა ნაშადის ზომების მდებარეობის შესახებ.

კითხვები თვითმომზადებისათვის

- 1) როგორ იყოფა გაზომვები გამოყენების პრინციპების შესაბამისად?
- 2) რა არის გაზომვის მეთოდი და გაზომვის პრინციპი?
- 3) გაზომვის რასეხები არსებობს?
- 4) როგორ იყოფა გაზომვის მეთოდები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით?
- 5) როგორ იყოფა გაზომვები გასაზომობის მიხედვით და საზომობის მიხედვით?
- 6) როგორ იყოფა გაზომვები კონტროლის შედეგების ტექნოლოგიურ პროცესთან კავშირის მიხედვით ?

2.2. გაზომვის ცდომილებები

ყველა გაზომვის შედეგი ძირითადად წარმოადგენს ორი დამოუკიდებელი სიდიდის ფუნქციას, რომელთაგან ერთი გასაზომი სიდიდის ნამდვილი მნიშვნელობაა, ხოლო მეორე - მისი გაზომვის ცდომილება. თუ სიდიდის ნამდვილ მნიშვნელობას აღვინიშნავთ $X_{\text{ნამდ.}}$, ხოლო მისი გაზომვის ცდომილებას - ΔX , მაშინ გაზომვის შედეგი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ტოლობით:

$$\left. \begin{aligned} X &= f(X_{\text{ნამდ.}}, \Delta X) \\ X &= X_{\text{ნამდ.}} + \Delta X \end{aligned} \right\},$$

საიდანაც

მაშასადამე, გაზომვის ცდომილება არის გაზომვის შედეგის გადახრა გასაზომი სიდიდის ნამდვილი მნიშვნელობიდან. გაზომვათა N რიცხვის შემთხვევაში გაზომვის შედეგების რიგი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

$$\sum_1^N X_i = NX_{\text{ნამდ.}} + \sum_1^N \Delta X_i.$$

ალბათობის თეორიიდან ცნობილია, რომ ცდომილებების ალგებრული ჯამი გაზომვათა რიცხვის (N) ზრდასთან ერთად მიისწრაფული 0-კენ:

$$\sum_1^N \Delta X_i \approx 0.$$

აღნიშნულის გათვალისწინებით გაზომვათა რიგის გამოსახულებიდან ვდებულობთ

$$\sum_1^N X_i = NX_{\text{ნამდ.}}, \quad \text{საიდანაც}$$

$$\frac{\sum_1^N X_i}{N} = \frac{X_1 + X_2 + \dots + X_N}{N} = \bar{X}_{\text{სამდ.}} \approx X_{\text{ნამდ.}}$$

ცდომილება არ უნდა ჩაითვალოს შეცდომად, რადგანაც იგი დადგენილი წესებით, ზუსტად ჩატარებული ნებისმიერი გაზომვის აუცილებელი თვისებაა. გაზომვის დროს შეცდომა (წესების დარღვევა) შესაძლებელია, მაგრამ ასეთი გაზომვა მხედველობაში არ მიიღება, რადგანაც გასაზომი სიდიდის ნამდვილი მნიშვნელობა რჩება განუსაზღვრული, ამიტომ პრაქტიკაში შესაძლებელია მხოლოდ გაზომვის ცდომილების მიახლოებული შეფასება. რაც უფრო მცირეა გაზომვის ცდომილება, მით ნაკლებია სხვაობა გასაზომი სიდიდის ნამდვილ მნიშვნელობასა და გაზომვის შედეგს შორის. გაზომვის ცდომილების გაზრდასთან ერთად მცირდება გაზომვის სიზუსტე.

ძირითადად გაზომვის ცდომილებებს განასხვავებენ მათი რიცხვითი გამოსახულების ფორმის, სიღილის და წარმოშობის კანონზომიერების მიხედვით.

რიცხვითი გამოსახულების ფორმის მიხედვით ცდომილებები არის აბსოლუტური და ფარდობითი. აბსოლუტური ცდომილება გამოსახება გასაზომი სიღილის ერთეულებით (მილიმეტრი, მიკრომეტრი, გრადუსი და ა.შ.).

გაზომვის შედეგებს ხშირად აფასებენ ფარდობითი ცდომილებით, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტური ცდომილების ფარდობას თვით სიღილის მნიშვნელობასთან. ფარდობითი ცდომილება გამოსახულება გასაზომი სიღილის საზომის ან გასაზომი ხელსაწყოს ზედა ზღვრის წილით ან პროცენტით. რაც ნაკლები ფარდობითი ცდომილება, მით მეტია გაზომვის სიზუსტე. გაზომვის დასაშევები ცდომილება ეწოდება გაზომვის ცდომილების იმ ზღვრულ მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება დაუკავშიროს გაზომვის დროს ნამდვილ ზომის დასაშევები ზღვრულ ზომსთან შესაბამისობის შესაფარებლად.

გაზომვის სიზუსტეს აფასებენ გაზომვის შედეგების ცდომილებების შედარების საფუძველზე. ამიტომ გაზომვის ცდომილებებს გამოსახვენ ისეთი ფორმით, რომ გაზომვის სიზუსტის შეფასებისას საკმარისი იყოს მხოლოდ გაზომვის ცდომილებების შედარება. პრაქტიკით ცნობილია, რომ კუთხის გაზომვის აბსოლუტური ცდომილება არ არის დამოკიდებული გასაზომი კუთხის სიღილეზე. ხოლო სიგრძის გაზომვის აბსოლუტური მნიშვნელობა კი დამოკიდებულია გასაზომი სიგრძის სიღილეზე. რაც უფრო მეტია გასაზომი სიგრძის სიღილე, მით მეტია გაზომვის აბსოლუტური ცდომილება გაზომვის მოცემული მეოთხედისა და პირობების დროს. ამიტომ აბსოლუტური ცდომილების მიხედვით კუთხის სიზუსტის შეფასება შესაძლებელია. ხოლო სიგრძის სიზუსტის შეფასება - არა.

გაზომვის დროს გაზომვის ცდომილებების წარმოშობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ძირითადია არასრულყოფილი გაზომვის საშუალებების კონსტრუქცია ან გაზომვის მეოთხედის სქემა, გაზომვის საშუალებების დამზადების ცდომილება, გაზომვის დროს გარე პირობების დაუკავშირობა, სუბიექტური ცდომილებანი და სხვ.

არასრულყოფილი გაზომვის საშუალებების კონსტრუქციის და მეოთხედის ქვეშ იგულისხმება, მაგალითად, ხაზოვანი გაზომვის დროს აბეს პრინციპის დაუკავშირობა, რომლის თანახმად გაზომვის დროს გასაზომი ობიექტი თანამიმდევრულად უნდა იყოს განლაგებული შესაძარებელი საზომის (ნამუში, ხაზოვანი სკალა და ა.შ.) მიმართ, ე.ი. ისე, რომ საზომი და გასაზომი ხაზები წარმოადგენდნენ ერთმანეთის გაგრძელებას.

გაზომვის შედეგის აოცვლის დროს მიღებული ე.წ. პარალაქსის ცდომილება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა გაზომვის შედეგის აოცვლის ხაზი, რომელიც გადის მაჩვენებელზე, სკალის სიბრტყის მართვის არ არის.

გაზომვისა და კონტროლის შედეგებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს სუბიექტური ცდომილებები, რომლებიც დამოკიდებულია ოპერატორის სუბიექტურ თვისებებზე. ეს ცდომილებები განსაკუთრებით შესამჩნევია სკალის დანაყოფის ფასის წილადური შეფასებისას.

გაზომვისა და საზომი ხელსაწყოების ჩამოთვლილი ცდომილებების გარდა განასხვავებენ აგრეთვე საზომი საშუალების საიარაღო, გაზომვის მეოთხედის, საზომი საშუალების სტატიკურ და დინამიკურ და სხვა ცდომილებებს.

წარმოშობის კანონზომიერებისა და მისი შეფასების მეოთხედის მიხედვით განასხვავებულ შემთხვევით, სისტემატურ და უხეშ გაზომვათა ცდომილებებს.

გაზომვის სისტემატური ცდომილება გაზომვის ცდომილების ის შემდგენია. რომელიც რჩება მუდმივი ან კანონზომიერად იცდება ერთი და იგივე სიღილის განმეორებითი გაზომვის დროს.

სისტემატური ცდომილების მიზეზი შეიძლება იყოს გაზომვის ნორმალური ტემპერატურიდან (20°C) გადახრა, საზომი ხელსაწყოს მაჩვენებლის გაძარღანი წულოვნის მიმართ. გაზომვის მეოთხედის არასრულყოსოვნებით გამოწევულ სისტემატურ ცდომილებას, რომლის მიხედვითაც გამოთვლით გაზომვის შედეგი, ეწოდება მეთოდური ცდომილება.

მეოთხედური ცდომილებას ძირითადად კამორიცხავენ გაზომვის შედეგში შესწორების შეტანით.


თუ ცდომილება გამოწევულია საზომი ხელსაწყოს დეტალებისა და კვანძების არაზუსტი დამზადებით, ე.ი. შემთხვევითი ფაქტორებით, ასეთი ცდომილება იქნება სისტემატური მხოლოდ იმ კონკრეტული ხელსაწყოსათვის, რომლითაც წარმოებს გაზომვა, ამ ცდომილების რიცხვითი მნიშვნელობა და ცვალებადობის ხარისხი შეიძლება დავადგინოთ მხოლოდ ცდის შედევად.

გაზომვის შემთხვევითი ცდომილება გაზომვის ცდომილების ის შემდგენია. რომელიც ერთი და იგივე სიღილის განმეორებითი გაზომვის დროს შემთხვევით წარმოიქმნება.

შემთხვევითი ცდომილების წარმოშობის მიზეზია გაზომვის შედეგზე მოქმედი კონტროლის დაუკვემდებარებელი გაზომვის ყველა პირობის შემთხვევითი ცდომილება.

გაზომვის შედეგიდან შემთხვევითი ცდომილების გამორიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ მისი გავლენა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს გაზომვის შედეგის დამუშავების დროს. შემთხვევითი ცდომილება იწვევს დეტალის ზომების განბნევას. შემთხვევითი ცდომილებების შეჯამება ხდება კვადრატული შეჯამების მეთოდით.

შემთხვევით ცდომილებას ახასიათებს შემდეგი თვისებები:



ნახ.21

1) სხვადასხვა ნიშნის მქონე ერთნაირი აბსოლუტური სიდიდის ცდომილებების გადახრა მათი საშუალო მნიშვნელობიდან (\bar{x}) გვხვდება თითქმის ერთნაირი სიხშირით.

2) აბსოლუტური სიდიდის მიხედვით მცირე ცდომილება უფრო ხშირად გვხვდება ვიდრე დიდი, ხოლო ძალზე დიდი ცდომილების წარმოშობა პრაქტიკულად ნაკლებად არის მოსალოდნელი.

3) შემთხვევითი ცდომილებების საშუალო მნიშვნელობა მეტი ალბათობით გვხვდება.

შემთხვევითი ცდომილების გავლენას გაზომვის სიზუსტეზე აფასებენ ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით.

ალბათობის თეორიიდან ცნობილია, რომ \bar{x} -რაიმე მოვლენის ცვალებადობა გამოწვეულია ერთი და იგივე შემთხვევითი მიზეზით, მაშინ ეს ცვალებადობა ექვემდებარება ალბათობების განაწილების ნორმალურ კანონს, რომელსაც პაუსის მრუდი ქვია (ნახ.21).

პაუსის მრუდი სიმეტრიულადაა განლაგებული მისი მაქსიმალური ორდინატის მიმართ, რომელიც შეესაბამება მოცემული ზომის საშუალო ზომას (\bar{x}).

როგორც ნახაზიდან ჩანს, მრუდი სიმეტრიულია და აქეს ზარისებრი ფორმა, რომლის უსასრულობაში მიმავალი განშტოებანი ასიმპტოტურად უახლოვდებიან აბსცისათა ღერძს.

ნორმალური განპნევის თეორიული მრუდი მათემატიკურად გამოისახება განტოლებით

$$y = \frac{1}{\delta \sqrt{2\pi}} e^{-\frac{(x_i - \bar{x})^2}{2\delta^2}},$$

სადაც y ალბათობის განაწილების სიმჭიდროვეა; x_i - გაზომილი დეტალის ზომა; \bar{x} და δ ან (σ) - განაწილების პარამეტრები,

ამასთან \bar{x} გაზომვათა რიგის საშუალო არითმეტიკულია (განაწილების ცენტრი),

$$\bar{x} = \frac{1}{N} (x_1 + x_2 + \dots + x_N),$$

სადაც $x_1 + x_2 + \dots + x_N$ არის x მუდმივი სიდიდის გაზომვის შედეგად მიღებული მნიშვნელობები; N - გაზომვის რაოდენობა;

δ - საშუალო კვადრატული გადახრა საშუალოდან (განაწილების განპნევა),

$$\delta = \sqrt{\frac{1}{N-1} \sum_{i=1}^N (x_i - \bar{x})^2};$$


$e = 2,7182$ - ნატურალური ლოგარითმების ფუძე.

\bar{x} საშუალოდან გადახრის მნიშვნელოვანი თვისებებია:


1. საშუალოდან გადახრების ალგებრული ჯამი ნულის ტოლია,

$$\sum_{i=1}^N (x_i - \bar{x}) = 0.$$

2. საშუალოდან გადახრების კვადრატების ჯამი მინიმალური მნიშვნელობისაა,



ნახ.22



ნახ.23

$$\sum_{i=1}^N (x_i - \bar{x})^2 = \text{უმც.}$$

გეომეტრიულად ღ აბსცისათა ლერძზე (ნახ.21) განბნევის ცენტრიდან (\bar{x}) მრუდის გადაღუნვის წერტილის კოორდინატამდე მანძილის ტოლია.

საშუალო კვადრატული გადახრის სიდიდეები $+δ$ და $-δ$ გამოყოფენ ხშირად შემხვედრი გადახრების არეს იშვიათია გან.

განაწილების ნორმალური კონის მრუდის განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ ღ პარამეტრი მთლიანად განისაზღვრება განაწილების მრუდით. რაც უფრო მეტია ღ, მით მცირეა მრუდის ორდინატის მაქსიმუმი (Y), შესაბამისად მეტად დამრეცია მრუდი და გაჭიმულია აბსცისათა ლერძის გასწრები (ნახ.22) (იზრდება დადაც ცდომილების წარმოქმნის ალბათობა) და პირიქით. რაც უფრო მცირეა ღ, მით მეტია მრუდის ორდინატის მაქსიმუმი (Y), შესაბამისად ციცაბოა მრუდი და შეკუმშულია ორდინატთა ლერძის მიმართ (მცირდება საშუალო არითმეტიკულიდან \bar{x} დადაც გადახრის წარმოქმნის ალბათობა). როდესაც ღ = 0, მრუდი გადაგვარდება Y ლერძად, რაც შეესაბამება აბსოლუტურ სიზუსტეს. თუ ღ = ∞, მრუდი გადაგვარდება X ლერძად, რაც შეესაბამება აბსოლუტურ უზუსტობას.

ნორმალური განაწილების თეორიული მრუდის შტოები (ნახ.23) მიისწრაფვიან უსასრულობაში და ასიმპტოტურად უახლოვდებიან აბსცისათა ლერძს.

ასეთი მრუდი უსასრულო შტოებით არ არის მოსახერხებელი და ბევრ შემთხვევაში ასურდულიცაა. ამიტომ პრაქტიკაში გამოიყენება მრუდის განსაზღვრული ნაწილი. თეორიულ მრუდსა და აბსცისათა ლერძს P ალბათობის ტოლია და გვიჩვენებს, რომ შემთხვევითი სიდიდე (მაგალითად, ზომის ცდომილება) მდებარეობს $-∞$ -დან $+∞$ ინტერვალში. მას იღებენ 1(100%) ტოლად და განისაზღვრება ფორმულით

$$P = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{-\infty}^{+\infty} e^{-\frac{x^2}{2\sigma^2}} dx = 1.$$

პრაქტიკული გაანგარიშებისათვის უფრო მოსახერხებელია შემთხვევითი ცდომილება (x) გამოისახოს საშუალო კვადრატული გადახრის (δ) წილურ ნაწილში. ალბათობის თეორიაში ხშირად იყენებენ ე.წ. რისკის კოეფიციენტს - $Z = \frac{x}{\delta}$, საიდანაც $x = \delta Z$; $dx = \delta dz$. ამ შემთხვევაში 23-ე ნახაზზე აბსცისათა ლერძის მასშტაბი გამოსახული იქნება ღ წილურ ნაწილში. თუ ინტეგრირების ზღვრებად მივიღებთ O და Z, ზემოთ აღნიშნული ინტეგრალი იქნება Z ფუნქცია, ე.ი.

$$\Phi_0(z) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_0^z e^{-\frac{t^2}{2}} dt.$$

$\Phi_0(z)$ ფუნქციას უწოდებენ ლაპლასის ნორმირებულ ფუნქციას (ერთეული ნორმალური კანონი. რომელიც განისაზღვრება $\delta = 1$ და $\bar{x} = 0$ მნიშვნელობებით).

$\Phi_0(z)$ ფუნქციის მნიშვნელობების გამოყენებით (ცხრ.1) შეგვიძლია განვისაზღვროთ z -ის საშუალებით გამოსახული შემთხვევითი ცდომილების (x) ამა თუ იმ ინტერვალში მოხვედრის ალბათობა.

Z	Z-ის გენერი ნაზირები									
	0	1	2	3	4	5	6	7	8	9
0,0	0,00000	00399	00798	01197	01595	01994	02392	02790	03188	03586
0,1	03983	04380	04776	05172	05567	05962	06356	06749	07142	07535
0,2	07926	08317	08706	09095	09483	09871	10257	10642	11026	11409
0,3	11791	12172	12552	12930	13307	13683	14058	14431	14803	15173
0,4	15542	15910	16276	16640	17003	17364	17724	18082	18439	18793
0,5	19146	19497	19847	20194	20540	20884	21226	21566	21904	22240
0,6	22575	22907	23237	23565	23891	24215	24537	24857	25175	25490
0,7	25804	26115	26424	26730	27035	27337	27637	27935	28230	28524
0,8	28814	29103	29389	29673	29955	30234	30511	30785	31057	31327
0,9	31594	31859	32121	32381	32639	32894	33147	33398	33646	33891
1,0	34134	34375	34614	34850	35083	35314	35543	35769	35993	36214
1,1	36433	36650	36864	37076	37286	37493	37698	37900	38100	38298
1,2	38493	38686	38877	39065	39251	39434	39617	39796	39973	40147
1,3	40320	40490	40658	40824	40988	41149	41309	41466	41621	41774
1,4	41924	42073	42220	42364	42507	42647	42786	42922	43056	43189
1,5	43319	43448	43574	43699	43822	43943	44062	44179	44295	44408
1,6	44520	44630	44738	44845	44950	45053	45154	45254	45352	45449
1,7	45543	45637	45728	45818	45907	45994	46080	46164	46246	46327
1,8	46407	46485	46562	46638	46712	46784	46856	46926	46995	47062
1,9	47128	47193	47257	47320	47381	47441	47500	47558	47615	47670
2,0	47725	47778	47831	47882	47932	47982	48030	48077	48124	48169
2,1	48214	48257	48300	48341	48382	48422	48461	48500	48537	48574
2,2	48610	48645	48679	48713	48745	48788	48809	48840	48870	48899
2,3	48928	48956	48983	49010	49036	49061	49086	49111	49134	49158
2,4	49180	49202	49224	49245	49266	49286	49305	49324	49343	49361
2,5	49379	49396	49413	49430	49446	49461	49477	49492	49506	49520
2,6	49534	49547	49560	49573	49585	49598	49609	49621	49632	49643
2,7	49653	49664	49674	49683	49693	49702	49711	49720	49728	49736
2,8	49744	49752	49760	49767	49774	49781	49788	49795	49801	49807
2,9	49813	49819	49825	49831	49836	49841	49846	49851	49856	49861
3,0	0,49865	49977	3,1	49903	3,2	49931	3,3	49952	3,4	49966
3,5		3,6	49984	3,7	49989	3,8	49993	3,9	49995	
4,0	499968									
4,5	499997									
5,0	4999997									

ცხრილიდან ვპოულობთ, რომ $z_1 = 3$ (ე.ი. $x = 3\delta$), ამ შემთხვევაში

$$\Phi_0(z_1) = 0,49865 \text{ ან } 2\Phi_0(z_1) = 0,9973.$$

მაშასადამე ერთანა ძალზე მიახლოებული ალბათობით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შემთხვევითი ცდომილება (X) არ გადის $\pm 3\delta$ ზღვრებს გარეთ. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი ცდომილების განპნევის დიაპაზონად ღებულობენ

$$R_T \approx 6\delta \text{ (ე.ი. } -3\delta \text{ -დან } +3\delta \text{ -მდე).}$$

განაწილების მრუდით და ამსცისათა ღერმით შემთხვეული ფართობი $\pm 3\delta$ ზღვრებს გარეთ შეადგენს მრუდის მთელი ფართობის $1-0,9973=0,0027$ (წუნის მიღების ალბათობა) და სიმეტრიულადაა განლაგებული $0,00135$ (ან $0,135\%$) Y ღერძის მიმართ მარჯვნივ და მარცხნივ (ნახ. 23.). ეს სიღილე ძალზე მცირეა.

თუ შემთხვევითი ცდომილების განაწილება ექვემდებარება ჰაუსის კანონს და განაწილების ცენტრი ემთხვევა დამზადებაზე დაშვების ველის შუა კოორდინატებს, მაშინ განპნევის დიაპაზონი (R_T), რომლის დროს რისკის (ანუ წუნის) ალბათობა ტოლია $0,0027$, მიღებულია პრაქტიკული ზღვრული განპნევის ველად. სწორედ ეს ფაქტი წარმოადგენს ნორმალური განაწილების კანონის მნიშვნელოვან თვისებას და ეწოდება სამი სიგმას (3δ) წესი. ამავე მიზეზით დამზადებაზე დაშვების ველს ღებულობენ $IT = \pm 3\delta = 6\delta$. (ნახ. 23.) პრაქტიკაში ამ წესს ძირითადად იყენებენ კონტროლის ზღვრების განსაზღვრისათვის, ასე, მაგალითად, $IT = \pm 3\delta$ დაშვების დროს (რისკის კოეფიციენტი $z = 3$) უცვლელ პირობებში დამზადებული ღეტალების $99,73\%$ ექნება ზომები, რომლებიც განლაგდებან დაშვების ველის ზღვრებში, ხოლო ღეტალების $0,27\%$ - ზომები, რომლებიც გავლენ აღნიშნული ზღვრების გარეთ-წუნი პრაქტიკულად არ მიიღება. $IT = \pm 2\delta$ დაშვების დროს (რისკის კოეფიციენტი $z = 2$) ვარგისი ღეტალები შეადგენს საშუალოდ $95,44\%$ -ს, წუნი კი $4,56\%$ -ს. $IT = \pm \delta$ დაშვების დროს (რისკის კოეფიციენტი $z = 1$) ვარგისი ღეტალები საშუალოდ იქნება $68,26\%$, წუნი კი $31,74\%$. როგორც ვხედავთ,

რისკის კოუფიციენტის (z) სამზე ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევაში დამზადებული დეტალების პარტიებში დიდია წუნის პროცენტული რაოდენობა, მაგრამ, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია მაღალი სიზუსტის დეტალების მიღება, რომელიც ძირითადად დაჯგუფდება განბნევის ცენტრის (x) ირგვლივ.

თუ რისკის კოუფიციენტი $z > 3$, მაშინ წუნი პრატიკულად არ მიიღება (მაგ., $z > 4$, წუნი შეადგენს 0,01%). ამდენად დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი შერჩეული უნდა იყოს ძალიან ზუსტად. ნამზადის დამუშავების ოპტიმალური ტექნიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე.

გაზომვათ შედეგის საფუძველზე ვადგენთ, რომ დეტალის ზომების განაწილება გეგემდებარება ნორმალური განაწილების კანონს, რომელსაც გაზომვის შედეგის სიზუსტის შეფასებისათვის ვიყენებთ. ამისათვის უნდა განვისაზღვროთ გაზომვათ რიგის საშუალო არითმეტიკული - \bar{x} (რომელსაც ვლებულობთ გაზომილი სიდიდის ნამდვილ მნიშვნელობად), საშუალო გვადრატული გადახრა საშუალოდან - σ და საშუალო არითმეტიკული ზღვრული ცდომილება - $S = \pm \frac{3\sigma}{\sqrt{N}}$. ამს შემდეგ გაზომილი სიდიდის ნამდვილ მნიშვნელობა ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$x_{\text{ნაშე}} = \bar{x} \pm S \quad \text{ან} \quad x_{\text{ნაშე}} = \bar{x} \pm \frac{3\sigma}{\sqrt{N}}.$$

გაზომვის ცდომილებას, რომელიც არსებითად აღემატება მოცემულ პირობებში მოსალოდნელ ცდომილებას, უხეში ცდომილება ეწოდება. ეს ცდომილება დამოკიდებულია დამკვირვებელზე, გაზომვის საშუალებების არასწორ გამოყენებაზე, ჩვენებათა არასწორ ათვლაზე ან შედეგის შეცდომით ჩაწერაზე.

კითხვები თვითმომზადებისათვის


- 1) როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ გაზომვის შედეგი?
- 2) რა კავშირია გაზომვის ცდომილებასა და გაზომვის სიზუსტეს შორის?
- 3) რა ნიშან-თვისებებით ხასიათდება გაზომვის ცდომილება?
- 4) რა ფაქტორებზე ძარითადად დამოკიდებული გაზომვის ცდომილება?
- 5) რა არის სუბიექტური ცდომილება?
- 6) როგორ იყოფა ცდომილებები მათი წარმოშობის კანონზომიერების და შეფასების მეთოდების მიხედვით?
- 7) რა არის სისტემატური ცდომილება?
- 8) რა არის შემთხვევითი ცდომილება?
- 9) რა თვისებებით ხასიათდება შემთხვევითი ცდომილება?
- 10) როგორია პაუსის ნორმალური განაწილების კანონი?
- 11) როგორია ნორმალური განბნევის თეორიული მრუდის მათემატიკური გამოსახულება?
- 12) როგორია განაწილების პარამეტრები?
- 13) როგორია ლაპლასის ნორმირებული ფუნქცია?
- 14) რა ცდომილებები მიეკუთვნება უხეშ ცდომილებას?

2.3. მისალები საზღვრები გაზომვის დასაშვები ცდომილებების გათვალისწინებით

დამზადებაზე დაშვების (IT) და ვაზომვის დასაშვები ცდომილების ($\delta_{\text{ზღვრ}}$) საზღვრებს შორის ურთიერთკავშირის დასამყარებლად გამოიყენება ცნება, „მისაღების საზღვრები”, რომლის ზომების მიხედვითაც ხორციელდება ნაკეთობის მიღება. აღნიშნული ზომები უნდა დადგინდეს გაზომვის დასაშვები ცდომილებების შესაძლო გავლენის გათვალისწინებით. ამიტომ დამზადებაზე დაშვებების (IT) შერჩევის დროს ნაკეთობის სიზუსტეზე დამოკიდებულებით აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს არა მარტო ნაკეთობის მუშაობის საექსპლუატაციი პირობები და დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების შესაძლებლობები, არამედ ვაზომვის მოსალოდნელი ცდომილებებიც. სხვანაირად, ზომაზე დაშვება უნდა განიხილოდეს, როგორც ტექნოლოგიური პროცესის ჯამურ ცდომილებაზე დაშვება. რომელიც არ იძლევა ასსოლუტურად ზუსტი ზომის მიღების საშუალებას, მათ რიცხვში, გაზომვის ცდომილების გამოც.

ვაზომვის მოსალოდნელი ცდომილების გავლენის გასათვალისწინებლად გოსტ 26214-ით მიღებულია მისაღები საზღვრების დადგენის ორი ვარიანტი:

პირველი ვარიანტის (ძირითადი ვარიანტი) შემთხვევაში (ნახ. 24, a) მისაღები საზღვრები შეირჩევა შესამოწმებელი ნაკეთობის ზომების ნორმირებულ მნიშვნელობასთან თანხვდენილად, ანუ ვაზომვის ცდომილების შესაძლო გავლენას კონსტრუქტორი ითვალისწინებს კვალიტეტისა და ჩასმის შერჩევის დროს.



ნაზ.24

მეორე ვარიანტის შემთხვევაში (ნაზ.24,ბ) მისაღები საზღვრები შეირჩევა ე.წ. საწარმოო დაშვების შემოღებით, რომლის დროსაც შესამოწმებელი ნაკეთობის ნორმირებულ მნიშვნელობას გადაანაცვლებენ დამზადებაზე დაშვების ველის შიგნით გაზომვის ცდომილების მოსალოდნელი გავლენის გათვალისწინებით.

ზომების გადანაცვლება არ უნდა აღემატებოდეს გაზომვის ცდომილების დასაშვები მნიშვნელობის ნახევარს.

საწარმოო დაშვება (სტანდარტული დაშვების შემცირება) შეირჩევა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო შეერთებებში, ამასთან საგრძნობლად რთულდება ტექნოლოგიური დოკუმენტაციის გაფორმება და მოსალოდნელია ვარგისი დეტალების ნაწილი ჩაითვალის წუნად.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1) რომელი სიდიდეების საზღვრებს შორის ურთიერთკავშირის დასამყარებლად გამოიყენება ცნება: „მისაღები საზღვრები“?

2) რას ეწოდება მისაღები საზღვრები?

3) რაზეა დამოკიდებული გაზომვის დასაშვები ცდომილება?

4) რას შეიცავს გაზომვის დასაშვები ცდომილება?

5) რა შემთხვევაში უნდა იყოს გაფორმებული გაზომვის დასაშვები ცდომილება?

6) რას წარმოადგენს გაზომვის დასაშვები ცდომილება?

7) როგორია მისაღები საზღვრების დადგენის ვარიანტები და მათი დადებითი და უარყოფითი თვისებები.

2.4. საკონტროლო საშუალებათა კლასიფიკაცია და შერჩევა

კონტროლის წინაშე დასმულ ამოცანაზე დამოკიდებულებით საკონტროლო საშუალებების კლასიფიკაცია ზდება სხვადასხვა ნიშან-თვისებების მიხედვით. მათგან შეიძლება გამოიყოს ის ძირითადი ნიშან-თვისებები(ან ნიშან-თვისებათა ჯგუფები), რომლებიც მიღებულია ზოგადი დანაშენულების საკონტროლო საშუალებათა კლასიფიკაციის საფუძვლად, კერძოდ:

1) გაზომვის ერთიანობის უზრუნველისაყოფად ყველა საზომი საშუალება იყოფა სამ ჯგუფად: ეტალონები; სანიმუშო საზომები და ხელსაწყოები; მუშა საზომები და ხელსაწყოები.

2) საზომ საშუალებათა გამოყენების ხასიათის მიხედვით საზომი საშუალებები არის:

I უნივერსალური (შტანგენირალები; მიკრომეტრული იარაღები; ბერკეტიანკბილანური ხელსაწყოები; პნევმატიკური ხელსაწყოები და სხვ.).

II სპეციალური (ფორმის და მდებარეობის საკონტროლო იარაღები; სიმქისის საკონტროლო იარაღები; ზრახნის საზომი საშუალებები; კბილანის ელემენტების საზომი საშუალებები და ა.შ.).

3) საკონტროლო ფიზიკური სიდიდეების ტიპების მიხედვით (გეომეტრიული, მექანიკური, ტემპერატურაგამტარობის და სხვ.).

4) საკონტროლო საშუალებათა კონსტრუქციული თავისებურებების მიხედვით (ავტომატიზებული, მექანიზებული, კომუნიკაციულ-საზომი და სხვ.).

5) საზომი დანადგარები ან სისტემები.

საკონტროლო საშუალებების შერჩევა დამოკიდებულია კონტროლის მიღებული საორგანიზაციო-ტექნიკური ფორმების, ნაკეთობის კონსტრუქციული თავისებურებების, მისი დამზადების სიზუსტის, ეკონომიკურობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდივიდუალურ საწარმოებში ნაკეთობის დამზადების ოპერაციათა შორის კონტროლი უნივერსალური საკონტროლო საშუალებებით უნდა ხდებოდეს, რადგან სპეციალური საკონტროლო სამარჯვების გამოყენება ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, ხოლო ნაკეთობის ზღვრული კალიბრებით კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია შესამოწმებელი ზომების მრავალფეროვნების გამო.

საზომის საშუალებათა შერჩევის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს შემდეგ ში: საზომის საშუალებათა სიზუსტე უნდა იყოს საქმაოდ მაღალი გასაზომის ზომის მოცემულ სიზუსტესთან შედარებით, ხოლო გაზომვის შრომატევადობა და მისი ღირებულება - შედარებით დაბალი, რაც უზრუნველყოფს გაზომვის მაღალ მწარმოებლურობას და ეკონომიურობას.

საზომის საშუალებათა არასაგარისის სიზუსტე იწვევს იმას, რომ კარგისი ნამზადების ნაწილს დემულობენ როგორც წუსი, (პირველი რიგის შეცდომა), ხოლო მეორე მხრივ, იმავე მიზეზის გამო უვარგისი ნაკეთობების ნაწილს დებულობენ როგორც ვარგის (მეორე რიგის შეცდომა).

მაღალი სიზუსტეს საზომის საშუალებები, როგორც წესი, იწვევს კონტროლის ოპერაციების შრომატევადობის და მისი ღირებულების მკვეთრ ზრდას. რაც თავის მხრივ ამგირებს გამოსაშვები პროდუქციის თვითღირებულებას და ზღუდავს მის გამოშვებას.

ზოგადად, გაანგარიშებული უნდა იყოს გაზომვის ცდომილების ჯამური დასაშვები ზღვრის სილიდე $[\delta_{\text{გან}}]$, დამზადების და გაზომვის სავარაუდო განაწილების კანონზომიერებების გათვალისწინებით.

გაანგარიშებული გაზომვის ცდომილების დასაშვები ზღვრის $[\delta_{\text{გან}}]$ მიზედვით შეირჩევა შესაბამისი საზომი საშუალება კონკრეტული სამუშაო პირობებისათვის სტანდარტული ცხრილებიდან, რომლებიც შეიცავენ საზომი საშუალებების გამოყენების დროს გაზომვის ცდომილების დასაშვებ ნორმირებულ გაზომვის ზღვრებს $[\delta_{\text{გან}}]$, ამასთან საზომის საშუალებების შერჩევა უნდა ხდებოდეს შემდეგი პირობის გათვალისწინებით:

$$[\delta_{\text{გან}}]_{\text{მომ.}} \leq [\delta_{\text{გან}}]_{\text{ტან.}}$$

უმეტესად გავრცელებულია საზომის საშუალებათა შერჩევა ნაკეთობის ნორმირებულ ზომაზე (d), დამზადებაზე დაშვებაზე (IT) და გაზომვის ცდომილებაზე (δ) დამოკიდებულებით.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1. რა ძირითადი ნაშან-თვისებებით ხასიათდება საკონტროლო საშუალებების კლასიფიკაცია?
2. რას განსაზღვრავს საწარმოს მასშტაბი?
3. რა თავისებურებები განსაზღვრავს საკონტროლო საშუალებათა შერჩევის ინდივიდუალურ საწარმოში?
4. როგორია საკონტროლო საშუალებების შერჩევის პრინციპი?
5. რა არის გაზომვის დასაშვები ცდომილება?

თავი III
დეტალისა და კვანძის შესაუღებელი ზომისათვის დაშვება და ჩასხა
ების დამუშავებაში

წინასიტყვაობა

ნაკეთობის საექსპლუატაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაში ჩასმის და დაშვების აუცილებელი მინიმალური რიცხვის უზრუნველისაყოფად ხის დამუშავებაში მიღებულია დაშვების და ჩასმის ერთანი სისტემა გრისტ 6449.1 ÷ გრისტ 6449.5, რომელიც აგბულია საერთაშორისო სისტემის - ISO რეკომენდაციებზე. სტანდარტი ვრცელდება მერქნისა და მერქნული მასალების ნაკეთობებებზე 10000 მმ-მდე ნომინალური ზომით. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს კანონმიერად შედგენილი დაშვების და ჩასმების ერთობლიობას, გაფორმებულს სხვადასხვა სტანდარტის სახით. თავის მხრივ, სტანდარტები შედგება ცხრილებისა და სარეკომენდაციო დანართებისაგან, რომელიც მოიცავს ზომათა სხვადასხვა ინტერვალისათვის - ზომებს, დაშვებების და ჩასმების რეკომენდაციულ მნიშვნელობებს, სიზუსტის კვალიტეტებს, სიზუსტის ხარისხებს, სიზუსტის კლასებს, ზღვრულ გადახრებს.

ხის დამუშავებაში დაშვების და ჩასმის თანამედროვე სისტემა:

1) მოიცავს ზომების განსაზღვრულ დიაპაზონს, რომელიც სტანდარტის ცხრილების აგების გასამარტივებლად დანაწილებულია ინტერვალებად;

2) შეიცავს დაშვების ერთეულს, რომელიც გამოსახავს დაშვების დამოკიდებულებას ზომაზე;

3) შეიცავს კვალიტეტების, კლასების და სიზუსტის ხარისხების საჭირო რაოდენობას, რომლებითაც შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა დაშვებები ერთნაირი ზომებისათვის;

4) შეიცავს აუცილებელ სხვადასხვაგვარ ჩასმებს ნახვრეტის სისტემაში. ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია ჩასმის მიღება არაძირითადი ნახვრეტის არაძირითად ლილებებთან შეუღლებით.

5) წარმოადგენს ზღვრულ ასიმეტრიულ სისტემას, ე.ი. ზომის სიზუსტე განისაზღვრება ორი ზღვრული ზომით. ამასთან, ძირითადი ნახვრეტის დაშვების ველი განლაგებულია ასიმეტრიულად ნულოვანი ხაზის მიმართ.

6) ზუსტი გაზომვების დროს ტემპერატურა $t = 20^{\circ}\text{C}$ მიღებულია ნორმალურ ტემპერატურულ რეჟიმად.

სტანდარტული დაშვების და ჩასმის გამოყენება უზრუნველყოფს დეტალების და კვანძების ურთიერთშენაცვლებადობის პრინციპის განხორციელებას, იძლევა მჭრელი და საზომი იარაღების სტანდარტიზაციის საშუალებას, განაპირობებს ნაკეთობის ხარისხის სათანადო დონეს.

საკვანძო ტერმინები

ნომინალური ზომის ინტერვალი

კალიბრი

სიზუსტის რიგი (კვალიტეტი)

თარგი

ნახვრეტის ძირითადი გადახრა

კალიბრ საცობი

ლილების ძირითადი გადახრა

კალიბრ-კავი

ნახვრეტის დაშვების ველი

ზღვრული კალიბრი

ლილების დაშვების ველი

გამავალი კალიბრი

ჩასმა ნახვრეტის სისტემაში

არაგამავალი კალიბრი

ჩასმა ლილების სისტემაში

კომბინირებული ჩასმა

ერთეულებენტიანი და მრავალეულებენტიანი შეერთება

ანალოგის მეთოდი

შეგავსების მეთოდი

გაანგარიშების მეთოდი

ჩასმის ალბათობითი დაშვება

ალბათობითი ზღვრული ღრეჩო ან ჭექი

სიზუსტის ტექნოლოგიური მარაგი

ზომების მიუთითებული ზღვრული გადახრა

სიზუსტის კლასი

კუთხის დაშვება

კუთხის დაშვების დამრგვალებული მნიშვნელობა

კუთხის დაშვება გამოხატული მონაკვეთით

სიზუსტის ხარისხი

3.1. მერქნისა და მერქნული მასალების დაშვებებისა და ჩასმების ერთიანი სისტემა

დაშვებების და ჩასმების ერთიან სისტემაში ჩასმის და დაშვების ველების მისაღებად სტანდარტიზებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საბაზო ელემენტები-დაშვებების და ძირითადი გადახრების რიგები, ხოლო დაშვების ველები და ჩასმები მიიღება რიგებში შემავალი ელემენტების შეუღლებით.

1) ნომინალური ზომების ინტერვალები. დაშვებები და ზღვრული გადახრები დადგენილია ნომინალურ ზომებზე დამოკიდებულებით. სტანდარტის აგების გამარტივებისათვის ნომინალური ზომების 10000 მმ-მდე დაბაპაზონი დაყოფილია ცალკეულ ინტერვალებად. ას ხვავებურ ძირითად და შუალედურ ინტერვალებს. 1 მმ-ზე ნაკლები ზომები ჩართულია პირველ ინტერვალში, რომელიც მოიცავს 3 მმ-მდე ზომებს. სულ დადგენილია 26 ინტერვალი. ლილვის ზომები დაყოფილია ორ ჯგუფად: 500 მმ-მდე და 500 მმ-დან 10000 მმ-მდე. თავის მხრივ თითოეული ჯგუფი დაყოფილია 13 ძირითად ინტერვალად.

ლილვის ზომებისათვის, დაწყებული 10 მმ-დან, ძირითადი ინტერვალები დაყოფილია დაბატებით შუალედურ ინტერვალებად. კერძოდ, 500 მმ-მდე - 20, ხოლო 500 მმ-დან 10000 მმ-მდე - 16. შუალედური ინტერვალები შემოღებულია დაიღილრებოს და ჰქების წარმომქმნელი გადახრებისათვის, რათა შეუღლებაში მივიღოთ შედარებით თანაბარი სიღაღას ღრეულობის და ჰქებები.

2) სიზუსტის რიგები. დაშვებების და ჩასმების სისტემაში ნომინალური ზომის სიზუსტე რეგლამენტირებულია სიზუსტის კვალიტეტით. დადგენილია სიზუსტის ცხრა კვალიტეტი: 10:11;12;...17;18, რომელიც განლაგებულია სიზუსტის კლებადობის მაჩვდვით. კვალიტეტი აღინიშნება ციფრებით, IT დაშვების სიდიდეა, რომელსაც მიეწერება კვალიტეტის რიგით ნომერი, მაგ., IT10 - მეათე კვალიტეტის დაშვება. დაშვების სიდიდე განისაზღვრება დაშვების ერთეულის - i საფუძველზე. 500 მმ-მდე ზომებისათვის i -ს მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით

$$i = 0,45\sqrt{D} + 0,001D \text{ მეტ.}$$

სადაც $D = \sqrt{D_{\text{ფ.}} D_{\text{ფ.}}}$ თითოეული ინტერვალის განაპირა მნიშვნელობების საშუალო ვეომეტრიულია მიღმიეტრებული. 500 მმ-ზე ზევით ზომებისათვის კი

$$i = 0,004D + 2,1 \text{ მეტ.}$$

500 მმ-ზე მეტი ზომებისათვის დაშვების ერთეულის დადგენილი მნიშვნელობა უზრუნველყოფს დაშვების სიღაღას შედარებით გვეთრ ზრდას, ვიდრე 500 მმ-მდე ზომების დაბაპაზონისათვის მიღებული დაშვების ერთეული. დაშვების სიღაღას აანგარიშო ფორმულები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

დაშვებების აღნაშენი	IT10	IT11	IT12	IT13	IT14	IT15	IT16	IT17	IT18
დაშვებების მნიშვნელობები a-i	64i	100i	160i	250i	400i	640i	1000i	1600i	2500i


სიზუსტის 12,13, 14 კვალიტეტებში მოცემულია დაშვებები შესაუღლებელი ზომებისათვის, ხოლო 14-ს ზევით კვალიტეტებში - დაშვებები თავისუფალი ზომებისათვის.

როგორც კხედავთ, უმცირესი დაშვება და შესაბამისად უფრო მაღალი სიზუსტე აქვს მე-10 კვალიტეტის. სიზუსტის ერთი კვალიტეტით შემცირებისას დაშვება იზრდება დაახლოებით 1,6-ჯერ. კვალიტეტებით დადგენილი დაშვებები წარმოქმნიან გეომეტრიულ რიგს h_s უპირატესი რიცხვთა მწყრივის მნიშვნელით.

3) ძირითადი გადახრის რიგები. ძირითადი გადახრა ეწოდება ორი გადახრიდან ერთ-ერთს (ზედას ან ქვედას), რომელიც განკუთვნილია დაშვების ველის მდებარეობის განსაზღვრისათვის ნულოვანი ხაზის მიმართ. სტანდარტში ასეთ გადახრად პირობითად მიღებულია ნულოვან ხაზთან ახლოს მდებარე გადახრა, ამიტომ ნულოვანი ხაზის ქვემოთ განლაგებული ყველა დაშვების ველისათვის ძირითადი გადახრა იქნებოდა ზედა ზღვრული სტანდარტული გადახრა, ხოლო ნულოვანი ხაზის ზემოთ განლაგებული ყველა დაშვების ველისათვის ძირითადი გადახრა იქნება ქვედა ლვრული სტანდარტული გადახრა. ძირითადი გადახრა აღინიშნება ლათინური ანბანის პატარა ასოთი - თუ გადახრა ეკუთვნის ლილვს, და დიდი ასოთი - თუ გადახრა ეკუთვნის ნახვეტს. ნახვეტისათვის დადგენილია დაშვების ველის ორი მდებარეობა - H და Is , ხოლო ლილვებისათვის - თერმოეტი- a,b,c,h,j,s,k,t,y,za,zc,ze.

ამასთან, სტანდარტით დამატებით დადგენილია ze ძირითადი გადახრა 50 მმ-მდე ზომებისათვის, h ძირითადი გადახრა - 500 მმ-დან 3150 მმ-მდე ზომებისათვის და h ძირითადი გადახრა - 3150 მმ-ზე ზევით ზომებისათვის.

ნახვეტის და ლილვის ძირითადი გადახრების მდებარეობები ნულოვანი ხაზის მიმართ მოცემულია 25-ე ნახაზზე.



ნახ.25

ნახვრეტის (H) და ლილვების ($h; k$) ძირითადი გადახრა ნულის ტოლია, ხოლო $Is(j_s)$ - გარდამავალი, იგი სიმეტრიულია ნულოვანი ხაზის მიმართ და მისი ძირითადი გადახრა შესაბამისი კვალიტეტის დაშვების ნახევრის, ე.ი. $\pm \frac{IT}{2}$ ტოლია.

ძირითადი გადახრის რიცხვითი მნიშვნელობა დამოკიდებულია ნომინალურ ზომაზე და იზრდება j_s -დან მარცხნივ უარყოფითი მიმართულებით (h, c, b, a), ხოლო მარჯვნივ - დადებითი მიმართულებით (h, t, y, za, zc, ze)

ლილვის ძირითადი გადახრები a, b, c, h განკუთვნილია დაშვების ველების მისაღებად ჩასმაში გარანტირებული ღრებოთი, j_s, k, t, y, za, zc - გარდამავალ ჩასმაში, ხოლო ze - ჭექით ჩასმაში.


4) დაშვების ველი. დაშვების და ჩასმის სისტემაში დაშვების ველი მიიღება ძირითადი გადახრების შეერთებით ნებისმიერი სიზუსტის კვალიტეტის დაშვებასთან. დაშვების ველი აღინიშნება ძირითადი გადახრის აღმნიშვნელი ასოთი (ნახ.25), რომელსაც მარჯვნივ მიეწერება სიზუსტის კვალიტეტის აღმნიშვნელი შესაბამისი რიგითი ნომერი, მაგ., ლილვები a13, a14 და ა.შ. ხოლო ნახვრეტები $H13$, $Is14$ და ა.შ. სისტემა ითვალისწინებს ძირითადი გადახრების და კვალიტეტების ნებისმიერ შეერთებას. ერთდროულად ყველა ლილვის და ნახვრეტის დაშვების ველის გამოყენება საგრძნობლად გაართულებდა მჭრელი და საზომი იარაღების პარამეტრული რიგების დადგენას, ამიტომ მიმართავენ ნახვრეტის და ლილვის დაშვების ველების შეზღუდულ გამოყენებას, რისთვისაც ნახვრეტის და ლილვის დაშვების ველების მთლიანი რაოდენობიდან გამოყოფილია საერთო გამოყენების დაშვების ველები. პირველ რიგში საერთო გამოყენების დაშვების ველებიდან გამოიყენება უპირატესი გამოყენების დაშვების ველები, ხოლო დანარჩენი საერთო გამოყენების დაშვების ველები გამოყენებული უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც შეუღლების საჭირო ხასიათის მიღებას ვერ უზრუნველყოფს უპირატესი გამოყენების ველები.

ლილვებისათვის ნომინალური 500 მმ-მდე ზომებით დადგენილია საერთო გამოყენების 36 დაშვების ველი, აქედან 17 გამოყოფილია უპირატესი გამოყენებისათვის, ხოლო ლილვებისათვის 500 მმ-დან 10000 მმ-მდე ზომით საერთო გამოყენებისათვის დადგენილია 29 დაშვების ველი, საიდანაც 14 გამოყოფილია უპირატესი გამოყენებისათვის.

5) ჩასმა. დაშვების და ჩასმის ერთან სისტემაში ჩასმა მიიღება ძირითადი ნახვრეტის (H) და ლილვის დაშვების ველების შეერთებით. ჩასმის მიღებისას ნახვრეტის და ლილვის დაშვების ველები შეიძლება იყოს ერთნაირი სიზუსტის ან სხვადასხვა. ჩასმაში ნახვრეტის და ლილვის დაშვების ველების სხვადასხვა სიზუსტის შემთხვევაში რეკომენდებულია, რომ ჩასმაში ნახვრეტის ჰქონდეს მეტი დაშვება. ამასთან ნახვრეტის და ლილვის დაშვების ველები ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს არა უმეტესი ორი კვალიტეტით. 30 მმ-მდე ნომინალური ხომებისათვის დადგენილია 13 რეკომენდებული ჩასმა ნახვრეტის სისტემაში, მე-3 ცხრილში აღნიშნული ჩასმებიდან 5 გამოყოფილია უპირატესი გამოყენებისათვის, რომელიც მართკუთხა ჩარჩოთია აღნიშნული, ხოლო 26-ე ნახაზზე მოცემულია მათი სქემატური გამოსახულება.

ც ხ ი ლ ი 3

რეკომენდებული ჩასმები												
$H13$ a13	$H13$ b13	$H13$ h13	$H14$ h14	$H13$ j13	$H14$ j14	$H13$ k13	$H14$ k14	$H13$ za13	$H13$ zc12	$H13$ zc13	$H13$ ze12	$H13$ ze13



ნაზ. 26

გარდა ამისა სტანდარტი ითვალისწინებს ე.წ. კომბინირებული ჩასმის გამოყენებას, რომელიც მიღება სხვადასხვა სისტემის და სიზუსტის კვალიტეტის ნახვრეტის და ლილვის დაშვების ველების შეერთებით, მაგ., $\frac{h13}{a13}$.

ჩასმის პირობით აღნიშვნაში შედის ნომინალური ზომა საერთო ნახვრეტისა და ლილვისათვის, რომელსაც წილადის სახით მიეწერება თითოეული ელემენტის დაშვების ველი, ამასთან, მრიცხველში - ნახვრეტის დაშვების ველი, ხოლო მნიშვნელში - ლილვის დაშვების ველი, მაგ., $\Phi\frac{H13}{K13}$.

კითხვები თვითმომზადებისათვის

- 1) როგორია დაშვების და ჩასმის ერთიანი სისტემის აგების სტრუქტურული სქემა?
- 2) რომელი საბაზო ელემენტებია სტანდარტიზებული ერთიან სისტემაში?
- 3) რამდენ ინტერფასად არის დაყოფილი ნახვრეტის და ლილვის ხაზოვანი ზომები?
- 4) რამდენი სიზუსტის კვალიტეტია დადგენილი ერთიან სისტემაში, როგორ აღნიშვნება კვალიტეტები?
- 5) როგორია დაშვების ერთეულის საანგარიშო ფორმულა?
- 6) რა არის ძირითადი გადახრა?
- 7) როგორია ნახვრეტის და ლილვის ძირითადი გადახრები?
- 8) როგორ მიღება დაშვების ველები, უპირატესი გამოყენების დაშვების ველები?
- 9) როგორ მიღება ჩასმა ერთიან სისტემაში?
- 10) რომელი კვალიტეტებია გათვალისწინებული ჩასმებისათვის?
- 11) როგორია უპირატესი გამოყენების ჩასმა?
- 12) როგორია კომბინირებული ჩასმა?

3.2. დაშვებისა და ჩასმის შერჩევა ავეჯის ნაკეთობების შემადგენელი ნაწილების ტიპური შეერთებისათვის

შესაულლებელი ელემენტების რაოდენობაზე დამოკიდებულებით შეერთებები არის: а) ერთეულემნტიანი (დეტალების შეერთება ერთმაგი მთლიანი ან ჩასმული კოტათი, შეერთება ლარტყით და ა.შ.); б) მრავალელემნტიანი (შეერთება ორმაგი ან სამმაგი კოტათი, უჯრის სწორი კოტებით შეერთება, მრავალი ჩასმული კოტებით შეერთება - არანაკლებ ორისა და ა.შ.). ჩასმის და დაშვების შერჩევის მეთოდები:

- 1) ანალოგიის მეთოდი. ამ მეთოდით ჩასმის შერჩევისათვის საჭიროა მოიძებნოს ადრე დაპროექტებული და ექსპლუატაციაში წარმატებით გამოყენებული მსაგასი ნიმუშები, რომელთა საფუძველზეც დასაპროექტებელი კვანძისათვის ნიშნავენ ტექნიკურ ღოკუმენტაციაში მითითებულ ჩასმას და დაშვებას.
- 2) შეგავსების მეთოდი. ამ მეთოდით ჩასმის შერჩევისათვის საჭიროა დასაპროექტებელი კვანძისა და ტექნიკურ ღოკუმენტაციაში (ცნობარებში) მოყვანილი ანალოგიური შეერთებისათვის წარდგენილ საექსპლუატაციო პირობებსა და კონსტრუქციულ ნიშან-თვისებებს შორის ანალოგიის დადგენა, რის საფუძველზეც დასაპროექტებელი კვანძისათვის შეირჩევის ტექნიკურ ღოკუმენტაციაში მითითებულ ჩასმას და დაშვებას. ამ მეთოდის საფუძველია დეტალებისა და შეერთებების ძლისიურიკაცია და უნიფიკაცია.
- 3) გაანგარიშების მეთოდი. გაანგარიშების კრიტერიუმს წარმოადგენს მოცემულ ნომინალურ ზომაზე დამოკიდებულებით

ალბათობითი ზღვრული ღრეჩოს ან ჭექის მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს შეუძლების სიმტკიცეს, სიმჭიდროვეს ან ნაკეთობის შემადგენლი ნაწილების თავისუფალ ურთიერთობადადგილებას.

ალბათური ზღვრული ჭექი და ღრეჩო იანგარიშება ფორმულებით:

ა) ჩასმის ალბათობითი დაშვება

$$IT_{\text{ალბათობითი}} = \sqrt{IT_{\text{საშენ}}^2 + IT_{\text{დაშვები}}^2}.$$

ბ) ალბათობითი ზღვრული ღრეჩო ან ჭექი

ღრეჩოთი ჩასმისათვის

$$S_{\text{უფრ. ალბათობითი}} = S_{\text{საშ.}} + \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2};$$

$$S_{\text{უტ. ალბათობითი}} = S_{\text{საშ.}} - \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2}.$$

გარდამავალი ჩასმისათვის

$$\text{როცა } N_{\text{უფრ.}} > S_{\text{უფრ.}},$$

$$S_{\text{უფრ. ალბათობითი}} = -N_{\text{საშ.}} + \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2};$$

$$N_{\text{უფრ. ალბათობითი}} = N_{\text{საშ.}} + \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2}.$$

$$\text{როცა } S_{\text{უფრ.}} > N_{\text{უფრ.}},$$

$$S_{\text{უფრ. ალბათობითი}} = S_{\text{საშ.}} + \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2};$$

$$N_{\text{უფრ. ალბათობითი}} = -S_{\text{საშ.}} - \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2}.$$

$$\text{როცა } S_{\text{უფრ.}} > N_{\text{უფრ.}},$$

$$S_{\text{უფრ. ალბათობითი}} = S_{\text{საშ.}} + \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2};$$

$$N_{\text{უფრ. ალბათობითი}} = -S_{\text{საშ.}} - \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2}.$$

ჭექით ჩასმისათვის

$$N_{\text{უფრ. ალბათობითი}} = N_{\text{საშ.}} + \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2};$$

$$N_{\text{უტ. ალბათობითი}} = N_{\text{საშ.}} - \frac{IT_{\text{ალბათობითი}}}{2}.$$

გაანგარიშებული ალბათური ზღვრული ჭექის და ღრეჩოს მიხედვით დასაპროექტებული კვანძისათვის საჭირო ჩასმას ვირჩევთ ცხრილებიდან თანამიმდევრობითი მიახლოების მეთოდით.

გაანგარიშებით განსაზღვრული დაშვება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საიმედო საზომი საშუალებებით, კონტროლით და შეესაბამებოდეს არსებული მიწყობილობების ტექნილოგიურ სიზუსტეს.

ნაკეთობის დანიშნულებაზე დამოკიდებულებით რეკომენდებულია შემდეგი კვალიტეტები:

11-12 - მაღალი სიზუსტით შეერთების შემადგენლი ნაწილებისათვის, რომელთაც წაეყვენებათ მაღალი საექსპლუატაციო მოთხოვნები (მუსიკალური ინსტრუმენტები, სახაზავი ინსტრუმენტები, ავეჯის ნაკეთობის კოტათი შეერთება და ა.შ.).

12-13 - ავეჯის ნაკეთობის დეტალების შეუძლებებისათვის (რადიოაპარატურის ბუდე, კოტათი შეერთება სამშენებლო ნაკეთობაში და ა.შ.).

14-15 - შედარებით ნაკლებად საპასუხისმგებლო სამშენებლო დეტალების შეერთებისათვის და მაღალი ხარისხის ავეჯის ნაკეთობაში თავისუფალი ზომებისათვის.

16-18 - არაშესაუდლებელი ხაზოვანი ზომებისათვის.

დეტალის აწყობადობა და შეუძლების სიმტკიცე მირითადად დამოკიდებულია აწყობის დროს შეუძლებულ ზედაპირებს შორის მიღებული ღრეჩოს და ჭექის ნამდვილ მნიშვნელობებზე, რაც უზრუნველყოფილია:

ა) ერთეულემენტიან შეერთებაში - ჩასმის გაანგარიშებით ან შერჩევით;

ბ) მრავალელემენტიან შეერთებაში - ცალკეული ელემენტების ზომებზე შესაბამისი დაშვების და ფორმისა და მდებარეობის დაშვებების შერჩევით. შესაუდლებელი ელემენტების ზედაპირებს შორის მიღებული ცალმხრივი ღრეჩოს ან ჭექის ნამდვილი მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ სიდიდეს.

ერთეულემენტიან შეერთებაში ღრეჩოს და ჭექის დასაშვები მნიშვნელობები, ასევე ცალმხრივი ღრეჩო და ჭექი

ცნობილი 4


ჩამდის დანასათება და გამოყენების სფერო

ჩამდა	ჩამდის ხასიათი	დაშვების კელების გრაფიქული განლაგება	შეერთებაში მიღებული ჰქონდის და ღრებითების პირობითი პროცენტული თანაფარდობა	ჩამდის დანასიათება
1	2	3	4	5
$\frac{H_{13}}{a_{13}}$	ღრებითი ჩამდა			
$\frac{H_{13}}{b_{13}}$	ღრებითი ჩამდა			

1	2	3	4	5
				<p>ჩასმის მახასიათებლი სიღრღუ - უმცირესი ღრუჩი ნულის ტოლია. ჩასმა დაინიშნება იმ უმოზვევაში, როცა შეუდლებულ დეტა-ლუს მუშა გდგომარეობაში არა აქვთ ურთიერთგადაგილების აუცილებლობა, მაგრამ აწყობის ღრის საჭიროებათ გრძივი გადადგილება ან შემობრუნება გარკვეული კუთხით, მაგლითად, უჯრის ძირის ჩასმა უჯრის კვლების კილოში, კარის ლიტრის ჩამაგრუბა მომჭიმავ ტელაკებში, ერთმაგი კოტი და ბულოთ შეურთება (იაგანეში), ფენტა ცარგებიანშეერთება კოტათი (სიგა-ნეში)</p>





გარდამავალი
ჩასმა

$$\frac{H_{13}}{I_{513}}$$



გამოყენება მიეთ უძრავ დასაშლელ შეერთებებში, რომლებსაც ექსპლუატაციის პირობების მიხედვით მოეთხოვებათ მცირე სიღრღის ჭეში და დასაშვები დიდი შესაძლებლობები დრეჩობის გამოყენებისა. ნახერების და ლილების საშუალო ზომების მნიშვნელობათ შემთხვევაში ვლებულობთ ღრუჩის, მაგლითად, ქიმითა და ნარიმანით შეერთებებშიჩარჩოების ტელაკების ბოლოების შეურთებებში, რომლებიც შესრულებულია ორმაგი კოტათი, შეუნტით შეცრიცებში და 1. ა. შ.


გამოქვლება

1	2	3	4	5
$\frac{H13}{k13}$	გარდამცვლი ჩასძა			გამოიყენება ისეთ უძრავ დასაშლელ შემთხვევაში, რომელსაც წაეყნებათ სიმტკიცისა და სიმჭიდრო - დროვის მიმართ გადიდებული მოთხოვნები. ნახვუტისა და ლილვის საშუალო ზომების შემთხვევაში ღრუჩის ან ჰუქის მნიშვნელობები ნულის ტოლია,
$\frac{H14}{k14}$				მაგალითად, შენაგოთ შემთხვევა, ერთმავი კოტათი და ბულით შემთხვება (სისქეში), მრგვალი კოტათი და ბულით შემთხვება
				გამოიყენება ისეთ უძრავ დასაშლელ შემთხვევაში, რომელსაც წაეყნებათ შედარებით დაბალი მოთხოვნები მაქსიმალური ჭეშმარივი შემთხვევის მიმართ. ნახვუტისა და ლილვის საშუალო ზომების შემთხვევაში ვდებული მისამართი კეპის,
				მაგალითად, ცარცულობის შემთხვება კოტათი (სისქეში), სკამის გენოთაშორისის შემთხვევაში უკანა უქნიან და ა.შ.
				გამოიყენება ისეთ უძრავ დასაშლელ შემთხვევაში, რომელსაც წაეყნებათ გადიდებული მოთხოვნები, მაქსიმალური ჭეშმარის მიმართ, ნახვუტისა და ლილვის საშუალო ზომების შემთხვევაში ვლებუ- ლიბით კეპის,

გაგრძელება

1	2	3	4	5
			<p>ფრთის შემკვრული მელაკებისა და შეა ტელა - კების შეუძლება, ფანჯრის ალათის შემკვრული მელაკებისა და ნაკვერდულების შევრთება და ა.შ.</p>	<p>გამოიყენება უძრავ დაუშლელ შევრთებებში და ნამასათლება გარამარინებული ჰქმის არსებობით. ჩასმა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც წებოს გარეშე, ისე წებოთან შევრთებებში. შევრთებისაიმტკაცებურთი და იგივე ჰქმის დროს დამოიდებულია ლეტალუბის მასალაზე, მათ ზომებზე, შეუღლებული ზედაპირების დამუშა - ვების ზარისნზე, ჩაწენების სიჩქარეზე, მაგალითად, შეანტიო შევრთება წემოზე, კოტათ შევრთება წებოზე, პანინის როზეზის ჩასმა წებოს გარეშე</p>

შექით ჩასმა



გაგრძელება

ჩასმის შერჩევა მსგავსების მეთოდით

შეერთების დასახულება	შეერთების ნახატი	ნახურები	ლილვი	ჩასმა
შეაწყით შეერთება		ნახურები	შეაწყით	$\frac{H 13}{k 13}$
ერთმაგი კოტათი და ყურნით შეერთება		ყურნი	კოტა	$\frac{H 14}{k 14}$
ერთმაგი კოტათი და ბუდით შეერთება (სიგანები)		ბუდე	კოტა	
მრგვალი კოტათი და ბუდით შეერთება		ნახურები	კოტა	
შეერთება ქიმითა და ნარიმანლით		ნარიმანლი	ქიმი	$\frac{H 13}{j_s 13}$ $\frac{H 14}{j_s 14}$
ერთმაგი კოტათი და ბუდით შეერთება (სიმაღლეში)		ბუდე	კოტა	$\frac{H 13}{h 13}$
ფეხის ცარგებთან შეერთება კოტათი (სიგანები)		ბუდე	კოტა	$\frac{H 14}{h 14}$
ფეხის ცარგებთან შეერთება კოტათი (სიგანები)		ბუდე	კოტა	$\frac{H 13}{Za 13}$
უჯრის გადაადგილება სავალ ძელა-კებზე ღიობში				$\frac{H 13}{a 13}$

შენიშვნა:

- 1 — საფეხურის ზომა; 2. ტერმინები „ნახურები“ და „ლილვი“ იქმარება არა მარტო გლუვი ცილინდრული და კონუსური ფორმის დეტალებისათვის, არამედ ნახევროვანი ფორმის ელემენტებისათვისაც;
3. ჩარჩოთი ალინიშენება უპირატეს გამოყენების ჩასები.

მრავალემენტიან შეერთებაში უნდა დადგინდეს შესაუღლებელი დეტალების კონსტრუქციის, მასალების და შეუღლების ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავეჯში გამოყენებული თაროს დამჭერის, მოსაჭიმისა და ანჯამებისათვის საჭირო ნახვრეტების ზომაზე დაშვება აიღება $\frac{IT14}{2}$ შესბამისი ზომის მიხედვით.

მე-4 ცხრილში მოყვანილია ჩასმების დაზარითება და მათი გამოყენების სფერო.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1. შესაუღლებელი ელემენტების რაოდნობაზე დამოკიდებულებით რამდენ ჯგუფად იყოფა შეერთებები?
2. დაშვების და ჩასმის შერჩევის რა მეთოდები არსებობს?
3. ჩასმის გაანგარიშების კრიტერიუმი და გაანგარიშების თანამიმდევრობა.
4. შეერთებაში გამოყენებული ჩასმის მოკლე დახასიათება.

3.3. ჩასმისა და დაშვების აღნიშვნა ნახაზზე


ნაკეთობის მუშა ნახაზის დამუშავების დროს ჩასმა და დაშვება უნდა შეირჩეს:

1) ნაკეთობის საერთო ზედის ნახაზზე - გაბარიტულ ზომებზე, თუ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ერთი ნაკეთობის მეორესთან შეუღლების ხასიათს, ე.წ. მისაერთებელ ზომებზე.

2) კვანძისა და ნაკეთობის საამწყობო ნახაზზე - ჩასმა ორ ან რამდენიმე შეუღლების ადგილზე, ხოლო ზომათა ჯაჭვების ჩაკეტილი კონტურის ზომებზე - დაშვებები.

3) დეტალის მუშა ნახაზზე - დაშვება შეუღლების ყველა ზომაზე.

ნახაზზე ზომისა და დაშვების აღნიშვნა მიზანშეწონილია ერთი ტექნოლოგიური ბაზიდან, რომლის ქვეშ იგულისხმება დეტალის რომელიმე ზედაპირი ან წიბო, რომელიც განსაზღვრავს დამუშავების წინ დეტალის მდებარეობას ჩარჩის მაგიდაზე მისი დამაგრების დროს.



ნახ. 27

ზომის დაშვება შეირჩევა სიზუსტის კვალიტეტის გათვალისწინებით. ნახაზზე სიზუსტის კვალიტეტი აღინიშნება შესაბამისი ციფრით - კვალიტეტის რიგითი ნომრით, რომელიც მიეწერება მირითადი გადახრის ასოთ აღნიშვნას მარჯვნივ, მაგალითად, ლილივისათვის - a12, b13, და ა.შ. ნაწვრეტისათვის - H13, H14 და ა.შ. სტრუქტურული განსაზღვრავს ზომის ზღვრული გადახრის ან ჩასმის აღნიშვნის შემდეგ ხერხებს: 1) დაშვების ველის პირობითი აღნიშვნით, მაგალითად, 12 b14, 20 Is13 და ა.შ.; 2) ზღვრული გადახრის რიცხვითი მნიშვნელობით მმ-ში, მაგალითად $50 \pm 0,12$. $10^{+0,15}$ და ა.შ. 3) დაშვების ველის პირობითი აღნიშვნით მარჯვნივ ფრჩხილებში ზღვრული გადახრის რიცხვითი მნიშვნელობის ჩვენებით,


მაგალითად, $25Is16(\pm 0,14)$; $50b\begin{pmatrix} -0,12 \\ -0,13 \end{pmatrix}$ და ა.შ.

ზღვრული გადახრის ამა თუ იმ ხერხის გამოყენება მითითებული უნდა იყოს დარგის ან წარმოების ნორმატიულ დოკუმენტში.

ნახაზზე ზღვრული გადახრის აღნიშვნის მესამე ხერხი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: ზღვრული გადახრის შერჩევისას ნომინალურ ზომაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული უპირატესი გამოყენების რიცხვთა მწკრივებში - Ra5, Ra10, Ra20, Ra40.

2) ზღვრული გადახრის შერჩევისას საფეხურის სიმაღლის ზომაზე არასიმეტრიული დაშვების ველის განლაგებით (ნახ. 27).
3) ზღვრული გადახრის შერჩევისას, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაშვების და ჩასმის სტანდარტებში, მაგ.,

პლასტმასის დეტალებისათვის შემოღებულია სპეციალური დაშვების ველები - $65K^{+0,12}$; $70AZ11\begin{pmatrix} +0,83 \\ +0,04 \end{pmatrix}$ და ა.შ.



ნახ. 28

ნახაზზე ზღვრული გადახრის რიცხვითი მნიშვნელობით აღნიშვნა გამართლებულია მხოლოდ უნიკვერსალური საზომი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, ხოლო დაშვების ველის პირობითი აღნიშვნით გამოსახვა - განზომილებიანი სტანდარტული მჭრელი იარაღების (გამშლელი, საწელავი და სხვ.) და მიღებული ზომების შესაბამისი ზღვრული კალიბრებით კონტროლის დროს.

საამწყობო ერთეულების მუშა ნახაზზე შეუდღებაში მყოფი ზომების ზღვრული გადახრა აღინიშნება წილადის სახით, რომლის მრიცხველში იწერება ნახვრეტის ზღვრული გადახრა, ხოლო მნიშვნელში - ლილვის ზღვრული გადახრა (ნაზ. 28).

კითხვები თვითშემოწმებისათვის

- 1) რომელ ნახაზებზე იწერება დაშვება და ჩასმა?
- 2) რომელი ბაზებითანაა მიზანშეწონილი ზომის და დაშვების აღნიშვნა?
- 3) რით გაანისაზღვრება ზომაზე დაშვება და მისი პირობითი აღნიშვნა ნახაზზე?
- 4) ზღვრული გადახრის აღნიშვნის რა ხერხები არსებობს?
- 5) რა შემთხვევებში გამოიყენება ნახაზზე ზღვრული გადახრის რიცხვითი მნიშვნელობით ან დაშვების ველის პირობითი ნიშნით აღნიშვნა?
- 6) როგორ აღინიშნება საამწყობო ერთეულების მუშა ნახაზებზე ზღვრული გადახრები?

3.4. ზომის მიუთითებელი ზღვრული გადახრა და დაშვება

ზომის მიუთითებელ ზღვრულ გადახრას უწოდებენ შედარებით დაბალი სიზუსტის გადახრას, რომელიც უშუალოდ ნახაზზე არ აღინიშნება ნომინალური ზომის გვერდით და გაოვალისწინებულია საერთო ჩანაწერით ნახაზის ტექნიკურ პირობებში. ტექნიკურ პირობებში მოყვანილია საერთო ჩანაწერისაგან განსხვავებული ზღვრული გადახრა უშუალოდ უნდა აღინიშნოს ნომინალური ზომის გვერდით. ხაზოვანი ზომის მიუთითებელი ზღვრული გადახრა ნახაზზე აღინიშნება შემდეგი ორი ხერხით:

- 1) სიზუსტის კვალიტეტით, დაწყებული მე-12 კვალიტეტიდან, რომელიც მოყვანილია გრისტ 6449.1-ში.
- 2) სიზუსტის კლასით, რომელიც პირობითად იყოფა ზუსტი- t_1 ; საშუალო- t_2 ; უხეში- t_3 ; ძალიან უხეში- t_4 კლასებად და მოყვანილია გრისტ 6449.5-ში.

ნაკეთობის სხვადასხვა ელემენტების ზომების მიუთითებელი ზღვრული გადახრების ერთი საერთო ჩანაწერის გარიანტების ერთობლიობა მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

ვარიანტი	ლილვის ზომა	ნახვრეტის ზომა	იმ ელემენტების ზომები, რომელიც არ შეესაბამება ნახვრეტებსა და ლილვებს
1	-IT	+IT	$\pm t/2$
2	- t	+ t	$\pm t/2$
3			$\pm t/2$

მე-5 ცხრილში მოყვანილი აღნიშვნები:

- IT - ზომაზე ცალმხრივი ზღვრული გადახრა სიზუსტის კვალიტეტის მიხედვით, რომელიც შეესაბამება ძირითად ლილვს h ;

+IT - ზომაზე ცალმხრივი ზღვრული გადახრა სიზუსტის კვალიტეტის მიხედვით, რომელიც შეესაბამება ძირითად ნახვრეტს H ;

- t - ზომაზე ცალმხრივი ზღვრული გადახრა სიზუსტის კლასის მიხედვით;

+ t - ზომაზე ცალმხრივი ზღვრული გადახრა სიზუსტის კლასის მიხედვით;

$\pm \frac{t}{2}$ - ზომაზე სიმეტრიული ზღვრული გადახრა სიზუსტის კლასის მიხედვით.

მუშა ნახაზის შესრულების დროს ხაზოვანი ზომის მიუთითებელი ზღვრული გადახრა უპირატესად უნდა შეირჩეს ერთი საერთო ჩანაწერის მე-3 ვარიანტის მიხედვით (ცხრილი 5).

მიუთითებელი ზღვრული გადახრის რიცხვითი მნიშვნელობა კვალიტეტის მიხედვით აიღება გრისტ 6449.1-დან, ხოლო სიზუსტის კლასის მიხედვით - გრისტ 6449.5-82-დან, ამასთან, ზუსტი- t_1 სიზუსტის კლასი შეესაბამება სიზუსტის მე-12 კვალიტეტს, საშუალო- t_2 - მე-14-ს, უხეში- t_3 - მე-16-ს, ძალიან უხეში- t_4 - მე-17-ს.

ზომისათვის, რომელიც უშუალოდ გავლენას არ ახდებს ნაკეთობის შემადგენლი ნაწილებისა და კვანძების შეუდღების

ნასიათზე და მათ საექსპლუატაციო მაჩვენებლებზე (მაგ., სჭვალებისათვის საჭირო ნაზვრეტების მაკონრდინირებელი და ღერძთა შორისი დაცილებების ზომები, მომრგვალებული ნაზოლის რადიუსის ზომები, სარკის დამჭერების, ბუნიკების $\left(\pm \frac{t_1}{2}\right)$ მიხედვით.

ავეჯის ნაკეთობის კვანძებისა და საამწყობო ერთეულების ცალკეული ზომების მიუთითებელი ზღვრული გადახრები უპირატესად უნდა შეირჩეს სიზუსტის საშუალო კლასის $\left(\pm \frac{t_2}{2}\right)$ მიხედვით.

ერთ საერთო ჩანაწერში გათვალისწინებული ნაკეთობის სხვადასხვა ელემენტების მიუთითებელი ზღვრული გადახრები ერთი სიზუსტის უნდა იყოს (მაგ., ერთი კვალიტეტის ან ერთი სიზუსტის კლასის, ან ერთი კვალიტეტის და მისი შესაბამისი სიზუსტის კლასის).

დეტალის მუშა ნახაზზე ზომის მიუთითებელი ზღვრული გადახრა ტექნიკურ პირობებში ერთი საერთო ჩანაწერით აღინიშნება $\pm \frac{t_2}{2}$ (ან სხვა კლასების მიხედვით) ტექსტური ჩანაწერის გარეშე.



კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რომელ ზღვრულ გადახრებს უწოდებნ მიუთითებელს?
2. მიუთითებელი ზღვრული გადახრის აღნიშვნის რა ზერხები არსებობს?
3. რას აღნიშნავს $(-IT)$ და $(+IT)$?
4. რას აღნიშნავს $(-t)$ და $(+t)$?
5. რას აღნიშნავს $\pm \frac{t}{2}$?
6. როგორია ტექნიკურ პირობებში ზომის მიუთითებელი ზღვრული გადახრის პირობითი აღნიშვნა?
7. უპირატესად რომელი სიზუსტის კლასით ინიშნება ავეჯის ნაკეთობის ცალკეული ელემენტების ზომების მიუთითებელი ზღვრული გადახრები?

3.5. კუთხის დაშვება

დეტალების კოტათი შეერთების დროს შესრულებული კონტურული კუთხეები დიდ გავლენას ახდენს ნაკეთობის აწყობისას დეტალების ურთიერთგანლაგების სიზუსტეზე.

ნაკეთობის ძირითად ელემენტს, რომელიც განსაზღვრავს კუთხის მისაღწევ სიზუსტეს, წარმოადგენს კუთხის გვერდის სიგრძე. კუთხის დაშვება დადგენილია კუთხის მცირე გვერდის - L_1 (ნახ.29) ნომინალურ ზომაზე დამოკიდებულებით, რადგან კუთხური ზომის დამზადების და გაზომვის სიზუსტესაგრძნობლად მცირდება კუთხის გვერდების სიგრძეების შემცირებისას. 29-ე და 30-ე ნახაზებზე მოცემულია კუთხის დაშვების შემდეგი პირობითი აღნიშვნები:



ა-ნომრინალური კუთხე

ნახ.30

AT - კუთხის დაშვება (უდიდეს და უმცირეს ზღვრულ კუთხეებს შორის სხვაობა);

AT_a - კუთხის დაშვების დამრგვალებული მნიშვნელობა გრადუსებში, მინუტებში და სეკუნდებში.

AT_h - კუთხის დაშვება, გამოხატული მონაკვეთით *AT_a* კუთხის მოპირდაპირე მხარეს კუთხის გვერდის პერპენდიკულარზე კუთხის წვეროდან *L*, მანძილზე.

კუთხის დაშვების მნიშვნელობაზე დამოკიდებულებებით გრისტ 6449.2-ით დადგენილია კუთხის შვიდი სიზუსტის ხარისხი - 11, 12...17, რომელიც შესაბამისად აღინიშნება *AT11*, *AT12*, ..., *AT17*.

ნომინალური კუთხის მიმართ (ნახ.30) დაშვებები შეიძლება განლაგებული იყოს დადებით მხარეს (+*AT*), უარყოფით მხარეს (-*AT*), ან სიმეტრიულად $\left(\pm \frac{AT}{2} \right)$. ნაკეთობის ნახაზზე აღინიშნება *AT_a*-ს მნიშვნელობები.

მერქნისა და მერქნული მასალების ნაკეთობათა ცალკეული ელემენტებისათვის კუთხის სიზუსტის ხარისხის შერჩევის მაგალითები და რეკომანდაციები მოყვანილია შე-6 ცხრილში.

ცხრილი 6

სიზუსტის ხარისხი	გამოყენების სფერო
11	მაღალი სიზუსტის დეტალებში შესაუღლებელი კუთხეები (საზარეულო ინსტრუმენტები, ხის მუსიკალური იმსტრუმენტები, ავეჯი და ა.შ.)
12	ავეჯის ნაკეთობისა და მერქნული მუსიკალური ინსტრუმენტის ჭორბუსების დეტალებსა და საამნიკობო ერთეულებში შესაუღლებელი კუთხეები
13	ფანჯრებისა და კარების ბლოკების დეტალებსა და საამნიკობო ერთეულებში შესაუღლებელი კუთხეები ავეჯის შემადგენელ ნანილებში არაშესაუღლებელი კუთხეები
14, 15	ფანჯრებისა და კარების ბლოკების დეტალებსა და საამნიკობო ერთეულებში არაშესაუღლებელი კუთხეები, ხის სახლების შემადგენელ ნანილებში შესაუღლებელი კუთხეები
16, 17	ფაბალი სიზუსტის დეტალებსა და საამნიკობო ერთეულებში არაშესაუღლებელი კუთხეები (ხის სახლების შემოღობვის კონსტრუქცია და ა.შ.)

არსებობს კუთხის კონტროლის ორი – შედარების და ტრიგონომეტრიული მეთოდი. პირველ მეთოდს საფუძვლად უდევს შესამოწმებელი კუთხის შედარება პრიზმულ კუთხესაზომთან, კუთხოვანასთან და კუთხურ თარგთან. კუთხური საზომის საშუალებით განისაზღვრება შესამოწმებელი კუთხის და თვით კუთხური საზომის გვერდებს შორის წარმოქმნილი უდიდესი გამჭვილი ღრუჩი.

კუთხის გაზომვისათვის 2/ - მდე და უფრო უხევის სიზუსტით გამოიყენება კუთხესაზომები ნონიუსით, უნივერსალური და ოპტიკური.

კითხვები თვითმომზადებისათვის

1. 29-ე ნახაზზე რა პირობითი აღნიშვნებია მოყვანილი?
2. კუთხის რომელი გვერდის სიგრძეზეა დადგენილი დაშვება?
3. კუთხის რამდენი სიზუსტის ხარისხია დადგენილი და როგორია მათი პირობითი აღნიშვნები?
4. როგორ არის განლაგებული კუთხის დაშვებები ნომინალური კუთხის მიმართ?
5. კუთხის რომელი დაშვება აღინიშნება ნაკეთობის ნახაზზე?
6. კუთხის გაზომვის რა მეთოდები და საშუალებები არსებობს?

3.6. კალიბრი მერქნული დეტალის ზომის კონტროლისათვის

კალიბრი განკუთვნილია დეტალის შიგა და გარე ზედაპირების, სხვადასხვა სახის საფეხურის, ღრმულის და სიმაღლის კონტროლისათვის.

საკონტროლო კალიბრები იყოფა ორ ჯგუფად - ნორმალური და ზღვრული. ნორმალურ კალიბრი, ე.წ. თარგი წარმოადგენს 1,5 - 5 მმსისქის ფოლადის ფირფიტებს ზუსტად შესრულებული მუშა საზომი ფასონური კონტურით. ნორმალური კალიბრის

გამოყენების დროს ნაკეთობის ვარგისობა განისაზღვრება შესამოწმებელ ზედაპირთან თარგის მიბჯენის ხარისხის მიხედვით. ნაკეთობის დამზადების სიზუსტე მით მეტია, რაც ნაკლების სიღიდე და სიგრძე შესამოწმებელ ზედაპირსა და ნორმალური კალიბრის მუშა საზომ ზედაპირებს შორის, შეფასება კი ხდება გამჭოლი ინათლის სხივის სიღიდის მეთოდით.

ხის დამუშავებაში თარგი ძირითადად გამოიყენება მრუდხაზოვანი კონტურის და ფასონური ზედაპირის დამუშავების დროს, მაგ., მერცხლის კუდა ტაბის შეერთებაში, ტრაპეციის ან სხვა კეთის მქონე მიმართველებისათვის, ფასონური მჭრელი იარაღების დამზადებისათვის (განსხვავებული ფრეზები, საჭრისები და ა.შ.) და სხვ.

კონტურული თარგის სხვადასხვა ფასონური ზედაპირის კონტურის აღწარმოებს გეგმილში, ხოლო პროფილური - განივევთში.


ზღვრული კალიბრის საზომი ზედაპირის ზომა ნომინალურად შესამოწმებელი დეტალის ზღვრული ზომის ტოლია, რადგან შესამოწმებელი ნაკეთობა ხასიათდება ორი ზღვრული ზომით (უდიდესით და უმცირესით), ამიტომ ზღვრული კალიბრები გამოიყენება წყვილად. ამათგან ერთ კალიბრს უწოდებენ გამავალ კალიბრს (ან კალიბრის გამავალ მხარეს), მეორეს - არაგამავალ კალიბრს (ან კალიბრის არაგამავალ მხარეს). დაუშვებელია კონტროლის ჩატარება დაუწყვილებელი კალიბრით.

ლილვის ტიპის დეტალების კონტროლი ხორციელდება კალიბრ-კავით, ხოლო ნახვრეტის - კალიბრსაცობით.

მიღებულია კალიბრის ან მისი მხარეების შემდეგი პირობითი აღნიშვნები:

გამავალი კალიბრი - PP;

არაგამავალი კალიბრი - HE.



ნაზ.31

31-ე ნაზაზზე ნაჩვენებია ზღვრული კალიბრებით დეტალების კონტროლის პრინციპული სქემა.

როგორც ნახაზდან ჩანს, ორი ზღვრული კალიბრ-კავიდან ერთის ნომინალური ზომა შესამოწმებელი ლილვის უდიდესი ზღვრული ზომის ტოლია და შეესაბამება მისი დაშვების ველის დასაწყისს, მეორესი კი - უმცირესი ზღვრული ზომისა და შეესაბამება დაშვების ველის დასასრულს. ორი ზღვრული კალიბრსაცობიდან ერთის ნომინალური ზომა ნახვრეტის უმცირესი ზღვრული ზომის ტოლია და შეესაბამება მისი დაშვების ველის დასაწყისს, მეორესი კი - უდიდესი ზღვრული ზომისა და შეესაბამება დაშვების ველის დასასრულს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზღვრული გამავალი კალიბრით იზღუდება დეტალის ზომა წუნის გასწორების საზღვართან (ლილვი დიდია ან ნახვრეტი მცირეა დასაშვებ ზომაზე, რომლის გასწორება შეიძლება დეტალის დამატებითი დამუშავებით), ხოლო არაგამავალი კალიბრით იზღუდება ზომა გაუსწორებელი წუნის საზღვართან.

ზღვრული კალიბრი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, იმყოფება თუ არა ნაკეთობის ნამდვილი ზომა დაშვების ზღვრებში. დეტალი ვარგისია, თუ მასში თავისუფლად გადის გამავალი კალიბრი და არ გადის არაგამავალი კალიბრი.

კალიბრების კონტრუირებას საფუძვლად უდევს ე.წ. ტეილორის პრინციპი, რომლის მიხედვით გამავალი კალიბრი უნდა იყოს შესაუღლებელი დეტალის პროტოტიპი და განსაზღვრავდეს მის შეუღლებადობას, ხოლო არაგამავალი კალიბრი ამოწმებდეს თითოეულ ელემენტს დამოუკიდებლად. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება მხოლოდ იმ შესაუღლებელ

დეტალებზე, რომლებიც მთლიანად ემიჯნებიან კონტრლეტალებს. მაგალითად, ნახვრეტი-შკანტი, ნახვრეტი-კოტა და ა.შ. კალიბრების კონსტრუქცია უნდა იძლეოდეს სწრაფად კონტროლის შესაძლებლობას, იყოს მარტივი, ხისტი და არ ითხოვდეს დამზადებისათვის როგორც ტექნოლოგიურ პროცესს.

კალიბრის სათანადო სიხისტე აუცილებელია კონტროლის დროს მისი დეფორმაციით გამოწვეული ცდომილების შესამცირებლად (განსაკუთრებით დიდი ზომების კონტროლის დროს), ხოლო კალიბრის შედარებით მცირე მასა აუცილებელია ზედაპირული ფენების მოთელვის შეძლების საფუძვლად თავიდან ასაცილებლად. კალიბრის გამოყენების წესის მიხედვით, კონტროლის დროს კალიბრის გამავალი მხარე თავისუფლად უნდა გადიოდეს საექსარი მასის ზემოქმედებით, ხელით დაწოლის გარეშე, ამიტომ შესამოწმებელი ზედაპირების ადგილობრივი მოთელვის შესაძლებლობა მთლიანად განისაზღვრება კალიბრის მასით.

კოტათი შეერთების საკონტროლო კალიბრის მასა რეკომენდებულია იცვლებოდეს 100-500 გ-მდე ზღვრებში. ხოლო დიდი ზომის დეტალებისა და კვანძების საკონტროლო კალიბრის მასა - 5-2500 გ-მდე ზღვრებში.

კალმეტრივი კალიბრი, რომლის გამავალი და არაგამავალი მხარეების ზომები განლაგებულია კალიბრის ერთ მხარეს, უფრო მწარმოებლურია, ვიდრე ორმხრივი კალიბრი, რადგან ცალმეტრივი კალიბრი იძლევა გაზომვის ხაზის გასწვრივ ერთი გაზომვით დეტალის ვარგისობის დადგენის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ცალმხრივი კალიბრის გამოყენება ყველა შემთხვევაში არ არის შესაძლებელი, რადგან ზოგიერთი ზომის სპეციფიკური განლაგება ითხოვს ორმხრივი კალიბრის გამოყენებასაც, მაგალითად, დეტალის ბოლოებში განლაგებული კოტების მხარეულებს შერის მანძილის კონტროლისათვის კოტების მხარეულების უმნიშვნელო სიძალილის გამო აუცილებელია ორმხრივი კალიბრის გამოყენება (ნახ.32).


კალიბრი, ისევე როგორც სხვა ნაკეთობა შეუძლებელია პრაქტიკულად დამზადდეს იდეალურად ზუსტად (ცდომილების გარეშე), ამიტომ კალიბრის ზომაზე დადგენილია დაშვება. ხის დამუშავებაში მიღებული დაშვების და ჩასმის სისტემისათვის კალიბრის ზომაზე დაშვების კელის განლაგება შესამოწმებელი დეტალის დამზადებაზე დაშვების ველის მიმართ ნახვრეტისათვის ნაჩვენებია 33-ე ნახაზზე, ხოლო ლილვისათვის - 34-ე ნახაზზე. აღნიშნული დაშვებები დამოკიდებულია დეტალის შესამოწმებელ ზომაზე და სიზუსტის კვალიტეტზე (გრსტ 14025).

გამავალი კალიბრისათვის (*PP*) დადგენილია ორი დაშვების ველი: დამზადებაზე 1 და ცვეთაზე 2, ხოლო არაგამავალი კალიბრისათვის (*HE*) - მხოლოდ დამზადებაზე დაშვების ველი 3 (ნახ.33 და ნახ.34).



გამავალი და არაგამავალი კალიბრების დაშვების ველები დადგენილა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. კალიბრის დაშვების ველის გადახრა აითვლება დეტალის შესამოწმებელი ზომის ზღვრული მნიშვნელობიდან. გამავალი კალიბრისაცობის (*PP*) დამზადებაზე დაშვების ველის ზედა (*ES₁*) და ქვედა (*EI₁*) ზღვრული გადახრები აითვლება შესამოწმებელი ნახვრეტის (*D_{შე}*) უმცირესი ზომიდან, ხოლო არაგამავალი კალიბრსაცობის (*HE*) დაშვების ველის ზედა (*ES₂*) და ქვედა (*EI₂*) ზღვრული გადახრები - ნახვრეტის *D_{შე}* უდიდესი ზღვრული ზომიდან (ნახ.33).

გამავალი კალიბრ-კავის (*PP*) დამზადებაზე დაშვების ველის ზედა (*es₁*) და ქვედა (*ei₁*) ზღვრული გადახრები აითვლება შესამოწმებელი ლილვის უდიდესი ზღვრული ზომიდან (*d_{უდ}*), ხოლო არაგამავალი კალიბრ-კავის (*HE*) დაშვების ველის ზედა (*es₂*) და ქვედა (*ei₂*) ზღვრული გადახრები - ლილვის უმცირესი ზღვრული ზომიდან (*d_{უდ}*) (ნახ.34).



გამავალი კალიბრი გამოყენების წესის მიხედვით



ნახ.32



ნახ.33



ნახ.34

ნაკეთობის კონტროლის დროს გადაადგილდება შესამოწმებელ ზედაპირში, რის შედეგადაც საზომი ზედაპირი განიცდის ცვეთას და ზომის ცვალებადობას, ამასთან, კალიბრ-კავის ზომა იზრდება, ხოლო კალიბრსაცობის ზომა მცირდება, რაც შესაბამისად იწვევს ნაკეთობის შესამოწმებელი ზომის გაზრდას ლილვისათვის და შემცირებას ნახვრეტისათვის.

შესაუღებელი დეტალების ზომების ასეთმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს შეუღლების ხასიათის დამახინჯება, მუშაობის პირობების გაუარესება, რაც პრაქტიკულად დაუშვებელია. ამიტომ გამავალი კალიბრის ზომის ზედაპირების ცვეთა მისი ექსპლუატაციის დროს რევლამენტირებულია ზღვრული გადახრით ცვეთაზე, შესაბამისად, კალიბრსაცობისათვის EW_1 გადახრით (ნახ.33), ხოლო კალიბრ-კავისათვის eW_1 გადახრით (ნახ.34).

კალიბრის დამზადებაზე და ცვეთაზე დაშვების ველები მთლიანად განლაგებულია შესამოწმებელი დეტალის დამზადებაზე დაშვების ველის საზღვრებს შეიგნით, რითაც ვიწროვდება დეტალის დამზადებაზე სტანდარტული დაშვების ველები ITD (ნახ.33) და ITd (ნახ.34).

ნახვრეტის უმცირესი შევიწროებული სტანდარტული დაშვების ველის მნიშვნელობა მიიღება, როდესაც ნახვრეტის დაშვების ველის ქვედა ზღვრის საკონტროლო კალიბრი (PP) დამზადებულია ცვეთაზე ზღვრული ზომით, ხოლო ზედა ზღვრის საკონტროლო კალიბრი (HE) - უმცირესი ზღვრული ზომით. მიღებულ შევიწროებულ დაშვებას უწოდებენ საწარმოო დაშვებას TD' (ნახ.33) და იანგარიშება ფორმულით

$$TD' = TD - (ES_1 + EI_2).$$

ნახვრეტის უდიდესი შევიწროებული სტანდარტული დაშვების ველის მნიშვნელობა მიიღება, თუ ნახვრეტის დაშვების ველის ქვედა ზღვრის საკონტროლო კალიბრი (PP) დამზადებულია ცვეთაზე ზღვრული ზომით, ხოლო ზედა ზღვრის საკონტროლო კალიბრი (HE) უდიდესი ზღვრული ზომით. მიღებულ შევიწროებულ დაშვებას გარანტირებულ დაშვებას TD'' (ნახ.33) უწოდებენ და იანგარიშება ფორმულით

$$TD'' = TD + (EW_1 + ES_2).$$

ანალოგიურად განისაზღვრება ლილვის საწარმო (Td') და გარანტირებული (Td'') დაშვებები (ნახ.34). რაც უფრო მცირეა საწარმო დაშვება, მით მეტია ნაკეთობის დამზადების ღირებულება.

კალიბრის დამზადებაზე და ცვეთაზე დაშვების ველუბის გადანაცვლება დეტალის დამზადებაზე დაშვების ველის საზღვრებს შეგნით მთლიანად გამორიცხავს შეუღლების ხასიათის დამახინჯებას და იძლევა დაშვების ველით დადგენილ ზღვრებში ზომებით ვარგისი დეტალების მიღების სრულ გარანტის.

კალიბრის კონსტრუირების დროს მის მუშა ნახაზზე აღნიშნავენ ე.წ. შესასრულებელ ზომას. ეს ის ზღვრული ზომაა, რომლის მიხედვითაც ამზადებენ ახალ კალიბრებს და ახორციელებენ ექსპლუატაციაში მყოფ კალიბრების ცვეთაზე კონტროლს. კალიბრის შესასრულებელი ზომის გაანგარიშებისას მის დამზადებაზე დაშვების მთელი ველი ცალმხრივი გადახრის სახით მიმართული უნდა იყოს კალიბრის „მასალაში“ შესაბამისი ზღვრული ზომიდან, რაც ამცირებს წუნის შესამლო მიღების აღბათობას და მოწერსებულია კალიბრის ინდივიდუალური დაყვანისათვის, ამიტომ კალიბრსაცობის ზომინალურ ზომად მიღებულია მისი უდიდესი ზღვრული ზომა, ხოლო კალიბრ-კავის ნომინალურ ზომად - მისი უმცირესი ზღვრული ზომა. შესაბამისად, კალიბრსაცობის შესასრულებელ ზომას აქვს მხოლოდ ერთი უარყოფითი ქვედა გადახრა, ხოლო კალიბრ-კავის შესასრულებელ ზომას - ერთი დადგითი ზედა გადახრა.

კალიბრით კონტროლის დაღებითი მხარეებია:

- 1) კონსტრუქციის სიმარტივე, დამზადების სიადვილე და დაბალი თვითღირებულება.
- 2) კონტროლის სრულდება აწყობის პროცესის მიახლოებულ პირობებში, რაც უზრუნველყოფს დეტალების შეუღლებას მაღალი აღბათობით და მათ ურთიერთშენაცვლებადობის განხორციელებას.

3) კალიბრის გამოყენების მარტივი წესის გამო იგი არ საჭიროებს ოპერატორის მაღალ კვალიფიკაციას.

კალიბრებით კონტროლის უარყოფითი მხარეებია:

- 1) კონტროლის შედეგი არ იძლევა ნაკეთობის შესამოწმებელი ზომის რიცხვით მნიშვნელობას.
- 2) არ არის ცნობილი კონტროლის ჯამური ცდომილება, რომელიც განისაზღვრება არა მარტო კალიბრის ზომით, არამედ შესამოწმებელი დეტალის ზომითაც; მისი ზედაპირის მდგომარეობით, მასით, ტემპერატურული დეფორმაციით და სწკ.
- 3) კალიბრების არსებული კონსტრუქციები არ გვაძლევს ნაკეთობის გეომეტრიული ფორმის ცდომილების გამოვლენის საშუალებას.

კალიბრების ტექნიკური პირობები:

- 1) კალიბრის საზომი დეტალები უნდა დამზადდეს ფოლ. 10-სგან. გრსტ 5950 -ით დასაშვებია საზომი დეტალების დამზადება ფოლადებისაგან 15 ან 20 გრსტ 1050-ით; Y7, Y8, Y9 - გრსტ 1435 ან 40 X გრსტ 4543 ფოლადი 15 ან 20-საგან დამზადებული კალიბრების საზომი ნაწილებით უნდა დაცემენტდეს h 0,4-0,6 მმ.

2) კალიბრის კორპუსი, რომელსაც აქვს ცალკეული სატურები, უნდა დამზადდეს ფოლადებისაგან 25,30, 35, 40 გრსტ 1050; ფლ.3, ფლ.4, ფლ.5, ფლ.6. გრსტ 380 ან ფოლადის მიღებისაგან გრსტ 8732, გრსტ 3262. დასაშვებია კალიბრის კორპუსის დამზადება აღუმინის მიღებისაგან გრსტ 18475 და გრსტ 18482 სიზუსტის 10÷14 კვალიტეტებისათვის, ნომინალური ზომებით 1550 მმ-მდე, სიზუსტის 15÷16 კვალიტეტებისათვის, ნომინალური ზომებით 3150 მმ-მდე და უდევებერ წერვანი მერქნისაგან - სოჭიან ფიჭვი, გრსტ 8486, ნეკერჩხალი ან არყი გრსტ 2695 სიზუსტის ფველა კვალიტეტისათვის, ნომინალური ზომებით 1000-დან 3150 მმ-მდე. კალიბრის მერქნული ნაწილის ტექნიკური უნდა შეადგენდეს 7-9 %

კალიბრის მერქნული კორპუსი დაცული უნდა იყოს:

ა) ალუმინის კილიტით (გრსტ 618);

ბ) ბიტუმით (გრსტ 21822);

გ) სავეჯო ნიტროცელულოზური ლაქით (3 ფენად) (გრსტ 4976).

3) კალიბრის მუშა ზედაპირის სიმკვრივე უნდა თავსდებოდეს HRC 48-56 ზღვრებში.

4) კალიბრის საზომი დეტალის არამუშა ზედაპირები დაფარული უნდა იყოს X_{UM} , O_{KC} . პრმ გრსტ. 9.306.

5) კალიბრის საზომი და სხვა ზედაპირების სიმჭიდვის პარამეტრები მოცემულია მე-7 ცხრილში.

ცხრილი 7

ზედაპირის დასახელება	სიმჭიდვის პარამეტრები, არა უმეტეს Ra მკმ გრსტ 2789
1. კალიბრის მუშა ზედაპირები	
ა) 10÷14 კვალიტეტებისათვის	0,32
ბ) 15÷18 კვალიტეტებისათვის	0,63
2. შესასვლელი და გამოსასვლელი ნაზოლების და ბოლოების ზედაპირები	
ა) ჩასადგმელების	1,25
ბ) სახელურების ნახვრეტების	2,5
3. დანარჩენი ზედაპირები	Rz10

6. კალიბრის მუშა ზომა შესრულებული უნდა იყოს დაშვების ველის ზღვრებში, ხოლო კალიბრის მუშა ზედაპირის ფორმისა და მდებარეობის გადახრები არ უნდა აღემატებოდეს კალიბრის დამზადებაზე დაშვების ველის 60%-ს.

7. ბოლოების ჩასადგმელების და მათთან შესაუღლებელი სახელურების კონუსურობიდან გადახრა არ უნდა აღემატებოდეს

$$\pm \frac{IT9}{2} \text{ (გრსტ 8908).}$$

8. კალიბრის სატურიების მუშა ზედაპირების სიგანე აიღება არანაკლებ 8 მმ-ისა.

9. კალიბრის მუშა ზედაპირზე არ დაიშვება ბზარები, ფუჭვილები, შსხვრევის და კოროზიის კვალი, ხოლო დანარჩენ ზედაპირებზე არ უნდა იყოს კალიბრის გარეგნული სახის დამამახინჯებელი დეფექტები.

10. კალიბრის საზომი ზედაპირი მჭიდროდ უნდა იყოს შეერთებული კორპუსთან ან სახელურთან. ნაკეთობის კონტროლის დროს არ დაიშვება კალიბრის საზომი ზედაპირის გორვა კორპუსის ან სახელურის მიმართ.

11. კალიბრების ნიშანდება ითვალისწინებს:

ა) ნაკეთობის ნომინალურ ზომას შესაბამისი ზღვრული გადახრის რიცხვითი მნიშვნელობით მმ-ში, რომლის კონტროლისათვის განკუთვნილია კალიბრი;

ბ) ნაკეთობის დაშვების ველის აღნიშვნას (გრსტ 6449.1);

გ) კალიბრის მხარეების აღნიშვნას (გრსტ 14025);

დ) დამამზადებელი ორგანიზაციის სასაქონლო ნიშანს.

12. კალიბრი უნდა ინახებოდეს ვენტილაციის მქონე შენობების დაზურულ კარალებში ან მტკვრისაგან დაცულ სტერილურ თაროებზე, 10-დან 35°C ტემპერატურისა და ჰაერის არა უმცეს 80% ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

კალიბრი ნომინალური ზომით 1200 მმ-ზე ზევით უნდა ინახებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში.

13. ხის დამუშავებაში ზღვრული კალიბრი განკუთვნილია ნაკეთობის კონტროლისათვის ხაზოვანი ზომებით 1-დან 3150 მმ-მდე და დაშვების ველით 10-დან 18 კვალიტეტამდე

კითხვები თვითშემოწმებისათვის

1) რა დანიშნულება აქვთ კალიბრებს და როგორია მათი გამოყენების სფეროები?

2) რამდენ ჯგუფად იყოფა საკონტროლო კალიბრები?

3) რამდენ ჯგუფად იყოფა ნორმალური და ზღვრული კალიბრები?

4) როგორია ზღვრული კალიბრის ნომინალური ზომა?

5) როგორია კალიბრის დაშვების ველის განლაგების სქემა?

6) როგორ იანგარიშება კალიბრის ზღვრული და შესაბამის დაშვებელი ზომები?

7) როგორია საწარმოო და გარანტირებული დაშვებები?

8) კალიბრით კონტროლის რა დადებითი და უარყოფითი მხარეები არსებობს?

9) როგორია კალიბრის ნიშანდება?

3.7. საფეხურის სიმაღლის და სიღრმის საკონტროლო ზღვრული კალიბრები

ზღვრული კალიბრების განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს საფეხურის სიღრმის და სიმაღლის საკონტროლო კალიბრები, ე.წ. საფეხურისაზომი, რომელიც კონსტრუქციული შესრულებით წარმოადგენს სხვადასხვა ფორმის საფეხურიან ფირფიტას.


ხის დამუშავებაში საფეხურისაზომი განკუთვნილია ნაკეთობის საფეხურის ზომის კონტროლისათვის, ხაზოვანი ზომებით 120 მმ-მდე და დაშვების ველით 13-დან 17 კვალიტეტამდე.

ნაკეთობის საფეხურის უდიდესი ზომის კონტროლისათვის განკუთვნილ საფეხურისაზომის მხარეს აღნიშნავენ რ ასოთი, ხოლო ნაკეთობის საფეხურის უტიკირესი ზომისათვის განკუთვნილს - M ასოთი.

საფეხურისაზომის კონსტრუქციაზე დამოკიდებულებით რ და M მხარეების ზომების დამზადებაზე და ცვეთაზე დაშვების ველების განლაგება გრსტ 14025 მიხედვით შესამოწმებელი საფეხურის ზომის დამზადებაზე დაშვების ველის (IT) მიმართ შეიძლება შესრულებული იყოს სამი სხვადასხვა სქემით (ნახ.35).


საფეხურისაზომის რ მხარის ზღვრული გადახრები: ზედა - es₃; ქვედა - ei₃ და ცვეთაზე - ew₃ გადაითვლება შესამოწმებელი საფეხურის სიღრმის ან სიმაღლის უდიდესი ზღვრული ზომიდან ($L_{\text{უდ.}}$), ხოლო M მხარის ზღვრული გადახრები: ზედა - es₄; ქვედა - ei₄ და ცვეთაზე ew₄ - შესამოწმებელი საფეხურის სიღრმის და სიმაღლის უტიკირესი ზღვრული ზომიდან ($L_{\text{უტ.}}$).

საფეხურისაზომის მხარეების ნამდვილ ზომებს მისი დამზადების და ექსპლუატაციის დროს ამოწმებენ უნივერსალური საზომი საშუალებებით.



ნახ.35

თუ ექსპლუატაციის დროს საფეხურსაზომი იცვითება ისე, რომ მისი σ და M მხარეების ზომები მცირდება, მაშინ დაშვების ველები განლაგებული უნდა იყოს 35-ე ნახაზის I სქემის მიხედვით, იცვითება პიბრტყე (ნახ. 36). თუ საფეხურსაზომის σ და M მხარეების ზომები ცვეთისას σ იზრდება, მაშინ დაშვების ველები განლაგებული უნდა იყოს 35-ე ნახაზის II სქემის



ნახ.36

მიხედვით, იცვითება პიბრტყე (ნახ. 36), ხოლო თუ საფეხურსაზომის ცვეთისას σ მხარის ზომა მცირდება, M მხარის ზომა კი იზრდება, მაშინ დაშვების ველები განლაგებული უნდა იყოს 35-ე ნახაზის III სქემის მიხედვით იცვითება შესაბამისად პდა ბ სიბრტყეები (ნახ. 36). საფეხურსაზომით კონტროლის დროს დეტალის საფეხურის ზომა ვარგისია, თუ კალიბრის M მხარის საზომი ზედაპირი არ აღწევს საფეხურის ძირამდე და სინათლის ხვრელი მიიღება საფეხურსაზომსა და საფეხურის ძირს შორის ის, ხოლო მხარის საზომი ზედაპირი აღწევს საფეხურის ძირს და სინათლის ხვრელი მიიღება საფეხურსაზომსა და შესამოწმებელი დეტალის ზედაპირს შორის (ნახ. 36).

საფეხურსაზომის σ და M მხარეების საზომ ზედაპირებსა და შესამოწმებელი საფეხურის ზედაპირებს შორის წარმოქმნილი სინათლის ხვრელის სიდიდის შეფასება ხდება გამჭოლ სინათლის სიციტე კალიბრის გადახრით მისი საზომი

მუშა წიბოს მიმართ. საფეხურსაზომის კონტროლის დროს დეტალის საფეხურის ზომა უვარესია, თუ M მხარის საზომი ზედაპირი აღწევს საფეხურის ძირს და სინათლის ხვრელი მიღება საფეხურსაზომსა და დეტალის ზედაპირს შორის, ე.ი. საფეხურის ზომა დასაშვებზე მცირეა, ხოლო კალიბრის გ მხარის საზომი ზედაპირი არ აღწევს საფეხურის ძირამდე და სინათლის ხვრელი მიღება საფეხურსაზომსა და საფეხურის ძირის, ე.ი. საფეხურის ზომა დასაშვებზე დიდია.






კითხვები ოვითმომზადებისათვის






1. რა დანიშნულება აქვს საფეხურსაზომს და როგორია კალიბრის მხარეების პირობითი აღნიშვნები?
2. როგორ განლაგდება დამზადებაზე და ცვეთაზე დაშვების ველების სქემები?
3. როგორია საფეხურსაზომით საფეხურის ზომების კონტროლის სქემები?

3.8. რეკომენდებული ჩასმები და დაშვებები ტიპური შეერთებისათვის




დაშვებების და ჩასმების ნორმატივები და შერჩევის რეკომენდაციები ავეჯის ნაკეთობების შემადგენელი ნაწილების ტიპური შეერთებებისათვის მოცემულია ცხრილებში 8...14, ხოლო მე-15 ცხრილში - ზღვრული კალიბრების კონსტრუქციები.




ავეჯის კვანძებსა და დეტალებზე რეკომენდაციები
ჩასმები და დაშვებები




კვანძების ესპერები	დაშვებები და ჩასმები გასაზოგ ელემენტები			
	<i>a</i>	<i>b</i>	<i>l</i>	<i>b</i>
ჩარჩოები, შუთები, ფარები				
	H13	$\frac{IT14}{2}$	H13	
	H13	$\frac{IT14}{2}$	H13	
	H13	$\frac{IT14}{2}$	H13	
	$\frac{H13}{j_{s13}}$	$\frac{IT14}{2}$	$\frac{H13}{j_{s13}}$	
შენიშვნა: გაფორმირებელი ღიობის უორმებისათვის H13, არამაფორმირებელი ღიობის ზომებისათვის j_{s13}				
გარები:				
	a-ზედნადები გარის ზომა b-ღიობ- ში ჩასმე- ლი გარის ზომა	$\frac{IT14}{2}$	$\frac{IT14}{2}$	c12
				c12

კვანძების სპიზები	დაჭვებები და ჩასმები გასაზომ ელემენტები			
	<i>a</i>	<i>b</i>	<i>l</i>	<i>b</i>
უჯრები და ნახევარუჯრები, თაროები, ძირი და დამზობი				
	უჯრები და ნახევარუჯ- რები	<i>h12</i>		<i>h13</i>
	უჯრების და ნა- ხევარუჯრების კედლები	<i>h12</i>	<i>h12</i>	<i>h12</i>
	გამოსაჭევი თაროები	<i>h12</i>	<i>h12</i>	<i>h13</i>
	თაროები ხის ან ლითონის თარო დამჭერებაზე	<i>h13</i>	$\frac{IT14}{2}$	<i>h13</i>
	ლილსები. ძირე- ბი და დამზო- ბები	<i>h13</i>	$\frac{IT14}{2}$	<i>h13</i>
შენიშვნა: დაფარებებული დე- ტალებისათვის δ ზომაზი შე- დის მოსაპირეთებელი ფენის სისქეც				

ერთაღემენტიან შეერთებაში რეპორტენდენცია
დაშვებები და ჩასმები




შეერთების სახელები	დაშვებები და ჩასმები შეერთების ელემენტებზე										
	s_0	s_1	s_2	b	b_1	l	l_1	h	h'	c	B
	s_0	$k13$	$h13$		b			$a13$			დეტალი № 1
	s_0	$H13$	$h13$					$a13$			დეტალი № 2
გოლო კუთხური შეერთება ერთებაზე კონტაქტი											
	s_0	$k13$	$h13$	$h13$				$h15$			დეტალი № 1
	$H13$		$h13$					$H13$			დეტალი № 2
შუა კუთხური შეერთება ერთებაზე კონტაქტი								$H15$			
	s_0	j_{s13}	$h13$					$h15$		$h13$	დეტალი № 1
	s_0		$h13$								დეტალი № 2
გოლო კუთხური შეერთება ვარული კონტაქტი										$H13$	$H13$




შევრთვის სახეები	დაშვებები და ჩასმები შევრთვის ელემენტები										
	S_0	S_1	S_2	b	b_1	l	l_1	h	h'	c	B
											
ბოლო კუთხური შევრთვისა ნახვაზრდა ვარული კოტათი											
											
კუთხური ირიგაცია შევრ- თვა ჩასმული ღია ერთ- მაგი კოტათი											
											
კუთხური ირიგაცია შევრ- თვა ჩასმული არაგამჭო- ლი ერთმაგი კოტათი											

შემოთხების სახელი	დაშვებები და ჩასხები შემოთხების ელემენტები										
	S_0	S_1	S_2	b	b_1	l	l_1	h	h'	c	B
	S_0										
ირიბპირა შემოთხება სიბრძეზე											
	S_0	j_{s13}	$h13$								
ძიგითა და ნარიგან- დით შემოთხება											
	S_0			$h13$							
გვერდითი და უკანა კედლების შემოთხება											
შენიშვნა. ყოველის მიუთითებელი ზღვრული გადახრები $20\text{ლება} \pm \frac{t_2}{2}$											




ოეპომენდებული დაშვებები და ჩასმები
მრავალებელების შეერთებებაში



შეერთების სახეები	დაშვებები და ჩასმები შეერთების ელემენტებზე																																														
	S_0	S_1	S_2	s	b	b_1	l	l_1	l'	d	B																																				
	<p>დეტალი № 1</p> <table> <tr> <td>S_0</td> <td>j_{s13}</td> <td>$h13$</td> <td>$H13$</td> <td>b</td> <td>$a13$</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>დეტალი № 2</td> <td></td> </tr> </table> <p>დეტალი № 1</p> <table> <tr> <td>S_0</td> <td>$H13$</td> <td>$h13$</td> <td>j_{s13}</td> <td>$a13$</td> <td>l_1</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </table>											S_0	j_{s13}	$h13$	$H13$	b	$a13$							დეტალი № 2												S_0	$H13$	$h13$	j_{s13}	$a13$	l_1						
S_0	j_{s13}	$h13$	$H13$	b	$a13$																																										
დეტალი № 2																																															
S_0	$H13$	$h13$	j_{s13}	$a13$	l_1																																										
გოლო კუთხური შეერთება ორმაგი კოფათი	S_0	j_{s13}	$h13$	$H13$	$h13$	l																																									
	<p>დეტალი № 1</p> <table> <tr> <td>S_0</td> <td>j_{s13}</td> <td>$h13$</td> <td>$H13$</td> <td>$h13$</td> <td>l</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td>დეტალი № 2</td> <td></td> </tr> </table> <p>დეტალი № 1</p> <table> <tr> <td>S_0</td> <td>$H13$</td> <td>$h13$</td> <td>j_{s13}</td> <td>$H13$</td> <td>l_1</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </table>											S_0	j_{s13}	$h13$	$H13$	$h13$	l							დეტალი № 2												S_0	$H13$	$h13$	j_{s13}	$H13$	l_1						
S_0	j_{s13}	$h13$	$H13$	$h13$	l																																										
დეტალი № 2																																															
S_0	$H13$	$h13$	j_{s13}	$H13$	l_1																																										
შუა კუთხური შეერთება ორმაგი კოფათი	$h13$	$H13$	$k13$	s							$h13$																																				
	<table> <tr> <td>$h13$</td> <td>$H13$</td> <td>$k13$</td> <td>s</td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </table>											$h13$	$H13$	$k13$	s																																
$h13$	$H13$	$k13$	s																																												
კუთხური ირიგაცია შეერთება ჩასმული ღია ორმაგი კოფათი																																															





შევრთების სახეები	დაშვებები და ჩასმები შევრთების ელემენტებზე										
	s_0	s_1	s_2	s	b	b_1	l	t_1	t	d	B
	$h13$	$H13$	$h13$	S							$h13$
კუთხური ირიბპირა შევრ- თება ჩასმული არაგამჭო- ლი ორმაგი კოზათი											
	$h13$						t			$H13$	$h13$
კუთხური ირიბპირა შევრ- თება ჩასმული გრგვალი კოზათი (შპანტი)											
				S			t	t_1		$H13$	$h13$
შპანტი შევრთება											

შევრთების სახეები	დაშვებები და ჩასმები შევრთების ელემენტებზე										
	s_0	s_1	s_2	s	b	b_1	l	l_1	l'	d	B
	$j_s 13$	$h 13$	$H 13$				დეტალი № 1				
უჯრის სწორი კოჭათი შევრთება	$H 13$	$h 13$	$j_s 13$				დეტალი № 2				
	$H 13$						დეტალი № 1				
უჯრის „მერცხლისკუდა“ კოჭათი შევრთება							დეტალი № 2				
											
სიბრძეების შევრთება პილა კოჭათი											
შენიშვნა.	ზომების მიუთითებელი ზღვრული გადახრები $აღლება \pm \frac{t_2}{2}$										

აგეზის ტიპიურ დეტალებზე
რეკომენდაციები და შვებები

დეტალისა და ულემენტის ესპერიენცია	დამვებები და ჩასმები შემთხვევის ელემენტებზე
	<i>s</i> <i>l</i> <i>d</i> <i>h</i> <i>b</i>
 <p>შეკანტი დეტალის ზეგოთი ან ზეგოს გარეშე შესაერთებლად</p>	<i>l</i> <i>h13</i>
 <p>დეტალი გოლოებების კონფიგურაციის</p>	<i>l</i>
 <p>დეტალი გოლოებების კუნძულის</p>	<i>l</i>
 <p>დეტალი გუდისის</p>	<i>l</i>

დეტალებისა და ელემენტების მსპიზები	დაშვებები და ჩასმები შევრთების ელემენტების			
S	l	d	h	b
 <p>დეტალი კოტათი და გუდით</p>	l			
 <p>დეტალი ერთ რიბში განლა- ბებული ნახვრეტისით</p>	H13			
 <p>დეტალი ორიგინალ განლაგე- ბული მობრძოლი გუდითით</p>				

დეტალებისა და ელემენტების სისტემის	დაშვებები და ჩასმები შემოწმების ელემენტებზე				
	<i>s</i>	<i>l</i>	<i>d</i>	<i>h</i>	<i>b</i>
შტანგის კვეთი					
				<i>h13</i>	
მრგვალი კვეთი					
				<i>h</i>	<i>i_s13</i>
ელიფსური შტანგი					
	<i>h13</i>	<i>l</i>			
სორიკუთხა კვეთის მიმმართველი თამასა					
					
შენიშვნა. ზომების მიუთითებელი ზღვრული გადახრები აიღება $\pm \frac{t_2}{2}$					

კარებისა და ვანჯრების ბლოკებზე
რეკომენდებული დაშვებები და ჩასმები

№ რიგ- ზე	ელემენტების ზომების დასახელება	ელემენტების დაშვებები და ჩასმები
	კოტათი ჭვერთება	
1	ზუთების, კარების ფრთისა და საგდუ- ლის ერთმაგი ზუნდისა და ბუდის სი- განე	H14
2	სარკმლის ერთმაგი ზუნდის სიგანე	H13
3	კარების ფრთის, სარკმლის და საგდუ- ლის გეგმოსაპრაგი ქელაკების ერთმა- გი კოტას სისტე	k13
4	ზუა ფიცრის (ნაბეჭდულის) ერთმაგი კოტას სისტე	za13
5	კარების ფრთის, სარკმლის და საგდუ- ლის ორმაგი ზუნდისა და ბუდის სიგა- ნე და ორმაგი კოტას სისტე	H13 j _s 13
6	ვანჯრების, კარების და ზუთების ორ- მაგი და სამაგი ზუნდების სიგანე და კოტას სისტე	H14 j _s 14
7	კარების ფრთის და ვანჯრების საგდუ- ლის ქელაკების კოტას მხარულას სი- მაღლე და ბუდის კედლის სისტე	h13
8	კარების ფრთის და ვანჯრების საგდუ- ლის ქელაკების ზუნდის სიღრმე და კოტას სიგრძე	h14
9	ვანჯრების და კარების ქელაკების ბუდების სიგრძე	H14
10	ლირსის ნარალის (შკურტის) სიგანე და სიღრმე	H14

№ რიგ- ზე	ელემენტების ზომების დასახელება	ელემენტების დაშვებული და ჩასმები
11	ლირსის სისქე	h14
12	შპანტის ღიამეტრი	k13
13	შპანტისათვის საჭირო ნახვრეტის ღიამეტრი და სიღრმე	H14
14	შპანტის სიგრძე	h14
15	ზანჯრების, კარტების და უკონფიდენციალური მეორთხედის სიღრმე და სიგანე	H14
	კარტების და ზანჯრების დეტალების კვეთი და სიგრძე	
16	ზანჯრების და კარტების ძელაკების სისქე	h13
17	ზანჯრების და კარტების ძელაკების სიგანე	h14
18	ზანჯრების და კარტების ბლოკების სიგრძე	h14
19	კარტების და ზანჯრების ბლოკების ვერტიკალური ძელაკების ზუნავების ფერების შორის და კორიზონტალური ძელაკების კონტაქტის მხარულების შორის მანძილი	H14
	კვანძების გაბარიტული ზომები	
20	საბდულების, სარკმლების და კარტების ფრთხების სიგრძე და სიგანე	a14
21	ვრამუბას სიგრძე და სიგანე	h14
22	ლირსის სიგრძე და სიგანე	h14

**კოტებიანი ფარისათვის ოპომენდებული
დაშვებები და ჩასმები**

№ რიბ- ზე	ელემენტების ზომების დასახელება	ელემენტების დაშვებები და ჩასმები
	კოტათი შევრთება	
1	უჯრის სწორპუთხა კოტასა და ზუნ- ჭის სიგანე	<i>H13</i> <i>j_s13</i>
2	მანძილი გაზიდან გოლო ზუნღამდე	
3	უჯრის სწორპუთხა კოტას სიბრძე და ზუნჭის სიღრმე	
4	ტრაკეციული ქიმის ფუძის სიგანე „მერცხლისკუდა“ შევრთებაში	<i>za13</i>
5	ტრაკეციული განაკვრის სიგანე „მერცხლისკუდა“ შევრთებაში	<i>H13</i>
6	ტრაკეციული ქიმის სიგაღლე და ტრაკეციული განაკვრის სიღრმე „მერ- ცხლისკუდა“ შევრთებაში	<i>h13</i>
7	ქიმის სისქე „ქიმითა და ნარიმანდით“ შევრთებაში 1,3 მ-მდე სიბრძის დეტა- ლებისათვის	<i>j_s14</i>
8	ქიმის სისქე „ქიმითა და ნარიმანდით“ შევრთებაში 1,3 მ-ზე მეტი სიბრძის დეტალებისათვის	<i>h14</i>
9	ნარიმანდის სიგანე	<i>H14</i>
10	ქიმის სიგაღლე	<i>h14</i>
11	ნარიმანდის სიღრმე	<i>H14</i>

გამრმელება

№ რიგ- ზე	ელემენტების ზომების დასახალება	ელემენტების დაშვებები და ჩასმები
	დეტალების და კვანძების კვეთი და სიბრძე	
12	ტარის ზველა დეტალის სისქე	h13
13	კორპუსის დეტალების სიგანე	h13
14	ძირისა და სახურავის თამასებისა და სობმანების და დამცავი თამასების სიგანე	h14
15	შიგნით ჩასაჭყობი დეტალების სიგა- ნე	h14
16	ტიხრებისა და საღებების სიგანე	h13
17	კორპუსის დეტალების სიბრძე	h13
18	ძირისა და სახურავის თამასებისა და სობმანების და შიგნით ჩასაჭყობი დეტალების სიბრძე	h14
19	ტიხრებისა და საღებების სიბრძე	h13
20	დამცავი თამასების სიბრძე	
21	ძირისა და სახურავის სიბრძე და სიგანე აჭყობის შემდეგ	h14
22	კორპუსის დეტალებში კოტების მხა- რულებას შორის მანძილი	H13



**ავეჯის შემადგენელი ელემენტების გაპარიტულ
ზომებზე რეკომენდაციები დაშვებები**

დასახელება	ელემენტები	კვალიტეტები	შენიშვნა
1. ღიობის მაფორმირე- ბელი ვერტიკალური და ჰორიზონტალუ- რი კედლები	სიბრძვე, სიბანე	<i>k13</i> <i>k12</i>	
2. ღიობის არაგაფორმი- რებელი ვერტიკალუ- რი და ჰორიზონტა- ლური კედლები	სიბრძვე, სიბანე	<i>j_s13</i> <i>j_s12</i> <i>j_s11</i>	
3. კარები, უჯრისა და ნახევარუჯრის ზესა- დები: - ზედნადები 3:4მმ-იანი ღრეჩოთი და ერთმა- ბი ზედნადები 1:2მმ-იანი ღრეჩოთი	სიბრძვე, სიბანე	<i>j_s13</i> <i>j_s12</i> <i>j_s11</i>	
ღიობში შემავალი გასაჭევი	სიბრძვე, სიბანე	<i>h13</i> <i>h12</i> <i>h11</i>	
		<i>b13</i> <i>c12</i> <i>a12</i>	
	სიბანე	$\frac{IT14}{2}$ $\frac{IT16}{2}$	
4. ჩასმული და გამოსა- ვევი თაროები	სიბრძვე, სიბანე	<i>b13</i> <i>c12</i> <i>a12</i> $\frac{IT14}{2}$ $\frac{IT16}{2}$	
5. უჯრები, ნახევარუჯ- რები	სიმაღლე სიბანე	<i>h13</i> <i>a13</i> <i>b12</i> <i>c12</i> <i>h13</i>	

დასახელება	ელემენტები	კვალიტეტები	შენიშვნა
6. ჩარჩოები, ყუთები: ღიობის მაფორმირებელი	სიბრძე, სიბანე	<i>k13, k12</i>	
ღიობის არამაფორმირებელი	სიბრძე, სიბანე	$\frac{IT14}{2}$	
7. უჯრის და ნახევარუჯრის ძირები, ნაკეთობის ღამზობი, უპანაკედლები: ღიობში შემაგალი	სიბრძე, სიბანე	<i>h13, h12</i>	
ზედნადები	სიბრძე, სიბანე	$\frac{IT14}{2}$	
8. მაბიდის სახურავი, საჭოლის საზურბე, გვერდულა და ა.შ.	სიბრძე, სიბანე	$\frac{IT14}{2}, \frac{IT16}{2}$	
9. რბილი ავეჯის უპანაკედელი, ცარბი: ღიობის მაფორმირებელი	სიბრძე, სიბანე	<i>k13, k12</i>	
ღიობის არამაფორმირებელი	სიბრძე, სიბანე	$\frac{IT14}{2}, \frac{IT16}{2}$	

გამოცემისა

დასახლება	ელემენტები	კვალიტებები	შენიშვნა
10. ცოკოლის ზუთი: შინა და უკანა კედლები; გვერდითი კედლები; შინა, უკანა და გვერდითი კედლები	სიბრძე, სიბრძე	$h_{13} \ h_{12} \ h_{11}$ $j_s 13 \ j_s 12 \ j_s 11$ $j_s 13 \ j_s 12 \ j_s 11$	
11. უჯრები, ნახევარუჯრები: შინა და უკანა კედლები; გვერდითი კედლები; შინა, უკანა და გვერდითი კედლები	სიბრძე, სიბრძე	$a 13 \ b 12 \ c 12$ $\frac{IT14}{2}$ h_{13} $\frac{IT14}{2}$	
12. ძელაკები: ღირგვის მაჟორმირებელი; ღირგვის არა- მაჟორმირებელი;	სიბრძე სიბრძე სიბრძე სისქე	$k_{13} \ k_{12}$ $\frac{IT14}{2} \ \frac{IT16}{2}$ $\frac{IT14}{2}$	
ღირგვი შემავალი	სიბრძე სიბრძე სისქე	$h_{13} \ h_{12}$ h_{13}	


	ზღვრული კალიბრების დასახმალება, გამოყენების სფერო და მუშა ნახაზები
1.	2
1.	<p>ნიმუშის მთლიანი, ცალმხრივი კავშირი 6-დან 10 მმ-მდე ჩარჩოს კოტას სისქისა და შპანტის დიამეტრის საკონტროლოდ</p> 
2.	<p>ნიმუშის მთლიანი, ორმხრივი კავშირი 6-დან 10 მმ-მდე ჩარჩოს კოტასა და ქიმის სისქისა და შპანტის დიამეტრის დიამეტრის საკონტროლოდ</p> 

1

2


3

ლითონის მთლიანი, ცალმხრივი კავში 10-დან
25 მმ-ზე დატაღისა და ჩარჩოს კოფას სის-
ძეებისა და შპანტის დიამეტრის საკონტრო-
ლოდ



4

ლითონის მთლიანი, ორმხრივი კავში 10-დან
25 მმ-ზე ჩარჩოს კოფას სისძისა და შპანტის
დიამეტრის საკონტროლოდ




1

2


5

ქიმიურის მთლიანი, ცალმხრივი კავი 6-დან
10 მმ-მდე ბუდის, ზუნაის კედლის სისქის,
ორმაგი კოტას სისქის, უჯრის კოტეპის
სიბანის საკონფიდენციალო



6

ქიმიურის მთლიანი, ცალმხრივი კავი 10-დან
25 მმ-მდე ზუნაის კედლის სისქისა და ბუდის
საკონფიდენციალო




1

2


7

ლითონის მთლიანი, ცალმხრივი კავი 25-დან
120 მმ-მდე გარე ხაზოვანი ზომების
საკონტროლოდ



8

ლითონის მთლიანი, ორმხრივი კავი 25-დან
120 მმ-მდე გარე ხაზოვანი ზომების
საკონტროლოდ




1

2

9

ლითონის აზერბაიჯანი ცალმხრივი კავი
120-დან 800 მმ-მდე კვანძების სიბრძნესა და
სიგანის საკონტროლოდ




1 - კალიბრის კორპუსი; 2 - მარცხენა სატუჩი;
3 - მარჯვენა სატუჩი; 4 - ტკირი; 5 - მოქლონი

1

2

10

ლითონის აჭყობილი ორგხრივი კავი
120-დან 800 მმ-მდე კოტების მხარულებს
შორის განებილის საკონტროლოდ




1

11

2

ლითონის აზოვბილი ცალმხრივი კავი
800-დან 2000 მმ-დან კვანძის სიგრძისა და
სიგანის საკონტროლოდ




- 1 – კალიბრის კორპუსი; 2 – მარცხენა სატუჩე;
3 – მარჯვენა სატუჩე; 4 – სადები; 5 – შპორი;
6 – მოძღვნი

1

12

2


ლითონის აზყობილი ორმხრივი კავში
800-დან 2000 მმ-მდე კოტების მხარულებს
შორის და ზანჯრისა და კარის ბლოკების
დეტალების ყუნწვების ცუძეებს შორის
ანძილის საკონტროლოდ



12

13


ნითონის აზერბილი ცალმხრივი გამავალი
კავ 500-დან 2000 მმ-მდე საბდულის და სარკმ-
ლის სიბრძის საკონტროლოდ



1 – კალიბრის კორკუსი; 2 – სადნეი;
3 – მარცხენა სატური; 4 – მარჯვენა სატური

14

ნითონის აზერბილი ცალმხრივი გამავალი
კავ 300-დან 1300 მმ-მდე საბდულის და სარკმ-
ლის სიბრძის საკონტროლოდ




1 – კალიბრის კორკუსი; 2 – მარცხენა სატური

1


2

15


ლითონის ცალმხრივი საცობი კონუსურპუ-
ლიანი ჩასაღმელით 6-დან 25 მმ-მდე დიამეტ-
რის ნახვრეზების საკონტროლოდ





ჩასაღმელი



სახელმრი




1	2
16	<p>ლითონის ორმხრივი საცოგი კონუსურპუდი- ანი ჩასაღმელით 6-დან 25 მმ-მდე დიამეტ- რის ნახვრეზების საკონტროლოდ</p> 
17	<p>ლითონის ცალმხრივი საცოგი 6-დან 25 მმ- მდე ბუდის, გუნვის და ნარიგანდის სიბანის საკონტროლოდ</p>  <p>1 – სახელური; 2 – ჩასაღმელი</p>

1

2


18





ლითონის ორმხრივი საცენტრირებელი ჩასაზღვრული 6-დან 25 მმ-მდე ბუდის, შუნავის და ნარიმანდის სიბანის საკონფიროლოდ



19


ზღვრული საფეხურსაზომი 120 მმ-მდე საფეხურის სიმაღლის და სიღრმის საკონფიროლოდ



1	2
	ლითონის ორმხრივი სიღრმესაზომი კილოვანის და ნაკიბანდების კონტროლისათვის,
	
	ლითონის მთლიანი ორმხრივი საფეხურსაზომი საფეხურების კონტროლისათვის
	
	ლითონის მთლიანი ორმხრივი სიმაღლის სა- ზომი კოტას და შიგის სიმაღლის კონტროლი- სათვის
	
	ლითონის საფეხურსაზომი კოტას მხარულის სიმაღლის კონტროლისათვის
	


2 5 6 5 3 8 0

შკანგით შეერთება




დეტალი N1

$n=1 \div 2$




$n>2$




დეტალი N2

$n=1 \div 2$




$n>2$




L^* - გომა ცნობისათვის


8-ელნადები მოსაჭიმით შეერთება



$n=1 \div 2$




$n > 2$




$$h = \text{ქანჩის სიგრძე} + 10\delta$$

შკანგითა და ხრახნული მოსაჭიმით შეერთება




დეტალი N1

$n=1 \div 2$




$n>2$




დეტალი N2


$n=1 \div 2$



$n>2$




შკანტითა და ექცენტრული მოსაჭიმით შეერთება




დეტალი N1

$$n=1 \div 2$$




$$n>2$$




$$h = \text{ქანჩის სიგრძე} + 10\delta$$

დეტალი N2

$$n=1 \div 2$$



$$n>2$$



ლიტერატურა

1. მერქნისა და მერქნული მასალების ნაკეთობები. დაშვებები და ჩასმები. გრსტ 6449.1 გრსტ 6449.5.
2. მერქანი-ზედაპირის სიმქისის პარამეტრები, გრსტ 7016.
3. ზღვრული კალიბრები ხის დამუშავებაში. ტექნიკური პირობები. გრსტ 15876.
4. მერქნისა და მერქნული მასალების ნაკეთობების ზღვრული კალიბრები. გრსტ 14-25.
5. გ. ბერძენიშვილი, ნ. კენჭაძე, ზ. ჩიტიძე. ურთიერთშენაცვლებადობა და ტექნიკური გაზომვები ხის დამუშავებაში. მეთოდური მითითებები (საკურსო სამუშაო), სტუ. თბილისი, 2000.
6. გ. ბერძენიშვილი, ნ. კენჭაძე, ზ. ჩიტიძე. ურთიერთშენაცვლებადობა და ტექნიკური გაზომვები ხის დამუშავებაში. მეთოდური მითითებები(ლაბორატორიული სამუშაო), სტუ. თბილისი, 2000.

საგანმარტო განმარტება	3
თავი I. ურთიერთშენაცვლებადობის საფუძვლები	
ტიცასიტყვაობა	4
1.1. ურთიერთშენაცვლებადობა და ნაკეთობის დამზადების სიზუსტე	5
1.2. ცნებები ზომების შესახებ	7
1.3. ცნებები ზღვრული და ნამდვილი გადახრების შესახებ	11
1.4. ზღვრული ზომის და გადახრის აღნიშვნა ნახაზზე	12
1.5. ცნებები დაშვებისა და კვალიტეტის შესახებ	14
1.6. დაშვების ველის გრაფიკული გამოსახვა	15
1.7. ცნებები შეერთებასა და ჩასმაზე	16
1.8. ჩასმის აგების სისტემები	19
თავი II. ტექნიკური გაზომვის საფუძვლები ხის დამუშავებაში	
ტიცასიტყვაობა	21
2.1. გაზომვის და კონტროლის მეთოდების კლასიფიკაცია	22
2.2. გაზომვის ცდომილებები	23
2.3. მისაღები საზღვრები გაზომვის დასაშვები ცდომილებების გათვალისწინებით	28
2.4. საკონტროლო საშუალებათა კლასიფიკაცია და შერჩევა	29
თავი III. ღეტალისა და კვანძის შესაუღლებელი ზომებისათვის დაშვება და ჩასმა	
ხის დამუშავებაში	
ტიცასიტყვაობა	31
3.1. მერქნისა და მერქნული მასალების დაშვებებისა და ჩასმების ერთიანი სისტემა	32
3.2. დაშვებისა და ჩასმის შერჩევა ავეჯის ნაკეთობების შემადგენელი ნაწილების ტიპური შეერთებისათვის	34
3.3. ჩასმისა და დაშვების აღნიშვნა ნახაზზე	41
3.4. ზომის მიუთითებელი ზღვრული გადახრა და დაშვება	42
3.5. კუთხის დაშვება	43
3.6. კალიბრი მერქნული დეტალის ზომის კონტროლისათვის	44
3.7. საფეხურის სიმაღლის და სიღრმის საკონტროლო ზღვრული კალიბრები	49
3.8. რეკომენდებული ჩასმები და დაშვებები ტიპური შეერთებისათვის	51
დანართი	83
ლიტერატურა	88

**ანგეტა
პატივცემულო მკითხველო!**

ინფორმაციის შეკრების მიზნით, წიგნის გამოცემის მიზანშეწონილობის და მისი შეფასების შესახებ ავტორთა ჯგუფი გთხოვთ შემოთავაზებულ ანკუტაში აღნიშნეთ პოზიცია, რომელიც შეესაბამება წიგნის თქვენებულ შეფასებას.

1) დარგისათვის არსებობს წიგნის:

- ა) მწვავე საჭიროება;
- ბ) მნიშვნელოვანი მოთხოვნილება;
- გ) უმნიშვნელო მოთხოვნილება.

2) წიგნის ეფექტურობა სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის თვალსაზრისით არის:

- ა) ძალიან მაღალი;
- ბ) მაღალი;
- გ) საეჭვო;
- დ) უმნიშვნელო.

3) წიგნის ეფექტურობა დარგში პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის:

- ა) ძალიან მაღალი;
- ბ) მაღალი;
- გ) საეჭვო;
- დ) უმნიშვნელო.

4) წიგნის ეფექტურობა დარგში შეტანილი თეორიული წვლილის თვალსაზრისით არის:

- ა) ძალიან მაღალი;
- ბ) მაღალი;
- გ) საეჭვო;
- დ) უმნიშვნელო.

5) წიგნში მოყვანილი მასალა შეესაბამება დარგში მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა თანამედროვე დონეს:

- ა) სრულად;
- ბ) ნაწილობრივ;
- გ) სუსტად.

6) წიგნი შეინარჩუნებს თავს აქტუალობას:

- ა) 5 წლის განმავლობაში;
- ბ) ხანგრძლივად;
- გ) ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლამდე.

7) წიგნის სათაური პასუხობს შინაარსს:

- ა) სრულად;
- ბ) ნაწილობრივ;
- გ) სუსტად.

დამატებითი შენიშვნები გთხოვთ მოგვაწოდოთ დანართის სახით
გვარი, სახელი,

სამეცნიერო ხარისხი.

სტუდენტი,

სპეციალობა,

სამუშაო ადგილი, თანამდებობა,

მუშაობის სტაჟი.

გთხოვთ ანგეტაში გვერდები გადაჭრათ ჩამოჭრის ხაზზე და გამომგვიგზავნოთ მისამართზე:

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, მ. კოსტავაშვილი 77.

„ურთიერთშენაცვლებადობა და ტექნიკური გაზომვები ხის დამუშავებაში“

რედაქტორი მ. ძიძიგური
ტექნიკური რედაქტორი ნ. ცირეკიძე
კორექტორი ნ. დოლიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ე. ქარჩავასი

გადაეცა წარმოებას 31.10.2001 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.01.2003 წ. ქაღალდის ზომა 60X84 1/8.
ნაბეჭდი თაბაზი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 5.5. ტირაჟი 100 ეგზ. შეკვეთა №

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77



დაბეჭდილია თქვენი დუადოურ საწარმოში
„გორგა დალაქიშვილი“